ეროვნული ბიბლიოთეკა
პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
7 სექტემბერი ორშაბათი 2009
№210(12889) ფასი 60 თეთრი

# ბოდიში საქართველო!



კაპიტნის ავტოდუბლი: სტვენა თუ თანადგომა?

# 14 ქულა უნდა გვეყოს



» გვერდი 2-3

# ვაღიაროთ: არასაფეხბურთო ქვეყანა ვართ!

გია ტუხაშვილი. მატჩის რეზიუმე

» გვერდი 4-5



რატომ არ წავიდნენ ფეხბურთელები ისლანდიაში?

# ჰექტორ კუპერი: ისლანდიასთან მე ხომ არ ვითამაშებ?!

[illegible] და ნაკრების ირგვლივ » გვერდი 6-8



» გვერდი 16

# სტარტი, რომელიც იმედს გვაძლევს

ჩომახიძე კარგ ფეხზე დაგვიბრუნდა




# გარკვეულია 8 მონაწილე

ბრაზილია
განა
ჰოლანდია
ავსტრალია

იაპონია
სამხ. კორეა
ჩრ. კორეა
სამხ. აფრიკა

» გვერდი 10-14

# დღევანდელი ლელო 20-გვერდიანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ჰოპლა გვიქლია

## Грузины нас сделали

### ქრონოლოგია

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:42 | მეშერაკოვი 2ქ (2:0) |
| 08:50 | ცინცაძე 2/1ქ (2:1) |
| 08:30 | ულიანკო 2ქ (4:1) |
| 07:53 | ცინცაძე 2ქ (4:3) |
| 07:34 | ულიანკო 2ქ (6:3) |
| 07:11 | მეშერაკოვი 2ქ (8:3) |
| 06:52 | ფაჩულია 2+1ქ (8:6) |
| 07:47 | ვ. ბოისა 3ქ (8:9) |
| 04:27 | კორშჩუკი 3ქ (11:9) |
| 04:10 | ფაჩულია 2/2ქ (11:11) |
| 03:55 | სანიკიძე 2ქ (11:13) |
| 03:39 | ჩარიკოვი 2ქ (13:13) |
| 03:16 | ელისი 2/2ქ (13:15) |
| 02:52 | ტულუში 3ქ (13:18) |
| 02:34 | კანდრუსევიჩი 2ქ (15:18) |
| 02:11 | ფაჩულია 2ქ (15:20) |
| 01:36 | ცქიტიშვილი 2/1 (15:21) |
| 01:11 | ფაჩულია 2/2 (15:23) |
| 00:28 | კანდრუსევიჩი 2ქ (17:23) |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:19 | მეშერაკოვი 2/2ქ (19:23) |
| 08:12 | ტულუში 3ქ (19:26) |
| 08:03 | კუდრიავცევი 2ქ (21:26) |
| 07:13 | ვ. ბოისა 2ქ (21:28) |
| 06:17 | გამყრელიძე 3ქ (21:31) |
| 05:55 | კოჟენეცი 2ქ (23:31) |
| 04:52 | ელისი 2/2ქ (23:33) |
| 04:40 | გამყრელიძე 2/2ქ (23:35) |
| 04:31 | პუსტავარი 3ქ (26:35) |
| 04:15 | ელისი 2/2ქ (26:37) |
| 03:49 | სანიკიძე 2ქ (26:39) |
| 02:09 | მეშერაკოვი 2ქ (28:39) |
| 01:28 | სანიკიძე 2ქ (28:41) |
| 01:04 | კანდრუსევიჩი 2/2ქ (30:41) |
| 00:57 | ფაჩულია 2ქ (30:43) |
| 00:42 | კორშჩუკი 2ქ (32:43) |
| 00:23 | ფაჩულია 2ქ (32:45) |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:28 | კანდრუსევიჩი 2ქ (34:45) |
| 09:01 | ულიანკო 2ქ (36:45) |
| 08:34 | მეშერაკოვი 2ქ (38:45) |
| 08:16 | ვ. ბოისა 3ქ (38:48) |
| 07:38 | ვ. ბოისა 3ქ (38:51) |
| 07:26 | კანდრუსევიჩი 2ქ (40:51) |
| 06:34 | მეშერაკოვი 2ქ (42:51) |
| 06:08 | ფაჩულია 2/2ქ (42:53) |
| 04:57 | კორშჩუკი 2ქ (44:53) |
| 04:48 | ელისი 2ქ (44:55) |
| 04:41 | კორშჩუკი 2ქ (46:55) |
| 04:10 | კორშჩუკი 2ქ (48:55) |
| 03:47 | ვ. ბოისა 3ქ (48:58) |
| 03:48 | სანიკიძე 2ქ (48:60) |
| 02:49 | კუდრიავცევი 3ქ (51:60) |
| 02:32 | ელისი 2/2ქ (51:62) |
| 00:55 | ულიანკო 3ქ (54:62) |
| 00:35 | ვ. ბოისა 2ქ (54:64) |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:36 | სანიკიძე 2ქ (54:66) |
| 09:17 | კანდრუსევიჩი 3ქ (57:66) |
| 08:57 | სანიკიძე 2ქ (57:68) |
| 07:55 | ცქიტიშვილი 3ქ (57:71) |
| 07:25 | ცქიტიშვილი 3ქ (57:74) |
| 07:09 | ცქიტიშვილი 2ქ (57:76) |
| 06:33 | სანიკიძე 2ქ (57:78) |
| 06:19 | ულიანკო 2/1ქ (58:78) |
| 05:04 | ფაჩულია 2/2ქ (58:80) |
| 04:26 | ულიანკო 3ქ (61:80) |
| 04:22 | კანდრუსევიჩი 2/2ქ (63:80) |
| 04:05 | ვ. ბოისა 2/1 ქ (63:81) |
| 03:53 | ულიანკო 3ქ (66:81) |
| 02:48 | ფაჩულია 2/2ქ (66:83) |
| 02:22 | სანიკიძე 2/1ქ (66:84) |
| 01:22 | სანიკიძე 2ქ (66:86) |
| 01:17 | მეშერაკოვი 2/2ქ (68:86) |
| 00:54 | კორშჩუკი 2ქ (70:86) |
| 00:32 | სანიკიძე 2ქ (70:88) |
| 00:15 | მეშერაკოვი 3ქ (73:88) |
| 00:02 | ულიანკო 2/2ქ (75:88) |
| 00:02 | ვ. ბოისა 2/1ქ (75:89) |

B დივიზიონი. პლეი ოფი
5 სექტემბერი. მოგილიოვი. ბელარუსი
1 300 მაყურებელი

### ბელარუსი-საქართველო
### 75:89
17:23, 15:22, 22:19, 21:25

| ბელარუსი | წთ | ქ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ულიანკო | 28 | 18 | 3/3 | 3/4 | 3/4 | 2 | 2 | 2 | 5 | 4 | 3 |
| მეშერაკოვი | 27 | 17 | 5/5 | 1/3 | 4/6 | 8 | 1 | 0 | 0 | 4 | 1 |
| ჩარიკოვი | 22 | 2 | 1/2 | 0/1 | 0 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 |
| კუზმინი | 12 | 0 | 0 | 0/1 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 3 | 1 |
| ალექსეევი | 11 | 0 | 0/1 | 0/1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 2 |
| კორშჩუკი | 27 | 13 | 5/7 | 1/5 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 5 | 1 |
| პუსტავარი | 13 | 3 | 0/2 | 1/2 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კანდრუსევიჩი | 27 | 15 | 4/5 | 1/2 | 4/4 | 3 | 2 | 2 | 0 | 1 | 0 |
| კუდრიავცევი | 21 | 5 | 1/3 | 1/5 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 4 | 3 |
| კოჟენეცი | 10 | 2 | 1/6 | 0 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 2 |
| განდლინი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ჯამი | - | 75 | 20/34 | 8/24 | 11/14 | 24 | 16 | 9 | 7 | 26 | 13 |

| საქართველო | წთ | ქ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცინცაძე | 28 | 3 | 1/1 | 0/1 | 1/2 | 4 | 5 | 2 | 0 | 0 | 5 |
| ელისი | 29 | 10 | 1/3 | 0/4 | 8/8 | 2 | 4 | 1 | 1 | 2 | 2 |
| სანიკიძე | 36 | 19 | 9/11 | 0/1 | 1/2 | 11 | 1 | 1 | 3 | 3 | 1 |
| ვ. ბოისა | 29 | 18 | 2/3 | 4/5 | 2/4 | 3 | 1 | 1 | 0 | 3 | 1 |
| ფაჩულია | 34 | 19 | 4/12 | 0 | 11/11 | 8 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 |
| შერმადინი | 5 | 0 | 0/1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ცქიტიშვილი | 11 | 9 | 1/4 | 2/4 | 1/2 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 |
| გამყრელიძე | 17 | 5 | 0/1 | 1/2 | 2/2 | 3 | 2 | 0 | 0 | 3 | 0 |
| ტულუში | 12 | 6 | 0 | 2/2 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 |
| ჯამი | - | 89 | 18/36 | 9/19 | 26/31 | 35 | 16 | 8 | 3 | 17 | 13 |

მსაჯები: ო. ლეფვერტი (შვედეთი), მ. მაზიჩი (სერბეთი), ს. ჩაიკოვსკი (უკრაინა)

### შვედეთი-ჩერნოგორია 50:70

**მომდევნო მატჩები**

**9 სექტემბერი**

**19:00 საქართველო-ბელარუსი**
**23:00 ჩერნოგორია-შვედეთი**




ქართველთაგან ორმაგი დუბლი ვიქტორ სანიკიძემ შეასრულა

მოგილიოვში საქართველოს ნაკრებმა შაბათს ითამაშა. რადგან ჩვენი გაზეთი კვირას არ გამოდის, საშუალება მომეცა, თამაშის დღეს დამესვენა და მიმოხილვა მეორე დღეს დამეწერა. მატჩის შემდეგ სათაურზე ბევრი ვიფიქრე, გონებაში საქართველოს ნაკრები **ფაჩულიას** BMW-ს შევადარე, ბელარუსი - ამავე სახელწოდების ტრაქტორს. თუმცა ეს შედარება სათაურად აღარ გამოდგებოდა, რადგან ერთხელ უკვე გამოვიყენე: "ვოლვოს გავასწარით, წინ ბელარუსია". ბევრნაირად ვატრიალე სიტყვა მოგილიოვიც, მაგრამ ეს ტოპონიმი არსებით სახელად რომ გადავაკეთოთ და ქართულად ვთარგმნოთ, არასასიამოვნო რამეს მივიღებთ...

...მეორე დილას სათაურზე ფიქრში ბელარუსები წამომეშველნენ - ერთ-ერთ საიტზე მატჩის მიმოხილვას ასეთი სათაური ჰქონდა: „Грузины нас сделали"! ეს გაცილებით უკეთესად მიესადაგებოდა მატჩის სურათს, ვიდრე სხვა ბელარუსული სათაური: "ქართული "ლეზგინკა" სერბული არანჟირებით". "ლეზგინკა" ცეკვა "ლეკურია"... ასე უკეთესად ჟღერს: ქართული ხორუმი სერბული არანჟირებით. ნაკრების მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი** სერბი რომ არის, ამის შეხსენება არ დაგჭირდებათ.

■ ■ ■

როგორც ვთქვი, მატჩის შაბათსვე დაწერა აუცილებელი არ იყო. ამიტომ საქართველოს ნაკრების კალათბურთელთა სამშობლოში დაბრუნებას დაველოდე. საინტერესო იყო მათი მოსაზრებების მოსმენა, რაც მიმოხილვისას აუცილებლად გამომადგებოდა.

შაბათს, მატჩის შემდეგ გადავწყვიტე ასეთი რამ დამეწერა: საქართველოს ნაკრებმა ბელარუსში 89:75 გაიმარჯვა. 14-ქულიანი სხვაობა კი ის ფორაა, რომლის თუნდაც ერთ პერიოდში აღმოფხვრა შესაძლებელია. ამიტომ 9 სექტემბრის მატჩის წინ მოდუნება არ შეიძლება. არც გულშემატკივარმა უნდა ჩათვალოს საქმე მოთავებულად, არც - კალათბურთელებმა. მით უმეტეს, რომ ბელარუსთა მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ პაპკოვმა** სიამაყით აღნიშნა – ჩემი შეგირდები სტუმრად უფრო კარგად თამაშობენ, ვიდრე საკუთარი გულშემატკივრების წინაშეო.




კოტე ტულუში და ლაშა გამყრელიძე

კვირას, 2 საათზე, აეროპორტის გამოსასვლელიდან მომავალი კალათბურთელების სახეების ხილვის შემდეგ დავრწმუნდი: იმის შეხსენება, რომ 14-ქულიანი სხვაობა საბოლოო გამარჯვებას არ ნიშნავს, აუცილებელი სულაც არ იყო, რადგან წითელ მაისურებში გამოწყობილ სპორტსმენებს სახეზე სერიოზულობა ეტყობოდათ, სულაც არ იყვნენ ეიფორიაში, ხოლო საუბრისას ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ მთავარი ბრძოლა 9 სექტემბერსაა. თუმცა, მეტოქის იმაზე მეტი სხვაობით დამარცხებას აპირებენ, ვიდრე ბელარუსში.

» მე-4 გვერდზე

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

« მეორე გვერდიდან

■ ■ ■

ლოგიკურად, აქვე უნდა შემოგთავაზოთ კალათბურთელთა კომენტარები, მაგრამ ყველაფერი ლოგიკას რომ დავუქვემდებაროთ, ინტერესი გაქრება. ჩვენგან განსხვავებით, კალათბურთელებმა ბელარუსში ყველაფერი ლოგიკურად წარმართეს:

როცა ერთი გუნდი მეორეს თერთმეტი მოხსნით აჯობებს, ლოგიკურად 11-ით მეტ შეტევას ავითარებს და ნახევარი ზუსტად რომ დააგვირგვინოს, მეტოქეს 10-ზე მეტი ქულით უნდა მოუგოს. საქართველომ მოგილიოვში ბურთი 35-ჯერ მოხსნა, ბელარუსმა – 24-ჯერ.

ჩვენ მეტი სამქულიანიც გამოვიყენეთ - 19-დან 9, ბელარუსებმა – 24-დან 8. მართალია, მეტოქემ ჩვენზე ორით მეტი ორქულიანი ჩააგდო, მაგრამ ამას მატჩის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. საჯარიმოების მაჩვენებელმა შეხვედრის საინტერესო ანალიზი მოგვცა: 31 საჯარიმოდან 26 ჩავაგდეთ. ბელარუსებმა 14 საჯარიმო სტყორცნეს და 11 გამოიყენეს. როგორც ხედავთ, მეტოქეზე 20-ით მეტი თავისუფალი სროლა შევასრულეთ. ეს ლოგიკურია, რადგან მაღალი კლასის ქართველების შეჩერებას მასპინძლები გუნდური თამაშით რომ ვერ ახერხებდნენ, ყოველგვარ ბინძურ ხერხს მიმართავდნენ, ძალიან უხეშობდნენ, მსაჯები კი სტვენდნენ და სტვენდნენ...

■ ■ ■

საქართველოს ნაკრების წინა ოთხი მატჩის მიმოხილვისას მოვლენებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არ მივყოლილვარ. ლუქსემბურგთან, ირლანდიასთან და სლოვაკეთთან თანმიმდევრობის დაცვა აუცილებელი არ იყო. შვედეთთან შეიძლებოდა, მაგრამ ემოციებმა თავისი გაიტანა...

ჰოდა, მოვიდა დრო, ბელარუსთან მატჩზე მეოთხედების მიხედვით ვილაპარაკოთ...

პირველ პერიოდში ქართველებმა პერიმეტრზე მტკიცე ზღუდე აღმართეს და მეტოქეს საწყის 20 წუთში ოდენ 2 სამქულიანი ჩააგდებინეს. სამაგიეროდ, ბელარუსებმა ხერხი იხმარეს და სწორედ იქიდან შეგვიტიეს, საიდანაც ნაკლებად მოველოდით – ფარქვეშიდან. ისინი სწრაფი გარღვევებით საქართველოს ნაკრების ფარამდე აღწევდნენ და საწყის სამ წუთში 8:3 დაწინაურდნენ. თუმცა **ზაზა ფაჩულიამ, ვლადიმერ ბოისამ** და **ვიქტორ სანიკიძემ** დაცვაში თამაში მალე ააწყვეს და მატჩის დანარჩენ 37 წუთში მეტოქისთვის ფარქვეშ იოლად შეღწევის საშუალება არ მიუციათ.

პირველი პერიოდის ბოლოს იგორ კოკოშკოვმა **ტაირონ ელისი კოტე ტულუშით** შეცვალა. მწვრთნელის ასეთი მოქმედებით გამოჩნდა, რომ იგი კოტესაც ისევე ენდობა, როგორც ელისს. ნდობის გამართლება ტულუშს არ ეშლება და აკი დაგვანახვა: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჩემპიონატის წარმომადგენელია, ბელარუს თანაამპლუელებზე მაღალი კლასის კალათბურთელია. კოტეს მეორე სამქულიანის შემდეგ 26:19 დავწინაურდით. ხოლო მეორე პერიოდის მეოთხე წუთზე **ლაშა გამყრელიძემ** ფარიდან ასხლეტით სამქულიანი ჩააგდო და თანაგუნდელები ათი ქულით პირველად დააწინაურა. გასულ სეზონში ლაშაც რუსთავის "ენერჯის" ღირსებას იცავდა... ცხადია, მასზეც იგივეს თქმა შეიძლება, რაც ტულუშზე: ბელარუსებს აშკარად სჯობდა.

- გუნდის თამაშითაც და საკუთარი გარჯითაც კმაყოფილი ვარ. ოფიციალურ შეხვედრებში ეს ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო თამაში იყო, თუმცა საკონტროლი მატჩებში უკეთესადაც გავრჯილვარ. ბელარუსში უფრო დიდი სხვაობით გამარჯვებაც შეგვეძლო, მაგრამ ინციდენტის გამო მეტოქემ 22-ქულიანი უპირატესობა 14-მდე შეამცირა, - ასე შეაფასა თამაში კოტე ტულუშმა.

მესამე პერიოდს 13-ქულიანი ფორით შევხვდით. მასპინძლები ფარხმალს არ ჰყრიდნენ... გამოთქმაა ასეთი, თორემ მატჩის შემდეგაც კარგად გამოჩნდა, რომ ფარ-ხმალს ბელარუსებზე უკეთ ქართველები ხმარობენ. დავუბრუნდეთ მესამე პერიოდის დასაწყისს, როცა პაპკოვის შეგირდებმა სხვაობა შვიდ ქულამდე შეამცირეს (38:45). ამ დროს იფეთქა ვლადიმერ ბოისამ, რომელიც სამქულიანებს სწორედ პლეი ოფისთვის ინახავდა. მას ლუქსემბურგთან თამაშის შემდეგ რვა სამქულიანი ჰქონდა ნასროლი და ყველა აცილებული. ბელარუსთან კი 5-დან 4 ჩააგდო. 3 შორეული ტყორცნა ვოვამ მესამე პერიოდში გამოიყენა და მეოთხე ათწუთეულის წინ 10-ქულიანი უპირატესობა შეგვინარჩუნა: 64:54.



ვლადიმერ ბოისა და ზაზა ფაჩულია

- იცით, რა არის საინტერესო? ერთმა საკლუბო მწვრთნელმა მითხრა, შენი სამქულიანები საერთოდ არ მაინტერესებსო... ბელარუსში გავიმარჯვეთ, თუმცა ელიტაში ჯერ არ გადავსულვართ. წინ 9 სექტემბრის მატჩია, რომელშიც გამარჯვება ისევე გვჭირდება, როგორც 5 სექტემბერს. ამიტომ მომდევნო მატჩშიც მაქსიმალური მობილიზება გვმართებს, - ეს ვლადიმერ ბოისას სიტყვებია. აი, რა თქვა **ანატოლი ბოისამ:**

- პროგრამა - მინიმუმი ბელარუსში გამარჯვება იყო. ჩვენ კი პროგრამა მაქსიმუმი შევასრულეთ – 14 ქულის სხვაობით გავიმარჯვეთ. მომდევნო შეხვედრას კარგი განწყობით ვხვდებით.

მივადექით მეოთხე პერიოდს, რომლის დასაწყისში **ნიკა ცქიტიშვილმა** გაიბრწყინა: ზუსტად 46 წამში ორ სამქულიანს ორქულიანი მიაყოლა და ქართველები 76:57 დააწინაურა. მატჩის ბოლოს ქულა ქულას მიაყოლა ვიქტორ სანიკიძემ, რომელმაც 19-დან 11 ქულა ბოლო პერიოდში ჩააგდო. იგი ორი ეფექტური ალეი-უპის შესასრულებლად კალათზე გაცილებით მაღლა ახტა, რითაც კიდევ ერთხელ დაგვანახვა სხვაობა ჩვენსა და ბელარუსს შორის.

- იოლი მატჩი არ იყო. მასპინძლებმა სერიოზული ბრძოლა გაგვიმართეს, თუმცა ჩვენი თამაშის დემონსტრირება მოვახერხეთ და შეგვეძლო დიდი სხვაობით მოგებაც. ასეა თუ ისე, სტუმრად 14-ქულიანი გამარჯვებითაც კმაყოფილნი ვართ.

როგორც ხედავთ, სხვადასხვა ეპიზოდში ტულუშმა, გამყრელიძემ, ბოისამ, ცქიტიშვილმა და სანიკიძემ გაიბრწყინეს, რაც გუნდურ თამაშზე მიგვითითებს. ცინცაძემ და ელისმა მთელი თამაში დამაჯერებლად ჩაატარეს, თუმცა ქულებით არ გამორჩეულან. ...მაგრამ, ელისმაც ხომ იფეთქა: მატჩის დასრულებამდე 4:22 წუთით ადრე ტაირონს ბელარუსმა უკანახაზელმა მუხლში უკნიდან უხეშად ჩაარტყა. ელისი ჩაიკეცა, მერე გაცხარებული წამოდგა და პროვოკატორს გამოუდგა. იგი თანაგუნდელებმა მოედნის შუაში დაიჭირეს, შესაბამისად, ხელით არავის შეხებია. არა მგონია, მხოლოდ აგრესიის გამოხატვის გამო ელისს ბელარუსთან მეორე მატჩი გამოატოვებინონ. მისი მოქმედების შესახებ ფიბა დღეს-ხვალ იმსჯელებს.

პროვოკაციებზე ვთქვით და, ზაზა ფაჩულიასადმი გამოჩენილი უხეშობაც უნდა გავიხსენოთ. გუნდის კაპიტანზე სათქმელი ბოლოსთვის შემოვინახეთ. არც იგი აფეთქებულა. თუმცა ისედაც შთამბეჭდავად თამაშობდა და მეტად როგორ უნდა აფეთქებულიყო? ზაზა ორი წლის წინათ მსგავს უხეშობებს არავის აპატიებდა, შაბათს კი ტუჩს იკვნეტდა და ითმენდა, რადგან...

- კარგად ვიცი, პროვოკაციაზე წამოგება გუნდისთვის ზიანის მეტს არაფერს მოიტანდა. ამიტომ ვითმენდი. ძალიან გაბრაზებული ვარ და ჯავრს თბილისში ვიყრი, ოღონდ არა უხეში, არამედ კარგი თამაშით. ელისმა ვერ მოითმინა, თუმცა სასიამოვნოა, რომ თბილისში ტრავმებისა და დისკვალიფიკაციის გარეშე დავბრუნდით. პლეი ოფის არაერთი მატჩი მითამაშია. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ასეთი ძალისმიერ შეხვედრაში ამერიკაშიც არ მითამაშია. ბელარუსი თამაშით რომ ვერაფერს გახდა, ჭიდაობაზე გადმოვიდა. ჩვენც მტკიცედ დავუდექით, - ეს ზაზამ აეროპორტში თქვა.

...და A დივიზიონში გადასვლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატამდე რა ეტაპია გასავლელი? – დღეს ბევრი კითხულობს ამას. ელიტაში თითქმის გადასულები ვართ, ჰოლანდიას დაძახებალა გვიკლია. ჰოლანდიას 9 სექტემბერს ველით. მატჩი 19:00 საათზე დაიწყება.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვაღიაროთ: არასაფეხბურთო ქვეყანა ვართ!

05.09.09 თბილისი. ეროვნული.
45 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| საქართველო | 0 |
| იტალია | 2 |

*0:1 კალაძე (57-საკ. კარში), 0:2 კალაძე (68-საკ. კარში)*

*საქართველო: ლომაია - ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, კალაძე, სანაია - რაზმაძე (73. ცქიტიშვილი), ხმალაძე, კობიაშვილი - ანანიძე (59. ვაწაძე), ყენია - დვალიშვილი.*

*სათადარიგოები: მამალაძე, ა. კვახაძე, დევდარიანი, თ. ლონლაძე, მენთეშაშვილი*

*იტალია: ბუფონი - ძამბროტა, კანავარო, კიელინი, კრიშიტო - პირლო, პალომბო - მარკიონი (58. დაგოსტინო), როსი (58. კვალიარელა), კამორანეზი (72. სანტონი) - იაკვინტა.*

*სათადარიგოები: მარკეტი, ლეგროტალიე, დი ნატალე, ჯილარდინო*

*გაფრთხილება: კრიშიტო (25), ხმალაძე (80), კობიაშვილი (90)*

*არბიტრი: მ. ბორსკი (პოლონეთი)*

## სამწუხარო პარალელები და... თარსი 13

...კვლავ წავაგეთ! ან რის (გნებავთ, ვის) იმედზე უნდა ვყოფილიყავით? მალტასთან და მისნაირ „ჯუჯა" და არასაფეხბურთო ქვეყნებთან ვმარცხდებით და მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთან რამეს „გამოვკრავდით"? სამაგიეროდ, ერთდროულად... რამდენიმე „ტრადიცია" არ დავარღვიეთ: როგორც წესი, იტალიელებთან ორ ბურთზე მეტი სხვაობით არასდროს ვაგებდით და ახლაც ასე მოხდა! არანაკლებ „მნიშვნელოვანია" ის გარემოებაც, რომ **ექტორ რაულ კუპერის** ხელმძღვანელობით, საქართველოს ნაკრებს ასევე ორ ბურთზე მეტი სხვაობით მატჩი არ წაუგია და, როგორც ხედავთ, ამ შემთხვევაშიც, უკანსვლა არა გვაქვს! ხოლო ის ფაქტი, რომ უკვე წელიწადზე მეტია საქართველოს ნაკრებს აღარ გაუმარჯვია, ეს მართლაც შესაგუებელი ფაქტია; ანუ, საქართველოს ნაკრები გუნდების შედეგები რეალურად ასახავს იმ სიტუაციას, რა მდგომარეობაშიც არის ბოლოდროინდელი ქართული ფეხბურთი. ძალიან, ძალიან ძნელია ამასთან შეგუება, მაგრამ მართლაც სამწუხარო რეალობაა - ჩვენს ქვეყანას... „ჯუჯა" - არა, მაგრამ, აი, არასაფეხბურთო კი ნაღდად უნდა ვუწოდოთ. უფრო ზუსტად, ალბათ იმის დროც მოვიდა, რომ „რალაც" ილუზიებით აღარ ვიცხოვროთ; რა თქმა უნდა, არასაფეხბურთო ცხოვრებას ვგულისხმობთ და ამიტომაც ვართ ქვეჯგუფში ბოლო ადგილზე...

...საქართველო-იტალიის მატჩის დღეს კუპერის უიღბლობა გავიხსენეთ: საკლუბო დონეზე მართლაც თავგამოჩენილი მწვრთნელის ევროტურნირებზე სამი (!) წაგებული ფინალი და მეტისმეტად უცნაურად დაკარგული „სკუდეტო"; ისიც ვთქვით, რომ იმდღევანდელი შეხვედრა საქართველოს ნაკრების თავკაცის პოსტზე არგენტინელი მწვრთნელისთვის... მეცამეტე უნდა ყოფილიყო! მაგრამ ბოლოს „ტრადიციულ-ქართული" საფეხბურთო ოპტიმიზმიც გამოვთქვით: „ხომ შეიძლება, კუპერის უიღბლობაც დასრულდეს და ჩვენმა ნაკრებმაც ტრადიციული, ხმაურიანი სიურპრიზი შემოგვთავაზოს, ყველა შესარჩევი ეტაპის მიწურულს რომ იცის ხოლმე..."

...სიურპრიზი, თან არაერთი, მართლაც, ვნახეთ; ჯერ, რა თქმა უნდა, სასიამოვნო უნდა ვახსენოთ: სხვების რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენ კი ნამდვილად არ ველოდით სტადიონზე ამდენი გულშემატკივრის მოსვლას! სამწუხაროდ, სიურპრიზთაგან მხოლოდ ეს იყო სასიამოვნო; დანარჩენი კი, გვინდა თუ არა, არგენტინელი მწვრთნელის „ტრადიციულ" უიღბლობასა და სიჯიუტეს, ჩვენ ფეხბურთელთა უმრავლესობის საშემსრულებლო ოსტატობის არქონასაც და ... თარს, მეცამეტე შეხვედრას უნდა დავაბრალოთ!.



ყველაზე რეალური საგოლე მომენტი ლადო დვალიშვილს ჰქონდა

## სიჯიუტე თუ კვალიფიკაცია?

..."უიღბლობასა და სიჯიუტეს, უნდა დავაბრალოთო", ასე ვთქვით და კუპერის შეფასებისას კვლავაც ამ აზრზე ვრჩებით. არ დავმალავთ: ძალიან გაგვიხარდა, როცა არგენტინელი სპეციალისტი საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ამ ერთი წელიწადის განმავლობაში კუპერის მუშაობას თითქმის ყოველთვის პოზიტიურად ვაფასებდით; ბევრი, ძალიან ბევრი რამ იყო, ამ მწვრთნელის საქმიანობაში რომ მოგვწონდა: საქმისადმი სიყვარული, ბეჯითად მუშაობა, მუდამ სიახლის ძიება, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე დასწრება და აქაური პირველობიდან ახალ-ახალი სახეების ნაკრებში დაწინაურება, ტრადიციული „სამშაბათობები" და ასე შემდეგ. არანაკლებ სიმპათიას კი არა, უფრო მეტ დაფასებას იმსახურებდა იმის გამოც, რომ მის მიმართ ყველაზე კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტიც ვერ დააბრალებდა... ფეხბურთელების მიმართ სატრანსფერო დაინტერესებას. მაგრამ აქვე, „რაღაც-რაღაცებიც" არ მოგვწონდა - პირველ ყოვლისა, შედეგს ვგულისხმობთ; ანუ, რითაც ნებისმიერი მწვრთნელის მუშაობა ფასდება - წესიერი, მშრომელი, მცოდნე სპეციალისტიაო, ვამტკიცებდით და ამავე დროს, საქართველოს ნაკრები... თითქმის ყველა მეტოქესთან მარცხდებოდა. აღარაფერს ვამბობთ, კუპერის ზოგიერთ, რბილად რომ ვთქვათ, საკამათო საკადრო გადაწყვეტილებებზე. ანუ, ფაქტობრივად, მთელი ერთი წელიწადის განმავლობაში, მატჩი არ ყოფილა, გარკვეული კითხვები რომ არ გასჩენოდა ქართულ საფეხბურთო მედიასა თუ გულშემატკივრებს. სამწუხაროდ, „საექსპერიმენტო პოლიგონად" გადაქცეული საქართველოს ნაკრები თითქმის ყველა შეხვედრაში, აბსოლუტურად განსხვავებული შემადგენლობით ასპარეზობდა (ამ თემაზე უახლოეს დღეებში უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ). შორს წაგვიყვანს იმაზე ლაპარაკი, როგორ გამოადგებოდა ნაკრებს **მალხაზ ასათიანისა** თუ სხვა ფეხბურთელთა გამოცდილება, უბრალოდ, გვინდა, კონკრეტულ შეხვედრასთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გამოვთქვათ.

ჰო, სიჯიუტე ტყუილუბრალოდ არ გვიხსენებია; დღიდან მოსვლისა, კუპერი არ ღალატობდა 4-3-2-1 ტაქტიკურ განლაგებას. არადა, ნებისმიერი ტაქტიკური სქემა, ჩვენი აზრით, მეტოქიდან და... საკუთარი ფეხბურთელების შესაძლებლობებიდან გამომდინარე უნდა შეირჩეს. კუპერი კი არც ერთს ითვალისწინებდა და არც - მეორეს: შინ თუ გარეთ, სუსტთან (უფრო ზუსტად ასეთად რომ მივიჩნევდით) თუ ძლიერ მეტოქესთან, მუდამ ამ სქემას ანიჭებდა უპირატესობას (ხანდახან, უფრო ზუსტად, იშვიათი იყო ისეთი შემთხვევა, როცა ჩვენი ნაკრები 4-2-3-1-ზე „გადაეწყობოდა"); ახლაც, იტალიასთანაც, იგივე სურათი ვიხილეთ; მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ორივე გაშვებული გოლის მერე განხორციელებულ ცვლილებებს საერთო სურათი არ შეუცვლია. ანუ, ბევრს რომ ეგონა, ჩვენი ნაკრები ორი ფორვარდით შეუტევდა, მწარედ შეცდა - **მათე ვაწაძემ**... მარცხენა ინსაიდის ადგილი დაიკავა!

არანაკლები სიურპრიზი იყო საპირისპირო ფლანგზე ვეტერანი **ლევან ცქიტიშვილის** შემოყვანაც; თან იმ დროს, როცა ახალგაზრდა და ენერგიულ **დომენიკო კრიშიტოს** უკვე „აკლებული" ჰქონდა ჩვენი მარჯვენა ფლანგი და ამ დროს მის წინააღმდეგ ცქიტიშვილის დაყენება, ცოტა არ იყოს, გაუგებარიც ჩანდა. სხვათა შორის, ცქიტიშვილი ამჟამად უგუნდოდ არის და კუპერმა მაინც უხმო ნაკრებში; არადა, ეს გამოცდილი ნახევარმცველი შარშან ზღაპრულ ფორმაში რომ იყო, კუპერი თითქოსდა ვერ ამჩნევდა და ნაკრებს ახლოს არ აკარებდა...

ჰო, ბევრი ფეხბურთელის ამპლუა, დღესაც გაურკვეველია; აბა, ბურთის „დამჭერ", თან ასაკოვან ფეხბურთელს რომ ფლანგზე გაამწესებ, ბევრი კითხვაც დაგებადება; ისე, როგორც 16 წლის **ჯანო ანანიძის** ძირითადში დაყენება. არავინ უარყოფს, რომ მოსკოვის „სპარტაკის" ქართველი ლეგიონერი უაღრესად ნიჭიერი ბიჭია და აუცილებელი კი არა, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მის ნაკრებში გამოძახებას და თუნდაც რამდენიმე წუთით მოედანზე შეყვანას; მაგრამ ძირითადში, თან, იტალიის წინააღმდეგ?

... და კიდევ, ერთ, არცთუ უმნიშვნელო ფაქტორზეც; ბოლოს და ბოლოს, **ლევან კობიაშვილს** შესაფერისი ადგილი ხომ უნდა მოეძებნოს? ფაქტია, რომ უდიდესი გამოცდილებისა და ნაკრებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურას მაქსიმალურად ეფექტიანად ვერ ვიყენებთ. რა თქმა უნდა, მოედნის ცენტრის ერთდროულად სამი „საყრდენით" გამაგრება (თან - იტალიასთან) შესაძლოა, აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, მაგრამ იმავე მოედნის შუაგულში ერთი ფეხბურთელი ხომ მაინც უნდა ყოფილიყო, ბურთი რომ „დაეჭირა"? აი, იტალიელებს რომ ჰყავდათ **ანდრეა პირლოს** სახით...



>> მე-5 გვერდზე

<< მეორე გვერდიდან

## მათ ჰყავდათ... ლიპი, პირლო, ბუფონი და სხვები

დაცვიდან ბურთის დროულად და ზუსტად „ამოტანა", მეტოქისათვის სივრცეების მაქსიმალურად შეზღუდვა, სათამაშო რგოლებს შორის მანძილის მინიმუმამდე შემცირება, „ერთი შეხებით" თამაში, პრესინგი მთელ მოედანზე, სტანდარტული მდგომარეობების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება და... სახიფათო მომენტების რეალიზაციის მაღალი პროცენტი, - თანამედროვე ფეხბურთში, ნებისმიერი გუნდი (გნებავთ, ნაკრები) ამ კომპონენტებში მოწინააღმდეგეს რომ აჯობებს, თავისთავად, სასურველი შედეგიც იქნება. ალარაფერს ვამბობთ, იმ, მართლაც, „ელემენტარულ" ნიუანსებზე, სათამაშო დისციპლინის მკაცრი დაცვა, ცალკეული ფეხბურთელის ინდივიდუალური ოსტატობა და... მწვრთნელის ფაქტორი რომ ჰქვია!

აი, იტალიას, **მარჩელო ლიპი** ჰყავს - თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ტაქტიკოსი და სტრატეგი; რა თქმა უნდა, სად - იტალია და სად - ჩვენ, ანუ, ფეხბურთელების არჩევანზე ვლაპარაკობთ; მაგრამ, როგორ გგონიათ, იტალიელებს არ ჰქონდათ საკადრო პრობლემები? მაგრამ, ლიპი, იმიტომაც არის დიდი მწვრთნელი, რომ კონკრეტული შეხვედრისათვის ოპტიმალური შემადგენლობა შეარჩია და სასურველი შედეგიც მიიღო! მერე, რა ცვლილებები გააკეთა? თან, როდის - პირველი გოლის შემდეგ, მოედანზე შემოსულმა **გაეტანო დაგოსტინომ** და **ფაბიო კვალიარელამ** ხომ, საერთოდ, წალეკეს ჩვენი მარჯვენა ფლანგი თუ დაცვის ცენტრი; მეორე გოლი გავუშვით და ახლა უკვე ახალგაზრდა **დავიდე სანტონი** ჩართო თამაშში და უკვე მარცხენა ფლანგი გაგვიცამტვერეს; მოკლედ, იდგა, ეს ჭალარა მაესტრო მოედნის კიდესთან და თამაშს „კითხულობდა"!..

...თამაშის დაწყებამდე, გვერდით მჯდომმა თანამშრომელმა **ნიკოლოზ ნეფარიძემ** „დამამშვიდა": იტალიელებს **დე როსი** დისკვალიფიცირებული ჰყავთ და პირლოც ... სათანადო ფორმაში ვერ არისო! რა თქმა უნდა, პირლოს ბევრი უკლია **მარადონამდე** თუ **ზიდანამდე**, მაგრამ, მსოფლიო ფეხბურთში მსგავსი ჭკვიანი „საყრდენი", ალბათ თითზე ჩამოსათვლელნი თუ იქნებიან (ერთადერთი, ესპანეთის ნაკრების შუახაზელები გვახსენდება). ხანდახან, ვერც გაიგებ - მართლაც, „საყრდენია" თუ კლასიკური გამთამაშებელი! იმიტომ, რომ ერთნაირი წარმატებით შეუძლია მეტოქის შეტევების ჩაშლაც და საკუთარი გუნდის იერიშების წამოწყებაც; მის მიერ შესრულებულ სტანდარტულებზე თუ „პასის კულტურაზე" კი, ალბათ, საუბარი უადგილოც არის...

...მატჩის დასრულებამდე ექვსი წუთი რჩებოდა, სტუმრები ორი ბურთის სხვაობით გვამარცხებდნენ და ჩვენ ნახევარზე, რასაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ; და აი, ერთ-ერთი იშვიათი ჩვენი იერიშის დროს, თუ არ ვცდებით, **ჯორჯო კიელინის**, ბურთი აეჭრა და კუთხურზე გადავიდოდა, რომ არა... **ჯან-ლუიჯი ბუფონის** სპრინტერული გამორბენი კარიდან! მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ იმდენი მაინც მოახერხა, რომ აკრობატულ ნახტომში (კინაღამ ტრავმის ფასად რომ დაუჯდა), ბურთი, კუთხურის ნაცვლად... აუტში მოიგერია! იმაზე ალარაფერს ვამბობთ, ასევე 0:2-ზე, თანაგუნდელი დომენიკო კრიშიტო საკუთარ კარში რომ გზავნიდა ბურთს (რა კომმარი იყო- კინაღამ, მესამე ავტოგოლი ვნახეთ), თუ როგორი რეაქციის წყალობით შესძლო საკუთარი კარის მშრალად შენახვა. ან, მანამდე, ვიდრე ის საშინელი თერთმეტწუთიანი მონაკვეთი დადგებოდა, რა ბურთები მოიგერია! არადა, ორივეჯერ, **ლევან ხმალაძეც** და **ლადო დვალიშვილიც**, მეტოქის კარიდან, ალბათ, ორი-სამი მეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ; ორივე შემთხვევაში , როგორც იტყვიან, წესითა და რიგით... იტალიელთა კარში გოლიც უნდა გვეხილა, მაგრამ ბუფონმა ორივეჯერ ზღაპრულად ითამაშა და ახლო მანძილიდან თავით დარტყმული ბურთებიც მოიგერია. სხვათა შორის, მხოლოდ ახლა მოხდა, ბუფონს... საქართველოში გოლი რომ ვერ გავუტანეთ - წინა სამ შემთხვევაში ეს ზღაპრული მეკარე ხომ ჩვენებმა ოთხჯერ დაამწუხრეს...



უტევს ლევან კობიაშვილი

## პიროვნული ტრაგედია და ალბათ... მეტიც

...ტაბლოზე მხოლოდ ანგარიში იყო დაფიქსირებული - 0:2! არადა, როგორც წესი, გატანილი გოლის ავტორ(ებ)ი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ჩვენი აზრით, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო, აბსოლუტურად სწორად მოიქცა. ან, რა - როგორ გგონიათ, ჩვენ გვიადვილდება ამ თემაზე წერა? ზემოთ, თერთმეტწუთიანი კოშმარი, ვახსენეთ; არა, ეს, „კოშმარზე" მეტი იყო, ალბათ, ნებისმიერი ფეხბურთელისათვის უდიდესი ფსიქოლოგიური შოკი!

...ვილაცამ, **პიერ ისა** გაიხსენა - სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე... ორი „ავტოგოლი" რომ გაიტანა; მეორემ, სხვა, თან, არცთუ „პირდაპირ კავშირში" მყოფი შედარებაც მოახდინა - **მარტინ პალერმომ** სანაკრებო დონეზე, ერთ მატჩში ... სამი პენალტი გააფუჭაო; მაგრამ, არც პალერმო გვაინტერესებს ახლა (მარადონამ რომ ნაკრებში დააბრუნა) და არც ისა - საქართველოს ნაკრების კარში ორივე გოლი... ჩვენმა ფეხბურთელმა გაიტანა!.. მტერს არ უსურვებდით იმ ფეხბურთელის დღეში ყოფნას, საკუთარი ქომაგების წინაშე ასეთი, მართლაც, ტრაგედია რომ შეემთხვევა; მით უფრო, როცა ეს ფეხბურთელი... გუნდის ყველაზე გამოცდილი წევრი, ლიდერი და კაპიტანია...

... კიდევ ვიმეორებთ, ძალიან გვიჭირს ამ თემაზე წერა; მით უფრო, როცა საუბარია **კახა კალაძეზე**; ფეხბურთელზე, ვისთვისაც საფეხბურთო კარიერის „ათვლის წერტილად" 1997 წლის 10 სექტემბერის მატჩი იქცა, როცა ძალიან ბევრისთვის უცნობი 19 წლის ბიჭი უმალ იქცა ქართველ ქომაგთა კერპად! არადა მართლაც, ბედის დაცინვაა, თუ მეტი - არა: საქართველოს ნაკრების მეტოქე მაშინაც ხომ... იტალია იყო?!

...რა დრო უნდა გავიდეს, კახა კალაძის მსგავსი მიღწევებით ვინმემ რომ გაგვანებივროს; ჰო, ეგრეა - საქართველოში ყველაზე ტიტულოვან ფეხბურთელს სხვა უამრავ „წვრილმან" ჯილდოებთან („სკუდეტო", ნაირ-ნაირი თასები) ერთად, ჩემპიონთა ლიგა სულაც ორჯერ აქვს მოგებული! გვინდა, რომ კალაძისთვის ტიტულებით მდიდარი კარიერა კიდევ დიდხანს გაგრძელდეს და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ნაკრებში; არ გვაინტერესებს, „ცხელ გულზე", მატჩის შემდეგ რა ან როგორ თქვა ჩვენმა კაპიტანმა, მაგრამ არც უნდა დავუშვათ, რომ ამ ორი ავტოგოლის გამო შევრისხოთ და შევიძულოთ; ვიცით, არც ჩვენ აგვცდება მავანთა მხრიდან ქილიკი თუ აგრესიაც: „რას წერთ, და როგორ ამართლებთ - კალაძის ორი ავტოგოლის გამო წავაგეთ შეხვედრაო"; მაგრამ, მაინც ჩვენ აზრზე ვდგავართ: არავინ იცის, რა და როგორ მოხდებოდა, ის ორი კოშმარული ავტოგოლი რომ არ ყოფილიყო; თუმცა, ვერც რეალობას გავექცევით: თითქმის თანაბარი ბრძოლა მიდიოდა, პირველი ავტოგოლი რომ გავიდა; ამას კი მეორე მოჰყვა და შემდეგ ხომ, ფაქტობრივად, თამაში არც ყოფილა...

...იმ ორი კოშმარული ეპიზოდის შემდეგ კალაძემ რამდენჯერაც ბურთი მიიღო, ტრიბუნებიდან სტვენა და აგრესია მოდიოდა; გვაპატიონ ქართველმა ქომაგებმა, მაგრამ ასე ხელაღებით კაცის მოძულებაში ნამდვილად ვერ დავეთანხმებით; გვესმის, რომ წაგება არავის სურდა, მაგრამ ფეხბურთელიც ხომ უნდა დავინდოთ? ჰო, ნამდვილად არ მიგვაჩნია სწორად, რომ ერთი (გნებავთ - ორი) ფატალური შეცდომის გამო შენიანს ასე მოეპყრო; აი, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ იყო: **შოთა არველაძეს** თურქეთის ნაკრებთან საშინაო შეხვედრაში ქართველმა გულშემატკივარმა ობსტრუქცია რომ მოუწყო...

...კახა კალაძისთვის 5 სექტემბერი, მართლაც, კოშმარულ დღედ დარჩება; ჩვენ საკუთარი აზრი გაგვაჩნია და ნამდვილად არ ვაპირებთ ბოლომდე „წაქცევას"; თუმცა, ასევე საკუთარი აზრი გვინდა გამოვთქვათ არცთუ უმნიშვნელო ნიუანსზეც. „მილანის" ქართველ ლეგიონერს, როგორც ყველამ ვიცით, ხანგრძლივი პაუზა ჰქონდა და ტრავმისა თუ შემდგომი სარეაბილიტაციო პროცესის შემდეგ თუ არ ვცდებით, თებერვლის მერე არ უთამაშია. ანუ, სათამაშო პრაქტიკას მოკლებული, მთლად ბოლომდე ვერ იქნებოდა იდეალურ ფორმაში. ყოველივე ეს კი, ალბათ, თვითონაც ყველაზე უკეთ ეცოდინებოდა. ანუ, იმის თქმა გვსურს, რომ ბოლომდე მოუმზადებელს, ალბათ, იტალიასთან არ უნდა ეთამაშა; მაგრამ, მართლაც, ასე რომ მომხდარიყო და ჩვენ კაპიტანს ეს შეხვედრა გამოეტოვებინა, შემდეგ კი იტალიის ჩემპიონატში გამოჩენილიყო, მაშინათვე, ერთი ამბავი ატყდებოდა - აი, ნაკრები არ აინტერესებს, ფეხებს გაუფრთხილდა და ასე შემდეგ...

... დიდი ხანი არ არის გასული, კახა კალაძემ უდიდესი პირადი ტრაგედია რომ გადაიტანა: უახლოესი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული უდიდესი სულიერი ტკივილის მიუხედავად, ახალგაზრდა კაცმა ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა და კარიერაში ახალ-ახალ წარმატებას მიაღწია. გვინდა გვჯეროდეს, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი ამ „ფსიქოლოგიური შოკიდანაც" მალე გამოვა; ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს დასაკარგი ფეხბურთელები ნამდვილად არ ჰყავს!..




ჯანო ანანიძემ (ბურთით) სადებიუტო მატჩში თავი ვერაფრით გამოიჩინა

**გია ტუხაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

პრესკონფერენცია




# ლიპი: ალბათ, რამეს მოვახერხებდით...

- საქართველოს ნაკრებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ეს კი ფეხბურთის ფედერაციისა და ექტორ კუპერის დამსახურებაა. აშკარაა, რომ მათ დიდი შრომა გასწიეს. მართალია, ჯერჯერობით, თქვენს გუნდს შესარჩევ ციკლში გამარჯვება არ მოუპოვებია, მაგრამ თქვენს მიერ არჩეული კურსი შედეგს აუცილებლად გამოიღებს. საქართველოს ნაკრებს არაერთი პერსპექტიული ფეხბურთელი ჰყავს, რომელთა წყლობითაც თქვენი გუნდის შედეგები უახლოეს მომავალში გაუმჯობესდება. მოხიბლული ვარ იმ ატმოსფეროთი, რომელიც სტადიონზე მატჩისას ტრიალებდა. მატჩს დაახლოებით 50 ათასი ქართველი გულშემატკივარი დაესწრო, რამაც გარკვეული დისკომფორტი შეგვიქმნა. საქართველოს ჰიმნიდან დაწყებული, თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში იგრძნობოდა ხალხის განწყობა. იტალიის ნაკრებმა დაცვაში კარგად ითამაშა, შეტევაში კი საკმაო პრობლემები გვქონდა. პირველ გოლამდე არცთუ კომფორტულ ვითარებაში ვიყავით და რომ არა ჩვენი გუნდის ლიდერის, ჯანლუიჯი ბუფონის ოსტატობა, გამარჯვება ძალიან გაგვიჭირდებოდა. შეხვედრის დასკვნით ნაწილში კი ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იყო და ენერგია ბოლომდე აღარ დაგვიხარჯავს, ძალები შემდეგი მატჩისთვის შემოვინახეთ. დღევანდელი თამაშით კი კმაყოფილი ვარ. ავტოგოლებს რაც შეეხება, მეორე გოლი შემთხვევითობა იყო, პირველ ჯერზე კი კრიშიტომ ითამაშა კარგად და კალაძე აიძულა, შეცდომა დაეშვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს გოლი ჩვენი ფეხბურთელის დამსახურებაა.

**- რა არის თქვენს გუნდში შესაცვლელი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის?**

- ამაზე საუბარი ნაადრევია, რადგან ჯერჯერობით, ფინალური ტურნირის საგზური არ მოგვიპოვებია.

**- იტალიის ნაკრებს ყოველთვის ჰყავდა გამორჩეული შემქმნელი ფეხბურთელები. ამჟამად ვის მიიჩნევთ ასეთად?**

- ბუფონს.

**- რომ არა ავტოგოლები, შეძლებდა თუ არა იტალიის ნაკრები ამ მატჩის მოგებას?**

- გამარჯვების დიდი სურვილი გვქონდა, მაგრამ სხვა საქმეა, რა გამოგვივიდოდა. ალბათ, რამეს ისედაც გავახერხებდით...

## კუპერი: იტალიამ ვერ დაგვჯაბნა

- ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებმა არცთუ ურიგოდ ითამაშა. შეხვედრა კარგად დავიწყეთ და შეტევაშიც ნორმალურად გამოვიყურებოდით, გოლი კი იმიტომ ვერ გავიტანეთ, რომ მეტოქის საჯარიმოში ბოლო პასს ვერ ვაკეთებდით. შედეგით კი რალა თქმა უნდა, დამწუხრებული და უკმაყოფილო ვარ. მარცხი მით უფრო იმიტომაა საწყენი, რომ იტალიამ ბევრით ვერაფრით გვაჯობა. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენმა გუნდმა მებრძოლი სული გამოავლინა.

**- კალაძეს გასახდელში რა უთხარით?**

- ძალიან სამწუხაროა, რომ მას ასეთი რამ შეემთხვა. ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ამისგან არავინაა დაზღვეული. ზედმეტია იმაზე საუბარი, როგორი კლასის ფეხბურთელია კალაძე. ყველა მწვრთნელმა და თანაგუნდელმა მას თანადგომა გამოუცხადა.

**- რატომ ხდება, რომ ძლიერ მეტოქეებთან მაქსიმალურად მობილიზებულები ვთამაშობთ, სუსტებთან კი ძალიან ცუდად გამოვიყურებით?**

- რა თქმა უნდა, იდეალური იქნებოდა, ასეთი სტიმული საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს ყველა მატჩის წინ ჰქონდეთ, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ძალიან რთულად მისაღწევი საქმეა. სხვა პრობლემებთან ერთად, ფეხბურთელთა სათანადოდ განწყობაში დროის სიმცირეც გვიშლის ხელს. სანაკრებო შეხვედრებისთვის მოსამზადებლად სულ რაღაც 3-4 დღეა ხოლმე ჩვენს განკარგულებაში, რაც ძალიან ცოტაა. სტიმულსა და მოტივაციას დადებითი შედეგები ზრდის, რასაც სამწუხაროდ, აქამდე ვერ მივაღწიეთ, მიმდინარე შესარჩევ ციკლში ჯერ ვერ გავიმარჯვეთ. ყველაფრის მიუხედავად, მე მჯერა, რომ ჩვენი შრომა შედეგს გამოიღებს და შემდეგ ციკლში წარმატებით ვიასპარეზებთ. ამ შესარჩევ ტურნირში დარჩენილ ორ მატჩში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ და იმედია, მინიმუმ ერთ თამაშს მაინც მოვიგებთ. ამის რწმენა გვაქვს და მჯერა, მიზანს შევასრულებთ.

**- რა მოსაზრებით იხელმძღვანელეთ, როცა ნაკრებში ათამაშეთ უგუნდო ცქიტიშვილი და სკამზე დატოვეთ ახალგაზრდა დევდარიანი?**

- საკადრო საკითხებზე გადაწყვეტილებას პირადად მე ვიღებ და ბუნებრივია, შედეგებზეც პასუხისმგებელი ვარ. დღეს ცქიტიშვილი შეცვლაზე იმიტომ შევუშვი, რომ გამოცდილია და მოედნის ხედვით გამოირჩევა. მას ბურთის „დაჭერა" და თამაშის გამწვავება დაევალა. დევდარიანს რაც შეეხება, მასზე ნამდვილად დადებითი აზრის ვარ და თავის გამოჩენის შანსს აუცილებლად მივცემ. ამ რთულ მატჩში კი არჩევანი გამოცდილ ფეხბურთელზე შევაჩერე.

**- ანანიძის თამაშს როგორ შეაფასებთ?**

- ძირითად შემადგენლობაში თამაში მისთვის უდიდესი პასუხისმგებლობა იყო და მიმაჩნია, რომ ამოცანას თავი წარმატებით გაართვა.

**- რომ არა ასეთი უიღბლობა, ექნებოდა საქართველოს გამარჯვების შანსი?**

- ვიმეორებ, ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია, იტალიამ ვერ დაგვჯაბნა. გოლის გატანაც შეგვეძლო და საკუთარი კარის მშრალად შენახვაც.

**- არადა, ლიპიმ თქვა, მაინც გავიტანდითო...**

- მის აზრს პატივს ვცემ, მაგრამ ვერ დავეთანხმები.

ლევან ჯანეზაშვილი




მატჩის შემდეგ

# კახა კალაძე: ბოდიში!

მატჩის შემდეგ, ეროვნული სტადიონის გასახდელების შესასვლელთან სამწუხაროდ ტრადიციად ქეული სურათი დაგვიხვდა, დამწუხრებული ქართველობა და გახარებული სტუმრები. მეტოქე ამჯერად მსოფლიო ჩემპიონი იტალია იყო, რომელთაც თბილისური მოგებით მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ასპარეზობა უკვე გაინაღდეს... ერთიც უნდა აღინიშნოს, ალბათ ყველა დაგვეთანხმება, რომ ძალზედ ძნელია გაიხსენო ასე სუსტად მოთამაშე იტალიის ნაკრები. ასევე, სამწუხაროდ ძნელია ისე დისციპლინირებულად მოთამაშე ჩვენი ეროვნული გაიხსენო, რომელიც შაბათს იტალიასთან პირველ ტაიმში ვიხილეთ - აშკარად იკითხებოდა მწვთნელის ტაქტიკა და ისიც ნათლად ჩანდა, რომ სათამაშო დისციპლინის გარდა ყველა ჩვენმა ფეხბურთელმა


კახა კალაძე

იცოდა თუ რა უნდა ეკეთებინა... ასე იყო ავადსახსენებელ პირველ ავტოგოლამდე... თუმცა ერთი ხანობა ჩვენმა გუნდმა კიდევ გაიბრძოლა, მაგრამ მხოლოდ მეორე ავტოგოლამდე... მერე ჩვენი გუნდი დაიშალა... 5 სექტემბრის მატჩი იმითაც იყო კურიოზული, რომ სტუმართა მეკარე **ჯანლუიჯი ბუფონს** რომ არ ემარჯვა ორი ავტოგოლის შემდეგ კიდევ ერთსაც ვიხილავდით, ამჯერად იტალიელთა შესრულებით. ავტოგოლები სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვთქვათ, **კახა კალაძისთვის** 5 სექტემბერი დანავსული დღე იყო. დღე რომელიც ქათველი გულშემატკივრის გარდა, თავად კახასაც მწარედ დაამახსოვრდა და ამის გამო გულჩამწვარი რომ იყო, ეს აშკარად ემჩნეოდა მატჩის შემდეგ... კომენტარში მან საქვეყნოდ ბოდიში მოიხადა...

კახა კალაძე: *„ჩვენმა გუნდმა ეს მატჩი ჩინებულად ჩაატარა. ფეხბურთელებმა თავდადებით ითამაშეს, ყველამ მთელი სული და გული ჩადო ამ მატჩში, მაგრამ... სამწუხაროდ, ჩემი შეცდომების გამო, მეტოქე ორი გოლი გავუშვით. ძალიან ვწუხვარ და გულწრფელად ბოდიშს ვუხდი მთელ ჩვენს გუნდს, ქართველ გულშემატკივარს, მთელ საქართველოს... მართალია ეს ფეხბურთია და ყველაფერრი ხდება, მაგრამ მსგავსი არ შეიძლება არ მაღიზიანებდეს, გულჩამწვარი ვარ, კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდი".*

კალაძეს თანაუგრძნო „იუვენტუსის" მცველმა **ფაბიო კანავარომ** და კახას თანაკლუბელმა **ჯანლუკა ძამბროტამ**. ამ უკანასკნელის ნათქვამი ჩვენმა აპენინელმა კოლეგა **ფაბიო ლიკარიმ** სიტყვა-სიტყვით გვითარგმნა ინგლისურად და იქვე დასძინა, რომ კანავარომაც თითქმის იგივე აღნიშნა საქართველოს ნაკრების კაპიტნის მისამართით.

*„ყველა ფეხბურთელისთვის ძალზედ რთული გადასატანია, როცა მისი შეცდომით მეტოქე სარგებლობს. მით უფრო ძნელია ეს, როცა ერთ შეხვედრაში ორ ასეთ შეცდომასთან გვაქვს საქმე. კარგად მესმის ახლა კალაძის მდგომარეობა, ის ორმაგად გულმოკლულია. ყველას ვთხოვდი, თავად კახა კალაძის მდგომარეობა გაითვალისწინოს, მას ახლა მხარდაჭერა და გამხნევება სჭირდება. კალაძის კარგ თამაშებსაც ნურავინ დაივიწყებს... მსგავსი უხერხული და რთული ვითარებისგან არავინაა დაზღვეული... ასეთ მდგომარეობაში არაერთი ცნობილი ფეხბურთელი ყოფილა. მჯერა კალაძეს საკუთარი გულშემატკივრისგან მხარში დგომა არ მოაკლდება, ჩვენ ჩვენი ვიფიქროთ. ყველაზე მეტად ის მაფიქრებს, რომ უკვე მეოთხე მატჩია ჩვენს გუნდს გოლი არ გაუტანია".*

**ზურაბ ხიზანიშვილი:** *„იტალიელებს თბილისში 3 ქულა ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ გოლამდე ისეთი თამაში ვაჩვენეთ, რომ მეტოქეს აშკარად გაუჭირდებოდა გამარჯვების მოპოვება. საგოლე მომენტებიდან ერთ-ერთი მაინც რომ გაგვეტანა და ანგარიში ჩვენ რომ გაგვეხსნა, ამ თამაშს არ წავაგებდით. თუმცა სამწუხაროდ ასე არ მოხდა".*

**ამირან სანაია:** *„პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ და მეორე ნახევარში რიკოშეტით მიღებული გოლი რომ არა ჩვენი გუნდი არ მოიშლებოდა... დასანანია, მაგრამ წავაგეთ. არა და შეიძლებოდა ეს თამაში არ წაგვეგო".*

დავით ცაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამატჩევს

# სტვენა თუ თანადგომა?

**იტალიამ** საქართველოს ნაკრებთან კახა კალაძის ორი ავტოგოლით გაიმარჯვა. რა თქმა უნდა, იტალია საქართველოს კლასით სჯობდა, საქართველო ენთუზიაზმით ცდილობდა ფონს გასვლას და ხშირად ეს კარგადაც გამოსდიოდა - მსოფლიოს ჩემპიონის წინააღმდეგ მთელი გუნდი მთელი მონდომებით იბრძოდა, მაგრამ კაპიტნის ორმა საბედისწერო შეცდომამ ჩვენი იმედები დაასამარა.

კახა კალაძეს კარიერაში რთული პერიოდი დაუდგა: არავინ იცის, როგორი იქნება მისი და „მილანის" ახალი მთავარი მწვრთნელის **ლეონარდოს** ურთიერთობა (თუმცა ისიც არავინ იცის, რამდენ ხანს გაძლებს პოსტზე თავად ლეონარდო), ბიზნესში „არსენალი სიტის" პროექტი ჩაეშალა, მერე ისევ სირთულეები საფეხბურთო ასპარეზზე - ტრავმა და დიდი ხნის უთამაშებლობა... არ არის გასაკვირი, რომ ფეხბურთელი მოედანზე მძიმე განცდებით გავიდა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კალაძემ 5 სექტემბერს პირველი სრული მატჩი ითამაშა...

*„ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ნამდვილად კარგად ვივარჯიშე - როგორც ათლეტური, ისე ფიზიკური თვალსაზრისით. ახლა კი ვფიქრობ, რომ ერთადერთი, რაც მაკლია, მოედანზე ყოფნაა. იმ სურვილის გათვალისწინებით, რომელიც მაქვს, თავიდან შევეჩვევი ყველაფერს, სულ რამდენიმე წუთში"*, - იმედოვნებდა კაპიტანი.



არადა, ავტოგოლამდე კახას ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ... ორი საბედისწერო შეცდომა დაუშვა. ასეთი ფატალური უიღბლობა ფეხბურთში ბევრი არ გვახსენდება. მეორე ავტოგოლის შემდეგ, როგორც კი კალაძე ბურთს მიიღებდა, გულშემატკივართა ნაწილი უსტვენდა.

გასაგებია უკმაყოფილება, ვაჟკაცური ბრძოლის შემდეგ ესოდენ დასანანმა და კურიოზულმა გოლებმა გული დაგვწყვიტა, იმედები წაგვართვა... მაგრამ აქ ისმის კითხვა - რა არის გულშემატკივრის ვალი - გამხნევება თუ წაქცეულის ჩაწიხლვა?

კარგად გვახსოვს, როგორ მოექცა რუსული მედია უნიჭიერეს მეკარე **ალექსანდრ ფილიმონოვს**, რომელმაც 10 წლის წინ, უკრაინასთან შეხვედრის ბოლო წუთზე, უხეში შეცდომა დაუშვა. და ამ შეცდომის გამო რუსეთის ნაკრები პლეი ოფში ვერ მოხვდა. მას შემდეგ ბევრს ეცადა უიღბლო მეკარე, მაგრამ... უზარმაზარ ფსიქოლოგიურ სტრესს ვერ მოერია და კარიერა დაასრულა. ამაში დიდი „წვლილი" მიუძღვოდათ მედიასა და გულშემატკივრებს - მათ მეკარე ფსიქოლოგიურად გაანადგურეს.

კიდევ კარგი, შაბათს სტადიონზე აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც კაპიტანს „კალაძე, კალაძეს" შეძახილით ამხნევებდნენ. ვფიქრობ, ეს უფრო შეგვეფერება, ვიდრე მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანის საბოლოოდ გაწირვა...

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველო-იტალია უცხოურ მედიაში

# კაპიტანმა კაპიტანს მხარი დაუჭირა

**იტალიური** და არა მარტო იტალიური მედიის ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, **კახა კალაძის** ორი ავტოგოლია. ასეთი რამ ხომ ძალზე იშვიათად ხდება ფეხბურთში. იტალიელებმა არქივებში ჩაიხედეს და აღმოაჩინეს, რომ იტალიის ნაკრების თამაშების ისტორიაში ასეთი შემთხვევა ყოფილა. „ფუტბოლ იტალია" წერს: *„კალაძის „მიღწევა" არ არის უნიკალური. 1970 წლის 21 თებერვალს იტალიისა და ესპანეთის ნაკრებების ამხანაგურ მატჩში, რომელიც 2:2 დასრულდა, იტალიელმა სანდრო სალვადორემ საკუთარ გოლკიპერს ორჯერ გაუტანა, 23-ე და 25-ე წუთებზე". ამის შემდეგ იტალიის ნაკრების მატჩებში კიდევ ერთხელ გასულა ორი ავტოგოლი, მაგრამ 1995 წელს ორმა ლიტველმა, სუიკამ და ვაინორასმა გაიტანა საკუთარ კარში, იტალიამ კი მაშინ 4:0 მოიგო. „ეს იყო კალაძის პირველი ოფიციალური მატჩი 6,5-თვიანი პაუზის შემდეგ. მან პირველად ითამაშა მუხლის ოპერაციის შემდეგ და საერთოდ არ იყო ფორმაში"*, - წერს „ფუტბოლ იტალია".

იგივე საიტი მატჩის მიმოხილვას გვთავაზობს, რომელსაც ასე ჰქვია: *„აძურიმ" კალაძის კოშმარით იმარჯვა"*. გთავაზობთ ჩვენთვის საინტერესო მომენტებს სტატიიდან: *„მარჩელო ლიპი საქართველოსთან მატჩისთვის 4-4-2 ტაქტიკაზე გადაერთო, ლიპიმ 2006 წლის მერე პირველად ათამაშა ნაკრებში მარკო მარკიონი"; „საქართველო თავიდან ძალიან აგრესიულად უტევდა იტალიას"; „41-ე წუთზე კრიშიტო სლალომით შეიჭრა ქართველთა საჯარიმოში, ის ორ მეტოქეს გაცდა, მესამემ კი აშკარად მოცელა, მაგრამ მსაჯმა მოულოდნელად თამაში არ შეაჩერა"*.

„ფუტბოლ იტალია" საქართველოს ნაკრების კაპიტნის კომენტარსაც ათავსებს, სადაც ის ბოდიშს იხდის ორი ავტოგოლისთვის: *„ბიჭებმა მთელი გული და სული ჩადეს თამაშში, კარგად ითამაშეს. ძალიან ვდარდობ, რომ ორი გოლი გავუშვით ჩემი წყალობით. სამწუხაროდ, ფეხბურთში ასეთებიც ხდება. ყველას მინდა მადლობა გადავუხადო, ვინც მხარი დამიჭირა. მეორე ტაიმი იტალიამ კარგად დაიწყო და ჩვენ ასეთი უიღბლო გოლი გავუშვით. არ ვიცი რაღა ვთქვა, იმდენად შეწუხებული ვარ"*.

საქართველოს ნაკრების კაპიტანს მხარდაჭერა იტალიელთა კაპიტანმა **ფაბიო კანავარომ** გამოუცხადა: *„ძალიან ვწუხვარ კალაძის გამო. ვიცი რას ნიშნავს, როცა გოლი შენ გამო გადის კარში. პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, მაგრამ მეორეში გაცილებით უკეთ ვითამაშეთ და გოლებიც უფრო ლოგიკური იყო"*.

სხვათა შორის, იტალიურმა მედიამ, გამარჯვების მიუხედავად, მკვეთრად გააკრიტიკა ლიპის გუნდის თამაში. ძალიან ბევრმა გამოცემამ, მხოლოდ კალაძის ავტოგოლებით ახსნა გამარჯვება.

„დატასპორტმა" ორივე გუნდის ფეხბურთელებს შეფასებები ჩამოუწერა, კომენტარებითურთ:

**საქართველო: ლომაია** (6): აბსოლუტურად არაფერ შუაშია კალაძის მიერ გატანილ ორ ავტოგოლში; **კალაძე** (3): ორი უხეში, გაუმართლებელი შეცდომა, რამაც იტალიას სამი ქულა აჩუქა; **ლობჟანიძე** (5.5): პირველ ტაიმში უკეთ ითამაშა; **ხიზანიშვილი** (6): ხანდახან იკარგებოდა, მაგრამ ჯამში კარგად ითამაშა; **სანაია** (5.5): სასტარტოში პირველად იყო, მეორე ტაიმში ცუდად არ უთამაშია; **რაზმაძე** (5): შეტევებში თითქმის ვერაფერი გააკეთა; **ხმალაძე** (5): ხშირად იყო გამოთიშული თამაშიდან და ნერვიულობა ეტყობოდა; **კობიაშვილი** (5.5) არცთუ რიგიანი თამაში, ჩვენ მისი უკეთესი მატჩები გვინახავს; **ანანიძე** (5.5): ძალიან მონადინებული იყო, მაგრამ ბევრი არაფერი გამოუვიდა; **ყენია** (6): კარგად ითამაშა, განსაკუთრებით ნახევარდაცვაში; **დვალიშვილი** (6): იბრძოდა, მოძრაობდა, გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო.

**იტალია: ბუფონი** (7.5) - **ძამბროტა** (6), **კანავარო** (6.5), **კიელინი** (6), **კრიშიტო** (6) - **კამორანეზი** (5.5), **პალომბო** (6.5), **პირლო** (7), **მარკიონი** (5) - **იაკვინტა** (6.5), **როსი** (5).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



U21. ევრო 2011. შესარჩევი ტურნირი

05.09.09 ტალინი. ლე კოქ არენა.
1 250 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ესტონეთი | 2 |
| საქართველო | 0 |

*1:0 მოშნიკოვი (43), 2:0 ანიერი (90)*

*ესტონეთი: რედოკი - ვუიხი, ჩეგოდაევი, იახიმოვიჩი, მოროზოვი - პური (68. სილასტე), მოშნიკოვი, კალასტე, ალიკუ (75. ანიერი) - ფლოროვი, სააგი.*

*სათადარიგოები: ხავიცკი, სმირნოვი, არტუნინი, ტაარი, ვულოკიმოვი*

*საქართველო: თევდორაძე - თომაშვილი, ხიდეშელი, თოთაძე, კაკუბავა - ჯანელიძე (88. ბენაშვილი), დაუშვილი, გუგავა (77. შონია), კლიმიაშვილი - კუტალია (69. ჭედია), ივანიშვილი.*

*სათადარიგოები: კვახხვაძე, ხურცილავა, ხატიაშვილი, მაისურაძე*

*გაფრთხილებები: იახიმოვიჩი (28), პური (52), კაკუბავა (73), ხიდეშელი (90)*

*არბიტრი: მ. ტორისონი (ისლანდია)*

# ჩვენთვის შანსი შანსი არ არის



ოთარ გაბელია (მარცხნივ) და დავით გვარამაძე

**ოთარ გაბელია** მართალი აღმოჩნდა - ესტონეთის ნაკრები ბევრად უფრო ძლიერი და ორგანიზებული აღმოჩნდა, ვიდრე საბჭოურ დროში იყო. ბალტიისპირელებმა ჯგუფური ეტაპი წარმატებით დაიწყეს. შვეიცარიასთან გასვლაზე მოპოვებულ 3 ქულას, საქართველოსთან შინ დამაჯერებელი ანგარიშით გამარჯვება დაუმატეს. არადა, ესტონეთის სპორტული არხის მიმოხილვაში მატჩის ფრაგმენტები ვნახეთ და ჩანდა, რომ ესტონელთა 3 ქულა ქართველთა ტრადიციული ავადმყოფობის შედეგი უფროა.

გაბელიას შეგირდებს შეხვედრა ურიგოდ არ დაუწყიათ, მომენტებიც შექმნეს, მაგრამ შეტევის ბოლო ფაზაში ვერ ყოჩაღობდნენ.

ესტონელთა გერმანელმა მთავარმა მწვრთნელმა **ფრანკ ბერნჰარდმა** აღიარა, რომ ინიციატივას ქართველები ფლობდნენ. პირველი სახიფათო მომენტი **ლაშა თოთაძის** საჯარიმო დარტყმას მოჰყვა, მაგრამ ქართველ მცველს მეკარე **სტანისლავ რედოკმა** აუღო.

მე-18 წუთზე საუკეთესო თავის გამოსაჩენი მომენტი ჰქონდა **გიორგი ივანიშვილს**, მაგრამ ესტონელთა მეკარემ თავისიანები კიდევ ერთხელ გადაარჩინა. ათ წუთში ანგარიშის გახსნა **ირაკლი კლიმიაშვილს** შეეძლო, საჯარიმოში შეიჭრა და ბურთი ძლიერად დაარტყა, თუმცა კარი ვერც ამჯერად დავლაშქრეთ.

სამწუხაროდ, ტაიმის მიწურულს საქართველოს ნაკრების დაცვა მოეშვა და 43-ე წუთზე მეტოქის შეტევა გაეპარა - ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, **კაიმარ სააგის** დარტყმის შემდეგ **რევაზ თევდორაძე** შეცდა, რითიც **სერგეი მოშნიკოვმა** ისარგებლა და ანგარიში გახსნა - 1:0.

მეორე ტაიმში ჩვენი ფეხბურთელები უტევდნენ და ანგარიშის გათანაბრებას მთელი ძალებით ცდილობდნენ. მე-60 წუთზე კუთხური სახიფათოდ გაითამაშეს, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. მასპინძლები კი მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდნენ. ბოლო წუთებში ჩვენებმა მთელი ძალებით შეუტიეს, დაცვა მოაშიშვლეს და შეცვლაზე შესულმა **ჰენრი ანიერმა** (მცირე ხნის წინ თბილისში გამართულ 17-წლამდელთა შეხვედრის მონაწილე, ისევე როგორც მთავარი მწვრთნელი ფრანკ ბერნჰარდი) ეფექტური ინდივიდუალური გარღვევით ანგარიში გაზარდა - 2:0.

ჯგუფის მეორე შეხვედრა სომხეთისა და შვეიცარიის ნაკრებებს შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებით - 3:1 დასრულდა. სატურნირო ცხრილი კი ასე გამოიყურება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. თურქეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-2 | 6 |
| 2. ესტონეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 3. შვეიცარია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 4. საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 5. ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| 6. სომხეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 4-10 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**

სამწვრთნელო საკითხი

# კუპერი კონტრაქტს დაასრულებს და...

**ექტორ კუპერის** ფორმაციის ნაკრებმა შაბათს, 5 სექტემბერს მე-13 მატჩი ჩაატარა და კვლავ მოუგებლად. შეგახსენებთ, რომ, ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა ბოლოს 13 თვის წინ შარშან 1 აგვისტოს, კარდიფში უელსი 2:1 დაამარცხა. ნაკრებს უკვე წელიწადზე მეტია არ მოუგია, კუპერს შედეგი არ აქვს და მან პოსტი უნდა დატოვოს, ამ პოზიციამ ჯერ კიდევ 12 აგვისტოს, მალტაზე გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში წაგების შემდეგ შეიძინა მასშტაბები. ძნელია იტალიასთან წაგება მთლიანად კუპერს დააბრალო, მაგრამ ამ მარცხში მისი წვლილიც რომაა ამაში არავინ შემოგვედავება. ისიც ფაქტია, რომ ამ წაგებამ კუპერის მოწინააღმდეგეთა რიცხვი გაზარდა. კუპერის მოწინააღმდეგეები, ნაკრებში მისი დარჩენის მომხრეები და თუნდაც „ნეიტრალურები" ერთ კითხვას სვამენ - დარჩება თუ არა ის საქართველოს ნაკრების თავკაცის პოსტზე. ამაზე რამდენიმე მოსაზრება არსებობს, ერთნი აცხადებენ, რომ კუპერი მოქმედ კონტრაქტს ჩაამთავრებს და ჩვენს ფედერაციასთან ხელშეკრულებას ალარ გააგრძელებს. ზოგი კი მიიჩნევს, რომ კუპერი კონტრაქტს გაახანგრძლივებს, მას არ სურს მის სამწვრთნელო დოსიეში ქართული კარიერა ლაქად, არასასიამოვნო მოგონებად დარჩეს და ამიტომაც მაქსიმალურად შეეცდება წარუმატებლობა სასურველი შედეგებით შეცვალოს... უფრო რადიკალებიც არიან, რომლებიც აცხადებენ, რომ ექტორ კუპერი ისლანდიის მატჩის შემდეგ პოსტს დატოვებს ან უბრალოდ როგორც მის წინამორბედებს, ( ისევე როგორც ალენ ჟირესსა და კლაუს ტოპმიოლერს), ფედერაცია კონტრაქტს ვადაზე ადრე გაუწყვიტავს.

მოდით ვიმსჯელოთ მოვლენათა თუ როგორი თანმიმდევრობაა მოსალოდნელი.

თავიდანვე გამცნობთ, რომ ჩვენს ფედერაციასთან კუპერის მოქმედი კონტრაქტი არა ამ შესარჩევი ციკლის ბოლოს, არამედ მიმდინარე წლის ბოლოს, 30 დეკემბერს იწურება. მოდით რამდენიმე ვარიანტი განვიხილოთ. **პირველი**, თუ კუპერი თავად მოისურვებს ხელშეკრულების გაწყვეტას, მაშინ ის დარჩენილ ჯამაგირს ველარ მიიღებს და ეს ვარიანტი ნაკლებად მოსალოდნელია. **მეორე**, თუ ფედერაცია კუპერს კონტრაქტს გაუწყვეტს, მაშინ დეკემბრის ბოლომდე ასალები ხელფასის გარდა, კომპენსაციის სახით დამატებით, კიდევ გარკვეული თანხის გადახდა მოუწევს. თითქმის გამორიცხულია, რომ ჩვენი ფეხბურთის მესვეურები ამაზე წავიდნენ. ახლა **მესამე** ვარიანტი განვსაჯოთ, მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი გაწყდება. თუმცა ძნელადსავარაუდოა, რომ არგენტინელმა მწვრთნელმა ეს თავად მოინდომოს. თუმცა არაფერია გამორიცხული. ყველაზე რეალურად **მეოთხე** ვარიანტი მოჩანს - ექტორ კუპერი მოქმედ კონტრაქტს ჩაამთავრებს, ავტომატურად დატოვებს პოსტს და ფედერაცია ეროვნული გუნდისთვის ახალი მწვრთნელის შერჩევით კიდევ ერთხელ დასაქმდება.

ვნახოთ თუ რა აზრისა არიან ფედერაციის მესვეურები.

*„ექტორ კუპერს მოქმედი კონტრაქტი აქვს და მის გაწყვეტაზე ჩვენ არ ვფიქრობთ. თუ თავად აქვს ასეთი სურვილი, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ჩვენ მისგან მსგავსი არაფერი გვსმენია. ამ ეტაპზე მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია - ჩვენ მზად ვართ ექტორ კუპერთან სერიოზული საუბრისთვის. ეს საუბარი ალბათ ამ თვეშივე შედგება. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით"*, - „ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რევაზ არველაძემ**.

ჩვენი ინფორმაციით, ფედერაციის ხელმძღვანელები დღეს ნამდვილად არ ფიქრობენ კუპერთან ხელშეკრულების გაწყვეტას. მართალი რომ ვთქვათ, ამისი საჭიროება არცაა. ევროპის 2012 წლის შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაისად, 7 თებერვალს გაიმართება. საკვალიფიკაციო ეტაპი სულაც მომავალ შემოდგომაზე დაიწყება. ასე რომ, ამ წლის ბოლოს ფედერაციას ეროვნული ნაკრებისთვის ახალი მწრთნელი რომ გაუხდეს საძებარი, საამისოდ დრო საკმარისადაა. როგორც გავიგეთ ფედერაცია მთავარი მწვრთნელის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის გარკვეული პერიოდით დანიშვნაზე არ ფიქრობს.

კუპერის თემაზე ერთსაც დავძენდით. ეს კომპლექსური საკითხია და რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. თუ კუპერმა კონტრაქტის გაგრძელება მოისურვა და მიზერულ ხელფასზეც დათანხმდა, მაშინ ეს სხვა საკითხია. ამასთან, მნიშვნელოვანი იქნება სახელმწიფოს პოზიციაც, რადგან ეროვნული ნაკრების თავკაცის პროექტს სწორედ სახელმწიფო აფინანსებს. ასე რომ ეს კომპლექსური საკითხია და არაერთ ნიუანსს მოიცავს... ვნახოთ ნაკრების მომავალი მატჩები და თვეები ბევრს გადაწყვეტს. საინტერესოა თავად კუპერის პოზიცია და მისი შეხვედრა ფედერაციის ხემძღვანელებთან.



**დავით ცაბაძე**

ისლანდია-საქართველო

ამხანაგური მატჩის წინ

# კუპერი: ისლანდიასთან მე ხომ არ ვითამაშებ?!

## ცივ კუნძულზე მხოლოდ 14 ფეხბურთელით

იტალიასთან მატჩის დასრულებიდან 4 საათში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გეზი ჩრდილოეთისკენ აიღო - 9 სექტემბერს ისლანდიასთან ამხანაგური მატჩი გველოდება. გაგიკვირდებათ და, **ექტორ კუპერს** ერთბაშად 9 (!) ფეხბურთელი გამოაკლდა.

ადრეც ვწერდით - ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულ **ლევან ყენიას, ამირან სანაიასა** და **მათე ვაწაძეს** 5 სექტემბერს ახალგაზრდული ნაკრების რიგებში ესტონეთთან გასვლით შესარჩევ მატჩში ეთამაშათ. თუმცა მაშინვე გადაწყდა, რომ ეს ტრიო კუპერის განკარგულებაში დარჩებოდა. მან ეს ბიჭები **ოთარ გაბელიას** იტალიასთან თამაშის შემდეგლა დაუთმო. ახალგაზრდულის თავკაცმა კუპერს **ჯანო ანანიძის** დათმობაც სთხოვა და ამაზეც დადებითი პასუხი მიიღო. ასე რომ, თურქეთთან 9 სექტემბრის მატჩში 21-წლამდელებს ლევან ყენია, მათე ვაწაძე, ამირან სანაია და ჯანო ანანიძე დაემატებათ, რაც ძალიან დიდი ძალაა.

ამ კვარტეტის გარდა, ნაკრებს კიდევ 5 მოთამაშე გამოაკლდა - **კახა კალაძე, გიორგი ლომაია, ზურაბ ხიზანიშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი** და **ლევან კობიაშვილი**. მიზეზად სხვადასხვა სიმძიმის ტრავმები დაგვისახელეს, რაც ცოტა არ იყოს, საეჭვოა. ჩვენამდე მოაღწია სანდო ინფორმაციამ, რომ ნაკრების ზოგიერთ წევრს, თურმე, ისლანდიაში გამგზავრება არ ხიბლავს - ნამეტანი გრძელი გზააო. არ ვამტკიცებთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ მოთამაშეთაგან ყველას ეგრძელება ეს გზა და შესაძლოა, რომელიმე მათგანისთვის მიზეზი მართლაც იყოს ტრავმა, თუმცა... ჩვენ მაინც ვეცდებით, ამ დღეებში ზუსტი მიზეზები დავადგინოთ.

ასეა თუ ისე, კუპერის განკარგულებაში ახლა 14 ფეხბურთელია: **გრიგოლ ბედიაშვილი, ზურაბ მამალაძე, გიორგი ფოფხაძე, თემურ ღონღაძე, უჩა ლობჟანიძე, გურამ კაშია, ლექსო კვახაძე, დავით დევდარიანი, ლევან ხმალაძე, ლუკა რაზმაძე, გიორგი სეთურიძე, ლევან ცქიტიშვილი, ლადო დვალიშვილი, ნიკა გელაშვილი.**

ჩვენი ეროვნული ისლანდიაში კოპენჰაგენის გავლით გაემგზავრა, საღამოს 9 საათზე რეიკიავიკში ჩაფრინდა და იქვე დაბინავდა, დღეს კი პირველ ვარჯიშსაც ჩაატარებს.

საქართველოს ნაკრების ზეგინდელმა მეტოქემ 5 სექტემბერს საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგი მატჩი ჩაატარა - ნორვეგიას უმასპინძლა. **ოლაფურ იოჰანესონის** გუნდი მე-10 წუთიდან აგებდა, მაგრამ 29-ე წუთზე ისლანდიის ნაკრების ყველაზე გამორჩეულმა ფიგურამ, „ბარსელონას" ყოფილმა ფორვარდმა **ეიდურ გუდიონსენმა** წონასწორობა აღადგინა და ეს ანგარიში (1:1) თამაშის ბოლომდე ალარ შეცვლილა.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ



გიორგი დარასელია (მარჯვენივ)

## გიორგი დარასელია

# ფეხბურთელები გვყავს, მთავარია, როგორ ავაწყობთ ნაკრებს

## დარასელია კვახაძის გადაბირებას იმედოვნებს

**საქართველო-იტალიის შეხვედრას ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრილი ჰაიფას მაქაბის" მწვრთნელი გიორგი დარასელიაც ესწრებოდა. ჩვენ ეს შანსი გამოვიყენეთ და ინტერვიუ ჩამოვართვით.**

**- გიორგი, დვალიშვილი ჰაიფის „მაქაბის" წარმატებული შენაძენია.**

- რა თქმა უნდა, ლადომ თავი კარგად გამოავლინა და კლუბში თვლიან, რომ ეს წარმატებული ტრანსფერი იყო. სხვათა შორის, წაგებსი მიუხედავად, იტალიასთანაც კარგად გამოიყურებოდა, იბრძოდა, აგრესიულად უტევდა, გოლზე იყო დაგეშილი. თავდამსხმელს მეტი რა მოეთხოვება.

**- როგორც ვიცით, „მაკაბს" ლექსო კვახაძის შეძენაც სურს.**

- კვახაძეს ჯერ კიდევ ზაფხულში ველოდებოდით. ლექსო საქართველოს საუკეთესო მცველად დაასახელეს, ნაკრებში ითამაშა და დავინტერესდით. თუმცა, ზაფხულში არ ჩამოვიდა. ამის მიუხედავად, მისი წაყვანის იმედი არ დაგვიკარგავს. იმიტომაც ჩამოვედით, რომ იტალიასთან დავკვირვებოდით, მაგრამ მოედანზე არ გასულა.

**- ზაფხულში რატომ არ ჩამოვიდა?**

- მიზეზი ვერ გავიგეთ. თითქოს, თავად არ სურდაო.

**- თქვენი აზრით, საქართველოს ნაკრებში არიან მენეჯერებისთვის საინტერესო ფეხბურთელები?**

- საინტერესო ფეხბურთელები როგორ არ არიან! ჩემთან ერთად, ერთი მენეჯერი ჩამოვიდა. ქართველები ყველას აინტერესებს. თამაში ვნახეთ და რამდენიმე ფეხბურთელი ჩავინიშნეთ. არ ვიცი, იანვრამდე ვინმეს დავიმატებთ თუ არა. თუმცა, ისრაელში სატრანსფერო სეზონი 14 სექტემბერს იხურება და გამორიცხული არაფერია. ჩემპიონთა ლიგაში კი უკვე ვერავის დავიმატებთ.

**- საქართველოს ნაკრების თამაშებს თუ უყურებთ?**

- იმ ქართველს რა ვუთხარი, რომელსაც თავისი ნაკრები არ აინტერესებს. ყველა თამაშს ვუყურებ და განვიცდი, ძლიერი ნაკრები რომ ვერ ჩამოვაყალიბეთ. ჩვენს ნაკრებში ბევრი ისეთი ფეხბურთელია, რომელთაც უცხოეთში აფასებენ. ისრაელში ესეც კარგად იციან და სულ ამაზეა ლაპარაკი, რა სჭირს თქვენს ნაკრებსო?

**- თქვენი აზრით, რა სჭირთ?**

- წარმოდგენა არ მაქვს, ფაქტია, რომ ჩამოდიან და ერთმანეთს კარგად ვერ ეწყობიან, ვერ შეთამაშდნენ. ყველაფერი ნაკრების სამზარეულოდან იწყება, კარგი დიასახლისი პროდუქტისგან კარგ საჭმელებს ამზადებს. ასეა გუნდიც, ფეხბურთელებიდან მაყურებელს კარგი „საკვები" უნდა მოუმზადო. ყველა კარგი ფეხბურთელის შეთამაშება კი ძნელია. ისეთები უნდა მოიყვანო, ერთმანეთს რომ შეეწყობიან. არ შეიძლება თერთმეტი ვარსკვლავი თამაშობდეს, ხუთი-ექვსიც საკმარისია და გუნდი მათ გარშემო უნდა ააშენო.

**- ნაკრების პოტენციალს ხედავთ?**

- პოტენციალი ნაღდად არის, ქართველებს მცირე ხელისშეწყობა, გზაზე დაყენება გვჭირდება და გუნდი შეიქმნება. ბევრი კარგი უცხოელი სპეციალისტი ჩამოიყვანეს, მაგრამ გუნდი ვერ დაალაგეს და შედეგი არ ჩანს. შეიძლება, ისევ ძველ გზას დავუბრუნდეთ და ქართველი სპეციალისტი მოიყვანონ. ქართველმა უფრო იცის ქართველის მენტალიტეტი და გასალებსაც უცხოელზე უკეთ უპოვის. რაც მთავარია, კარგი ფეხბურთელები გვყავს და საძებარი არაა.

**- ქართველი მწვრთნელებიც ხომ მუშაობდნენ და რა შედეგი მივიღეთ?**

- გაიხსენეთ შედეგები. მართალია, ფინალურ ეტაპზე არ გავსულვართ, მაგრამ მესამე ადგილი დავიკავეთ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბევრად უფრო ხარისხიან ფეხბურთს ვაჩვენებდით. ახლა კი ციკლში თამაში ვერ მოგვიგია! საქართველოს ნაკრები ნაღდად არაა ისეთი სუსტი, როგორც დღევანდელი შედეგებიდან ჩანს. არ ვიცი, მალტასთან როგორ უნდა წავაგოთ?!

**- საქართველოს ნაკრებში ბევრი შეხვედრა არ ჩაგიტარებია. იტალიასთან ყიფიანმა გათამაშა და კარგად მახსოვს, ბურთი ვერ აგართვეს, არადა, ამის შემდეგაც არ გენდობოდნენ.**

- ამაზე ლაპარაკი და ძველი ისტორიის გახსენება ალარ მსურს. მაგალითად, ისრაელში ყველას თავისი სისტემა აქვს, რომელშიც ყველა ფეხბურთელი ვერ ხვდება. გარეთ თუ რჩები, თავისუფალი ხარ. ასე იყო საქართველოშიც, ზოგიერთი სიტემაში ჯდებოდა, ზოგიერთს შანსს აძლევდნენ, ზოგიერთები იმედებს ებლაუჭებოდნენ, ზოგიერთი გარეთ დავრჩით.

რა შუაშია აქ ნდობა, მთავარი სისტემაში მოხვედრა თუ მოუხვედრელობა იყო. ნდობაზე რომ ყოფილიყო საქმე, მაშინ სხვაგვარად იქნებოდა.

**- ალბათ, ეს იყო ჩვენი ფეხბურთის პრობლემა.**

- რა თქმა უნდა. როგორც ვხედავ, კუპერი ასე არ მუშაობს და საქმეს ნორმალურად უდგება, მაგრამ გუნდი ვერ ააწყო. არადა, ქართველებმა თამაში იციან. ჩვენებს უნდა ასწავლონ, მოედანზე როგორ დადგნენ, ითამაშონ და ნაკრები გვეყოლება. ყველამ თავისი ადგილი და მოვალეობა უნდა იცოდეს.

**- ჩემპიონთა ლიგაში ჰაიფას „მაკაბს" უძლიერესი გუნდები შეხვდა - „ბაიერნი", „იუვენტუსი" და „ბორდო". ამ ჯგუფიდან გასვლა ძალიან ძნელი იქნება.**

- სადაც ლიგამდე მივაღწიეთ, ჯგუფში რატომ არ უნდა ვიბრძოლოთ? ფეხბურთში ყველაფერი შესაძლებელია. ჩვენს გუნდში ყველაფერი ისე მიდის, როგორც საჭიროა.

**მერაბ მამულაშვილი**

VIII ჯგუფი. მეტოქეები


ბულგარეთი-ჩერნოგორია

# ბულგარეთი პლეი ოფს ებღაუჭება

| ბულგარეთი-ჩერნოგორია | 4:1 |
|---|---|

**ბულგარეთი!** ივანკოვი - კიშიშევი, კოტევი (46. ტელკიისკი), სტოიანოვი, მალონევი - ს. პეტროვი, ანგელოვი, იანკოვი, მ. პეტროვი (76. გეორგიევი) - ბერბატოვი, რანგელოვი (83. დომოვჩიისკი).

**ჩერნოგორია:** პოლეკშიჩი - პავიჩევიჩი, ჯუდოვიჩი, ბაშა (73. ფატიჩი), პეიოვიჩი - ს. ვუკჩევიჩი, პეკოვიჩი (68. ვუჩინიჩი), დრინჩიჩი, ბოჟოვიჩი (58. ბოშკოვიჩი) - იოვეტიჩი, დამიანოვიჩი.

**გოლები:** 0:1 იოვეტჩი (9), 1:1 კიშიშევი (45), 2:1 ტელკიისკი (49), 3:1 ბერბატოვი (85-პენ), 4:1 დომოვჩიისკი (90)

**მაყურებელი:** 15 000

| კვიპროსი-ირლანდია | 1:2 |
|---|---|

**კვიპროსი:** ავგუსტი - საციასი (90. მარაგკოსი), ხარალამბუსი, ხრისტუ, მიხაილი (71. ალექსანდრუ), ხარალამპიდისი, ელია, ნიკოლაუ - ოკასი (90. ხრისტოფი) - ალონეფტისი, ავრაამი.

**ირლანდია:** გივენი - ლეჯერი, კილბეინი, ო'ში, დანი, ველანი - ენდრიუსი, დოილი (75. ფოლანი) - დაფი - კინი, ჰანტი (66. მაკგიდი).

**გოლები:** 0:1 დოილი (5), 1:1 ელია (30), 1:2 კინი (83)

**მაყურებელი:** 7 000

ჩვენი არ იყოს, ჯგუფში გამარჯვება ჩერნოგორიელებსაც არ უზეიმიათ. ეგ კი არა, უეფას ახალ წევრებს ჯერ ოფიციალური სანაკრებო გამარჯვება არ მოუპოვებიათ და ადვილი წარმოსადგენია, როგორი მოტივაციით ენვეოდნენ **ზორან ფილიპოვიჩი** და მისი შეგირდები სოფიას.

ჩერნოგორიას არ ჰყავს სუსტი გუნდი, მაგრამ მატჩის ფავორიტები ბუნებრივია, ბულგარელები იყვნენ, რომელთაც ფლეი ოფში მოხვედრის თეორიული შანსის შესანარჩუნებლად სამი ქულა უცილობლად ესაჭიროებოდათ.

მატჩი ისეთი სცენარით დაიწყო, სტუმრები მოვლენათა უკეთეს განვითარებას რომ ვერ ინატრებდნენ. „ფიორენტინას" ფორვარდმა **სტევან იოვეტიჩმა** შორი მანძილიდან სწრაფი გოლი გაიტანა და ამის შემდეგ ჩერნოგორია დაცვაში გამაგრდა. ბულგარელებმა სრული უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში საგოლე მომენტებს ვერ ქმნიდნენ. ჩერნოგორიული დაცვა ზედ შესვენების წინ გატყდა. ალსანიშნავია, რომ ვეტერანმა მცველმა **რადოსტინ კიშიშევმა** პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა.

ბულგარელებმა მეტოქეს გონს მოსვლა არ აცალეს და მეორე ტაიმის დაწყებისთანავე დაწინაურდნენ. **ტელკიისკის** გოლი **ბერბატოვის** ეფექტურ სოლორეიდს მოჰყვა. შემდეგ ჩერნოგორია გაიხსნა, მაგრამ შეტევაში ბევრი ვერაფერი გაახერხა. სამაგიეროდ, უკანა ხაზი ველარ იყო საიმედო.

უგოლოდ არც „მანჩესტერის" ფორვარდი დარჩენილა, ბერბატოვმა თავისივე წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი გამოიყენა. ბოლოს კი პირველი სანაკრებო გოლი **ვალერი დომოვჩიისკიმაც** იზეიმა.

ბულგარეთი ჯერაც წაუგებელია, მაგრამ მხოლოდ ორი გამარჯვება აქვს და მეორე ადგილზე გასვლა მეტისმეტად გაუჭირდება, მით უფრო, რომ ოთხშაბათს იტალიას სტუმრობს. ჩერნოგორიას კი პირველი მოგებისთვის ბრძოლა კიდევ შეუძლია, რადგან ორ უშუალო კონკურენტს, კვიპროსსა და საქართველოს შეხვდება.

გადავინაცვლოთ კვიპროსში, სადაც კაპიტან **რობი კინის** გვიანმა გოლმა ირლანდია პლეი ოფს საგრძნობლად მიუახლოვა და მუნდიალზე პირდაპირ მოხვედრის მცირე იმედიც შეუნარჩუნა. არადა, ნიქოზიაში კვიპროსელებმა საკმაოდ რიგიანად ითამაშეს და ამ შეხვედრის ლოგიკური შედეგი ფრე უფრო იქნებოდა. კინი დემიენ დაფის ფლანგურ გადაცემას გამოეხმაურა და თავის გუნდს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა.

მატჩი სანახაობრივი არ ყოფილა, მოედანზე ხისტი ბრძოლა მიმდინარეობდა და საგოლე მომენტები ძნელად იქმნებოდა. შეხვედრის დებიუტი ირლანდიისა იყო. **კევინ დოილის** სწრაფი გოლის შემდეგ კუნძულელები დროულად მოეგნენ გონს და ჯერ თამაში გათანაბრდა, მალე კი ტაბლოზე 1:1 აენთო. დოილის გატანაში **ჯონ ოში** დაეხმარა, კვიპროსელმა **ელიამ** კი ირლანდიელთა მეკარის მოგერიებულს დაამატა.

სატურნირო თვალსაზრისის გარდა, ეს გამარჯვება **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდისთვის იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ირლანდიელებმა სამი წლის წინანდელი სამარცხვინო მარცხისთვის შური იძიეს, თუმცა კი მაშინ „სამყურებში" ტრაპატონი არ მუშაობდა. 2006 წელს კვიპროსმა ირლანდია 5:2 გაანადგურა. იტალიელის ხელში ირლანდიელები ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტენ, მაგრამ თამაშის ხარისხს ნელ-ნელა აუმჯობესებენ და მუნდიალზე მოხვედრის რეალურ კანდიდატებად რჩებიან.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 7 | 5 | 2 | 0 | 11-3 | 17 |
| 2. ირლანდია | 8 | 4 | 4 | 0 | 10-6 | 16 |
| 3. ბულგარეთი | 7 | 2 | 5 | 0 | 10-5 | 11 |
| 4. კვიპროსი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-11 | 5 |
| 5. ჩერნოგორია | 7 | 0 | 4 | 3 | 6-12 | 4 |
| 6. საქართველო | 8 | 0 | 3 | 5 | 4-11 | 3 |

**9 სექტემბერი**

იტალია-ბულგარეთი
ჩერნოგორია-კვიპროსი

**ლევან ჯანეზაშვილი**


კვიპროსი-ირლანდია

საკონტროლო მატჩი

# სტუმრად სამშობლოში

ვერაფერს ვიტყვით - თბილისის „დინამოსა" და ბაქოს „ინტერის" მონაწილეობით, მართლაც, ჩინებული სპარინგმატჩი ვიხილეთ; თან, არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს თასის მფლობელიც და აზერბაიჯანის ვიცე-ჩემპიონიც აშკარად შესუსტებული შემადგენლობით ასპარეზობდნენ. საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებში დინამოელთაგან ექვსი ფეხბურთელი იყო გამოძახებული - **გიორგი მერებაშვილი, მათე ვაწაძე, ლევან ხმალაძე, გურამ კაშია, გულვერდ თომაშვილი, ლევან კაკუბავა; დონალდ ჯუისს** კამერუნის ახალგაზრდულ ნაკრებში უხმეს, ხოლო **ნიკოლოზ ფირცხალავა, მილოშ კრშკო** და **მარკო ჩარასი** კვლავაც მკურნალობას აგრძელებენ. არანაკლები დანაკლისი ჰქონდა **კახა ცხადაძისა** და **გიორგი ჩიხრაძის** „ინტერსაც": ამ გუნდის შვიდი ფეხბურთელი აზერბაიჯანის ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული, **ანდრეი რუბინსი** და **გირტს კარლსონსი** - ლატვიის, ხოლო **გიორგი ლომაია** - საქართველოს ნაკრებში.

ყოველივე ამის მიუხედავად, დილმის საწვრთნელ ბაზაზე ჩატარებულმა შეხვედრამ ერთობ საინტერესო პაექრობაში ჩაიარა. რაც მთავარია, 90 წუთის განმავლობაში მეტად ტემპიანი თამაშიც ვიხილეთ და ორივე გუნდის მწვრთნელებიც, ალბათ, კმაყოფილნი უნდა დარჩენილიყვნენ თავიანთი შეგირდების მონდომებული გარჯით.

ისე, სანამ ამ საკონტროლო მატჩის პერიპეტიებზე დაწვრილებით ვისაუბრებდეთ, რამდენიმე სიტყვა ჩვენს სტუმრებზეც გვინდა ვთქვათ. თუმცა, სტუმრები როგორ უნდა ვუწოდოთ გუნდს, **კახა ცხადაძე** და **გიორგი ჩიხრაძე** რომ წვრთნიან და ამათ გარდა, ორი ქართველი ფეხბურთელიც რომ ასპარეზობს - **კახა მჟავანაძე** და **დავით ოდიკაძე**. ისე, თბილისში შეკრებაზე მყოფი სტუმართა გუნდი... სახელწოდებას, მართლაც, „ამართლებდა" - ზემოთნახსენები ქართველებისა და ლატვიელების გარდა „ინტერში" კიდევ შვიდი (!) ეროვნების ფეხბურთელი თამაშობს - ბრაზილიელები, ჩეხები, სერბი, ბულგარელი, ურუგვაელი, ლიტველი და ბელარუსი...

...მეტოქეებმა პირველი წუთებიდანვე სწრაფი ტემპით თამაში დაიწყეს და მაშინათვე „გამოჩნდა", რომ მთლად „ამხანაგური" მატჩი არ იქნებოდა. არ დავმალავთ, სასიამოვნოც იყო იმის ხილვა, მეტოქეებს არაფრის დათმობა რომ არ სურდათ და, რაც მთავარია, ორივე კართან არაერთი სახიფათო მომენტიც ვიხილეთ. პირველი სახიფათო შეტევა მასპინძლებისა იყო - **დავით დილმელაშვილმა** შორი მანძილიდან შეუჩერებლად დაარტყა, მაგრამ სტუმართა ბრაზილიელმა მეკარემ **ვილსონმა** საკუთარი გუნდი გადაარჩინა. დილმელაშვილი პირველ ტაიმში მასპინძელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო და სწორედ მისი ეფექტური პასის მერე **ალექსანდრე კოშკაძეს** გოლის გატანის ჩინებული შანსი მიეცა, მაგრამ ვილსონმა კვლავაც იყოჩალა და ახლო მანძილიდან თავით დარტყმული ბურთი მოიგერია. აი, ეს იყო „დინამოს" ყველაზე სახიფათო მომენტები შეხვედრის პირველ ნახევარში; სამაგიეროდ, **გიორგი ლორიას** კართან უფრო მეტჯერ შეიქმნა ხიფათი, თუმცა ხან დინამოელთა მეკარე თამაშობდა საიმედოდ, ხან კი სტუმრები სცოდავდნენ დამაგვირგვინებელ ფაზაში. **კუბიცა** მახვილი კუთხიდან ურტყამდა და ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს; მერე, **ზაგორაცი** დარჩა მარტოდმარტო, მაგრამ მისი თავურიც არაზუსტი აღმოჩნდა; აი, **ასით მამედოვის** წამოწყებული კომბინაცია კი ურუგვაელმა **გუტიერესმა** ზუსტი თავური დარტყმით დაასრულა. საერთოდაც, „ინტერმა" მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა - გუნდი მაქსიმალურად ცდილობდა თანამედროვე ფეხბურთის ელემენტების ჩვენებას; სტუმართა გუნდის ქართველი მწვრთნელები თავისი შეგირდებისგანასევე მაქსიმალურად ითხოვდნენ სწრაფ და „ერთი შეხებით" თამაშს. ამასთან, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, „ინტერში" ერთ-ერთი საუკეთესონი **დავით ოდიკაძე** და **კახა მჟავანაძე** იყვნენ (ბულგარელ **პეტარ ზლატინოვთან** ერთად).

მეორე ტაიმში ორივე გუნდის მწვრთნელებმა, მატჩის შინაარსიდან გამომდინარე, უამრავი ცვლილება განახორციელეს; თუმცა, სტუმართა უპირატესობა უფრო გამოიკვეთა და „დინამოს" კართანაც რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა: ზლატინოვისა და **პოშკუსის** (ახლო წარსულში ლიტვის ნაკრებისა და რუსული „კრილია სოვეტოვის" წამყვანი ფორვარდის) დარტყმები მასპინძელთა კარის ხარიხას მოხვდა, ორჯერ **გიორგი სომხიშვილმა** ითამაშა საიმედოდ და **ვიტალი ლედენიოვის** დარტყმები მოიგერია. ამის მიუხედავად, დინამოელებს მონდომება არ უნდა დავუკარგოთ - კვლავაც აქტიურად თამაშობდნენ **შოთა კაშია** და **ჯორჯ აკირემი;** შეხვედრის მიწურულს კი კახა კაჭარავამ თავის გამოჩენის შანსი რამდენიმე ახალგაზრდა ფეხ-


კახა ცხადაძე

ბურთელსაც მისცა (ძირითადშიც სამი დებიუტანტი ჰყავდა) და ჭაბუკებმაც აქტიურობით დაგვამახსოვრეს თავი. მატჩის მიწურულს კი „დინამოს" ანგარიშის გათანაბრების მშვენიერი შანსი მიეცა: **ნიკოლოზ ჯიშკარიანის** ჩაწოდების შემდეგ **ირაკლი ლეკვთაძის** დარტყმული ბურთი სტუმართა კარის ძელს მოხვდა მერე კი **ირაკლი სიხარულიძე** ეფექტურად ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ ვილსონმა კვლავაც ჩინებულად ითამაშა. საბოლოოდ, სტუმრებმა მინიმალური ანგარიშით (1:0) გაიმარჯვეს. „დინამომ" და „ინტერმა" კი ეს საკონტროლო შეხვედრა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს:

დინამო: **ლორია - მინდორაშვილი (ლეკვთაძე), ჩადუნელი (ქავთარაძე), ნერგაძე, ნ. ჯიშკარიანი - დილმელაშვილი (ნემსაძე), მამუჩაშვილი, შ. კაშია, კოშკაძე (სიხარულიძე), ლომია (ოთარაშვილი) - აკირემი.**

ინტერი: **ვილსონი - კუბიცა, ზაგორაცი (ისმაილოვი), ასიოლი, მჟავანაძე (მუსტაფაევი) - ჩერვენკა, ზლატინოვი (იუსუბოვი) - ოდიკაძე (პოშკუსი), ა. მამედოვი (მიკაილოვი), გუტიერესი (ამისლანოვი) - ხ. მამედოვი (ლედენიოვი).**

აზერბაიჯანში გამგზავრებამდე ბაქოს „ინტერი" დღეს კიდევ ერთ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს: კახა ცხადაძის გუნდის მეტოქე ცხინვალის „სპარტაკი" იქნება.

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხ. აფრიკა 2010. საკვალიფიკაციო ეტაპი. ევროპა

# პორტუგალია და საფრანგეთი რისკის ქვეშ...


რონალდუსა და კომპანიას ძალიან უჭირს

### I ჯგუფი

**უნგრეთი–შვედეთი 1:2**

**უნგრეთი:** ბაბოში - შელეში, იუჰაში (63. ტიმარი), დიეპეში, ჰალმოში - ვადოში, დარდაი (46. ტორგელე), გერა, ჰაინალი (84. ბუზაკი), ჟუჟაკი - ჰუშტი.

**შვედეთი:** ისაკსონი - ნილსონი, მელბერგი, მაისტროვიჩი, საფარი - ელმი, ჰოლმენი (85. ჰიზენი), სვენსონი, კალსტრიომი - იბრაჰიმოვიჩი, ელმანდერი (75. ბერგი).

**გოლები:** 0:1 მელბერგი (8), 1:1 ჰუშტი (79-პენ), 1:2 იბრაჰიმოვიჩი (90)

**მაყურებელი:** 40 000

**დანია–პორტუგალია 1:1**

**დანია:** ანდერსენი - კ. პოულსენი, კიაერი, კრისტენსენი, ზილბერბაუერი (66. კვისტი), იაკობსენი, ი. პოულსენი (89. გრონკიაერი), რომედალი, იორგენსენი (61. ნორეგაარდი) - ტომასონი, ბენდტნერი.

**პორტუგალია:** ედუარდო - ბოსინგვა, პეპე, რიკარდო კარვალიო, ბრუნო ალვეში - დუდა, ტიაგო (45. ლიდსონი), სიმაო საბროსა (71. ნანი), დეკუ - რაულ მაირელეში (81. ნუნუ გომეში), კრისტიანო რონალდო.

**გოლები:** 1:0 ბენდტნერი (42), 1:1 ლიდსონი (86)

**მაყურებელი:** 37 998

დიდი შანსია, რომ პორტუგალიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ვიხილოთ. მსოფლიოს ჩემპიონატი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გარეშე? **კრისტიანო რონალდოსა** და კომპანიას სერიოზული პრობლემები აქვთ და მხოლოდ მეორე ადგილზე გასვლის შანსიღა შერჩათ, რადგან დანიის ნაკრებს ჯგუფში პირველი ადგილი უკვე თითქმის განაღდებული აქვს.

შაბათს პორტუგალია სწორედ დანიას ეთამაშებოდა, თანაც სტუმრად და **კარლუშ კეიროშის** შეგირდებმა დიდხანს, ძალიან დიდხანს ინერვიულეს. დანია იგებდა და პორტუგალიელთა იერიშებს კარგად უმკლავდებოდა. და როდესაც პორტუგალიელებს იმედები გადაეწურათ, **ლიდსონმა** მაშინღა შეძლო ანგარიშის გათანაბრება, თუმცა ამ გოლმა სტუმრებს დიდად მაინც ვერ უშველა.

აღსანიშნავია, რომ თამაში პორტუგალიელებმა უკეთ დაიწყეს და უპირატესობას ფლობდნენ. გოლის გატანის პირველი შანსიც კეიროშის ბიჭებს მიეცათ, მაგრამ მესამე წუთზე **სიმაომ** ვერ ივარგა. მე-12 წუთზე უკვე რონალდოს შეეძლო გატანა, მაგრამ შესანიშნავად ითამაშა დანიელთა მეკარე **ანდერსენმა**. ათი წუთის შემდეგ, დანიელთა კარის დარაჯმა სიმაოსაც აუღო იდეალურ ნახტომში. თამამად ვიტყვით, პორტუგალია დომინირებდა, დანიელები კი თავიანთ მეკარეს უნდა უმადლოდნენ იმას, რომ პირველი ტაიმი არ წააგეს. პირიქით, 42-ე წუთზე **მორტენ ოლსენის** შეგირდები დაწინაურდნენ და პირენეელები შოკში ჩააგდეს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. **ნიკლას ბენდტნერმა** ბურთი მკერდზე მოხდენილად მიიღო და პორტუგალიელთა კიპერ **ედუარდოს** აუღებელი დაურტყა.

ცხადი გახდა, რომ შესვენებაზე კეიროშს რამე უნდა ელონა და მანაც, დაცვაზე ორიენტირებული **ტიაგოს** ნაცვლად, მოედანზე **ლიდსონი** შეუშვა, რითაც თავდასხმა გააძლიერა. მეორე ტაიმიდან თამაში უფრო დაძაბული და უხეშიც გახდა, რადგან პორტუგალიელებმა კარგად იცოდნენ, რომ ერთ-ერთი უკანასკნელი შანსისთვის იბრძოდნენ. დანიას კი შესანიშნავი კონტრშეტევების შანსი მიეცა და ერთ-ერთი ასეთი შეტევისას, 58-ე წუთზე ბენდტნერს დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ ბურთი ედუარდოს კარს ააცილა. რაც უფრო ახლოვდებოდა საფინალო სასტვენი, პორტუგალიელები მით უფრო ვეღარ თოკავდნენ ნერვებს. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი გაფუჭებული მომენტის შემდეგ, რონალდომ მსაჯზე მიიტანა იერიში და მადლობა უნდა თქვას, მოედანი ნაადრევად რომ არ დაატოვებინეს. ბოლო 15 წუთში პორტუგალია უკანმოუხედავ იერიშებზე გადავიდა, დანიელები კი უკვე კონტრშეტევებსაც ველარ ახერხებდნენ. **დეკუს** ორჯერ შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ორჯერვე არ გაუმართლა. ნანატრი გოლი სტუმრებმა 86-ე წუთზეღა გაიტანეს: კეიროშის გუნდმა კუთხური ჩააწოდა, ლიდსონმა ყველას დაასწრო და ზუსტი თავური დარტყმით ბურთი ანდერსენის კარში გადაგზავნა.

პორტუგალიელები ერთი ქულის მოპოვების პერსპექტივითაც არ დაკმაყოფილდნენ და დარჩენილი დროც შეტევებში გაატარეს, მაგრამ დანიამ, უფრო სწორად კი დანიელთა მეკარე ანდერსენმა რონალდოსა და კომპანიას მეტი აღარაფერი გააბედვინა. ფრით დანია კმაყოფილი დარჩა, პორტუგალიას კი დარჩენილ შეხვედრებში დიდი ვნებათაღელვა ელის.

ჯგუფიდან გასასვლელად უნგრეთი და შვედეთიც იბრძვიან და შაბათს ეს გუნდებიც ერთმანეთს ხვდებოდნენ - ბუდაპეშტში. ტურის წინ უნგრეთი მეორე ადგილზე იყო, შვედეთი კი პორტუგალიაზე უარეს დღეში. სკანდინავიელებმა შანსი გამოიყენეს და უმნიშვნელოვანესი თამაში მოიგეს. მართალია, უნგრეთი მეორე ადგილზე დარჩა, მაგრამ ზლატან იბრაჰიმოვიჩი და მისი თანაგუნდელები უნგრელებს ახლა უკვე მხოლოდ ერთი ქულითღა ჩამორჩებიან. თანაც, ოთხშაბათს შვედეთი მალტას ხვდება და ცხადია, მოიგებს, უნგრეთმა კი განრისხებულ პორტუგალიას უნდა უმასპინძლოს.

რაც შეეხება მატჩს: გამოცდილმა მცველმა **ოლოფ მელბერგმა** ანგარიში მერვე წუთზე გახსნა და თანამემამულეები დააწინაურა, რის შემდეგაც უნგრელები ანგარიშის გათანაბრებისთვის ყველა ხერხით, ასე ვთქვათ, კბილებითა და ფრჩხილებით იბრძოდნენ. უნგრელებმა მიზანს მხოლოდ მატჩის მიწურულს მიაღწიეს: საუკეთესო უნგრელმა **ჟაბოლჩ ჰუშტიმ** ანგარიში თერთმეტმეტრიანით გაათანაბრა, რის შემდეგაც მთელმა გუნდმა ამოისუნთქა - უნგრელები ფრეზე ყაბულს იყვნენ. მაგრამ საფეხბურთო მატჩი 90 წუთს გრძელდება და ბოლო წუთზე სკანდინაველთა მთავარმეგოლე **იბრაჰიმოვიჩმა** სტუმრებს გამარჯვება მოუტანა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 7 | 5 | 2 | 0 | 14-3 | 17 |
| 2. უნგრეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 9-4 | 13 |
| 3. შვედეთი | 7 | 3 | 3 | 1 | 8-3 | 12 |
| 4. პორტუგალია | 7 | 2 | 4 | 1 | 9-5 | 10 |
| 5. ალბანეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 4-8 | 6 |
| 6. მალტა | 8 | 0 | 1 | 7 | 0-21 | 1 |

**9 სექტემბერი**

უნგრეთი-პორტუგალია
ალბანეთი-დანია
მალტა-შვედეთი

**გოტფრიდ ლენცი**

### II ჯგუფი

**მოლდოვა–ლუქსემბურგი 0:0**

**მოლდოვა:** ნამაშკო - ლაშჩენოვი, გოლოვატენკო, არმასი, კატინსუსი - კომლიონოკი (81. ანდრონიკი), გატკანი, ონიცა - ბუგაევი (77. სუვოროვი), სოფრონი, კალინკოვი.

**ლუქსემბურგი:** ჟობერი - კინტციგერი, პაიალი, ჰოფმანი, ბლეზი - პეტერსი, ჯ. შტრასერი, ბეტმერი, პუპოვაცი (84. ალვეშ მოტა) - იენიში (58. კოლეტი), ლომბარდელი.

**მაყურებელი:** 9 000


ორი გერმანელის დუელში ოტმარ ჰიტცფელდმა გაიმარჯვა

**ისრაელი–ლატვია 0:1**

**ისრაელი:** ავატი - შპუნგინი, სტრული, კეინანი, ბენ დაიანი - კაიალი, ალბერმანი (46. კოენი), ბენაიუნი (66. ბარუჩიანი), კატანი - ბარდა, გოლანი (62. ბენ საჰარი).

**ლატვია:** ვანინსი - ივანოვსი, გორსკი, კლავა, კასანოვსი - ასტაფიევსი, კაუნა (80. ჟიგაევსი), რუბინსი (81. ზირნისი), კოლესნიჩენკო - ვერპაკოვსკისი (90. პერეპლოტკინსი), კარლსონსი.

**გოლი:** 0:1 გორკსი (60)

**მაყურებელი:** 25 652

**შვეიცარია–საბერძნეთი 2:0**

**შვეიცარია:** ბენალიო - ნეფი (61. დერდიოკი), ფონ ბერგენი, გრიხტინგი, მანინი - ჰუგელი, ფერნანდესი (68. ჰაკან იაკინი), ბარნეტა, პადალინო - ფრეი, ნკუფო (81. ფონლანტენი).

**საბერძნეთი:** ჩალკიასი - პაპასტატოპულოსი, მორასი, კირიაკოსი, სპიროპულოსი - ვინტრა, კაცურანისი, პაცაცოღლუ, სალპინგიდისი (46. სამარასი) - ხარისტეასი (73. პაპადოპულოსი), ამანატიდისი (81. გეკასი).

**გოლები:** 1:0 გრიხტინგი (83), 2:0 პადალინო (88)

**გაძევება:** ვინტრა (42. საბერძნეთი)

**მაყურებელი:** 38 500

შვეიცარიელებმა, პირველი ტაიმის ბოლოსა და მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში მოედანზე ათი კაცით დარჩენილ ბერძნებს ორი გვიანი გოლი გაუტანეს და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის იმედი გაიღვივეს. არადა, რომ გითხრათ, კაცის გაგდებამ სტუმრებზე იმთავითვე ძალიან იმოქმედა და დააბნიაო, არ ვიქნებით მართალი - **ლუკას ვინტრა** მეორე ყვითლის გამო მოედნიდან ჯერ კიდევ 42-ე წუთზე გააძევეს, მაგრამ რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად შვეიცარიელების თამაში შეტევაში მაინცდამაინც არ გამწვავებულა. აი, შეხვედრის ბოლო წუთებში კი ბერძნები მართლაც აირივნენ და **სტეფან გრიშტინგისა** და **მარკო პადალინოს** დარტყმები გაუშვეს.

არადა, სტუმრებმა შეხვედრა კარგად დაიწყეს. მათ მეორე წუთზევე შეეძლოთ დაწინაურება, როდესაც **იოანის ამანატიდისმა** საჯარიმო მოედანში დარტყმის შესაძლებლობა იხელთა, მაგრამ ჩანაფიქრი ხეირიანად ვერ შეასრულა. ხსენებულ ამანატიდისს 25-ე წუთზეც შეეძლო თავის გამოჩენა, თუმცა საჯარიმოს შიგნიდან ჩახვევის მცდელობა იმით დამთავრდა, რომ ბურთმა კარს გადაუბზრიალა.

სტუმართა მეკარეს, **კოსტას ჩალკაისს** კი პირველ ტაიმში დატვირთვა ფაქტობრივად არ ჰქონია - მასპინძლებმა 41-ე წუთამდე კართან ხიფათი ვერ შეუქმნეს. 41-ზე, **ტრანკილო ბარნეტამ** მარცხენა ფრთაზე ჩაიდრიბლინგა და ლონივრად დაარტყა, მაგრამ დარტყმას გადაელობნენ.

და ასე განსაჯეთ, შესვენების შემდეგაც პირველი თვალსაჩინო მომენტი ბერძნებმა შექმნეს, როდესაც 67-ე წუთზე ამანატიდისისა და ნიკოს სპიროპულოსის კომბინაცია ამ უკანასკნელის დარტყმითა და მეკარე **დიეგო ბენალიოს** მიერ ბურთის მოგერიებით დასრულდა.

თუმცა, შეხვედრის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე მოხდა ის, რაც თავში მოგახსენეთ - **ჰაკან იაკინის** მიერ მარჯვნიდან ჩაწოდებულ ჯარიმას გრიშტინგმა თავურით კარში მიუჩინა ადგილი, ხოლო კიდევ ოთხი წუთის შემდეგ, მარცხენა ფრთიდან **ალექსანდერ ფრეის** ჩაწოდებულს პადალინოს იღბლიანი თავური მოჰყვა.

თავურით გაიმარჯვა ლატვიამაც, რომელმაც ისრაელში ითამაშა, აღთქმული მიწიდან ისეთი სამი ქულა წამოიღო, არავინ რომ დაპირებია და მასპინძლებიც გაოგნებულები დატოვა: გოლი **კასპარს გროკსსმა** გაიტანა. ეს მეორე ტაიმში, 59-ე წუთზე მოხდა, როდესაც მას საგოლე პასი **ალექსანდრს კაუნამ** ჩააწოდა. ახლა, ისრაელის ნაკრებს სამხრეთ აფრიკაში გამგზავრების საქმე გაურთულდა, ლატვია კი პირიქით, წამოიჩიტა და, როგორც ხედავთ, ცხრილში თვით საბერძნეთს მიუსკუპდა გვერდზე.

არადა, ისრაელს საუკეთესო შემადგენლობა არ ჰყავდაო, ვერ იტყვი - **ელიანივ ბარდამ** შექმნა კიდეც შეხვედრის პირველი სახიფათო მომენტი, როდესაც საჯარიმოში შევარდა და შორეულ ძელთან ჩაჰკიდა, სადაც ლატვიელთა მეკარემ **ანდრის ვანინსმა** იყოჩაღა. ამ ამბიდან გავიდა ერთი წუთი და ვანინსმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი, როდესაც **ომარ გოლანის** დარტყმა მოიგერია, შემდეგ კი სახიფათო მომენტი უკვე საპირისპირო კართან შეიქმნა - კაუნას შეეძლო თავის გამოჩენა. 26-ე წუთზე მომენტი ისევ ისრაელს ჰქონდა, კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს **იუვალ შპუნგინმა** თავი ჰკრა, მაგრამ მიზანს ოდნავ ააცილა. ამის მერე ლატვიელ ვეტერანს, **მარკუს ვერპაკოვსკის** ჰმართებდა გოლის გატანა, როდესაც მეკარესთან პირისპირ შევიდა, მაგრამ მიზანს ააცილა. უხვმომენტიან შეხვედრაში შემდეგი შესაძლებლობა გოლანისა იყო - მან მაკრატელა დარტყმით ძელს გაარტყა ბურთი და ამ ეპიზოდში აუცილებლად უნდა აღინიშნოს **იანივ კატანის** ჭკვიანური პასი.

ისრაელი შესვენების შემდეგაც ძალიან ცდილობდა მეტოქის კართან მიბმას, მაგრამ როგორც გითხარით, გოლი გაუშვა. და ამ ეპიზოდიდან ხუთი წუთის შემდეგ, ლატვიელმა ვეტერანმა **ვიტალის ასტაფიევსმა**, რომელიც ნაკრებში თავის 155-ე შეხვედრას ატარებდა, შორეული, ძლიერი დარტყმით ბურთი ძელთა გადაკვეთის ადგილს გაარტყა. 72-ე წუთზე კი **ანდრეის რუბინსმა** კიდევ ერთი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## სამხ. აფრიკა 2010. საკვალიფიკაციო ეტაპი. ევროპა


თურქეთი-ესტონეთი. სტუმრებმა მასპინძლებს დიდი თავსატეხი გაუჩინეს

მოლდოვასა და ლუქსემბურგს კი ბოლო ადგილზე გასვლა არ უნდათ და კიშინიოვში ამისათვის ებრძოდნენ ერთმანეთს, ოლონდ ბრძოლა უგოლოდ დაუმთავრდათ.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 7 | 5 | 1 | 1 | 13-6 | 16 |
| 2. საბერძნეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-6 | 13 |
| 3. ლატვია | 7 | 4 | 1 | 2 | 11-6 | 13 |
| 4. ისრაელი | 7 | 2 | 3 | 2 | 10-9 | 9 |
| 5. ლუქსემბურგი | 7 | 1 | 2 | 4 | 3-13 | 5 |
| 6. მოლდოვა | 7 | 0 | 2 | 5 | 2-11 | 2 |

**9 სექტემბერი**
მოლდოვა-საბერძნეთი
ლატვია-შვეიცარია
ისრაელი-ლუქსემბურგი

**ილია ბაბუნაშვილი**

### III ჯგუფი

**პოლონეთი-ჩრ. ირლანდია 1:1**

**პოლონეთი:** ბორუცი - მიხ. ჟევლაკოვი, გოლანსკი, დუდკა - მ. ლევანდოვსკი, ბლაშჩიკოვსკი, კრჟინოვეკი, ობრანიაკი (46. სმოლიარეკი), გერეირო - მურავსკი (61. რ. ლევანდოვსკი), ბროზეკი.

**ჩრ. ირლანდია:** ტეილორი - მაკკოლი, ევანსი, ჰიუზი, კრეიგანი - ჯონსონი, კლინგენი, მაკკანი, დევისი - ლაფერტი (54. პეტერსონი), ჰილი.

**გოლები:** 0:1 ლაფერტი (38), 1:1 ლევანდოვსკი (80)

**მაყურებელი:** 45 000

**სლოვაკეთი-ჩეხეთი 2:2**

**სლოვაკეთი:** მუხა - პეკარიკი, შკრტელი, დურიცა, ზაბავნიკი - ვაისი (74. საპარა), შტრბა, ჰამშიკი, შეშტაკი (82. მ. ჩეხი) - ვიტეკი, ჰოლოშკო (87. იენდრიშეკი).

**ჩეხეთი:** პ. ჩეხი - გრიგერა, ჰიუბშმანი, ზივოკი, იანკულოვსკი - კადლეცი, შტაინერი (83. სვერკოში), იაროლიმი (65. ნესიდი), პლაშილი, პუდილი - კოლერი (55. ბაროში).

**გოლები:** 1:0 შეშტაკი (60), 1:1 პუდილი (68), 2:1 ჰამშიკი (73-პენ), 2:2 ბაროში (83)

**გაძევება:** ჰამშიკი (75. სლოვაკეთი)

**მაყურებელი:** 22 400

მესამე ჯგუფში შეიცვალა მხოლოდ ის, რომ ოთხ გუნდს ერთით მეტი მატჩი აქვს ჩატარებული, სხვა მხრივ, აქ არაფერი შეცვლილა, რადგან როგორც პოლონეთმა და ჩრდილოეთ ირლანდიამ, ისე სლოვაკეთმა და ჩეხეთმაც ქულები გაიყვეს.

შესაბამისად, პოლონეთსაც და ჩრდილოეთ ირლანდიასაც მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსები აქვთ. 38-ე წუთზე **ლაფერტიმ** სტუმრები დააწინაურა და პოლონელები მე-80 წუთამდე აგებდნენ. ხსენებულ დროს კი, **მარიუშ ლევანდოვსკიმ** ანგარიშის გათანაბრება შეძლო. შედეგად, ჩრდილოეთ ირლანდია მეორე ადგილზე დარჩა და ლიდერ სლოვაკეთს ისევ 2 ქულით ჩამორჩება. ერთი ეგაა, რომ ჩრ. ირლანდიელებს კონკურენტებზე ერთით მეტი შეხვედრა აქვთ ჩატარებული. პოლონეთი კი მესამე ადგილზეა და მეორე პოზიციას 3 ქულა აშორებს.

ყველაზე მეტად კი ჩეხეთს უჭირს და უკვე მართლა დროა, გამოფხიზლდეს, თორემ მუნდიალს მილმა დარჩება. ჩეხები ლიდერ სლოვაკეთს სტუმრობდნენ და მხოლოდ ფრეს მიაღწიეს, თუმცა ეს ფრე ჩეხეთისთვის, ალბათ, საპატიოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან ბრატისლავაში თამაში ბოლო დროს უკიდურესად რთულია. შეხვედრის პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მეორე ნახევარში კი სლოვაკები ორჯერ იგებდნენ, მაგრამ სტუმრებმა ანგარიში ორივეჯერ გაათანაბრეს. პირველი გოლი „ბოხუმის" ფორვარდმა **სტანისლავ შეშტაკმა** გაიტანა და 8 წუთში **დანიელ პუდილმა** წონასწორობა აღადგინა. „ნაპოლის" ფეხბურთელმა **მარეკ ჰამშიკმა** მასპინძლები კიდევ ერთხელ დააწინაურა და ზუსტად 3 წუთში ეს უკანასკნელი მოედნიდან გააძევეს, რითაც სტუმრებმა ისარგებლეს და ანგარიში კიდევ ერთხელ გაათანაბრეს (**მილან ბაროში**).

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლოვაკეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 19-8 | 16 |
| 2. ჩრ. ირლანდია | 8 | 4 | 2 | 2 | 13-7 | 14 |
| 3. პოლონეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 19-8 | 11 |
| 4. სლოვენია | 7 | 3 | 2 | 2 | 10-4 | 11 |
| 5. ჩეხეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-6 | 9 |
| 6. სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 1-37 | 0 |

**9 სექტემბერი**
სლოვენია-პოლონეთი
ჩრ. ირლანდია-სლოვაკეთი
ჩეხეთი-სან მარინო

### IV ჯგუფი

**აზერბაიჯანი-ფინეთი 1:2**

**აზერბაიჯანი:** აგაევი - ალახვერდიევი, შუქუროვი, სადიგოვი, აბასოვი - ლევინი, იუნისოღლუ, აბიშოვი (46. ჰუსეინოვი), მამადოვი (84. ამირგულიევი) - ჯავადოვი, ნადიროვი (72. ახტიამოვი).

**ფინეთი:** იაასკელაინენი - პასანენი, ტიჰინენი, მოისანდერი, ლამპი - რ. ერიომენკო, ტაინიო (45. ლიტმანენი), ჰეიკინენი - კუკი (73. სიოლუნდი/83. კოლკა) - იოჰანსონი, ა. ერიომენკო.

**გოლები:** 1:0 მამადოვი (49), 1:1 ჰეიკინენი (74), 1:2 პასანენი (86)

**მაყურებელი:** 18 000

**რუსეთი-ლიხტენშტაინი 3:0**

**რუსეთი:** აკინფეევი - ვ. ბერეზუცკი (58. ა. ბერეზუცკი), იგნაშევიჩი, ანიუკოვი ბილიალეტდინოვი - ზირიანოვი (46. სემშოვი), სემაკი, ბისტროვი, დენისოვი (69. პოგრებნიაკი) - კერჟაკოვი, პავლიუჩენკო.

**ლიხტენშტაინი:** იელე - მიხ. შტოკლასა, ფოგტი (82. შ. ბუხელი), რიტცბერგერი, იორი - რეხშტაინერი, ბურგმაიერი, რ. ბუხელი, კრისტენსენი (72. რ. ბეკი) - მ. ფრიკი, თ. ბეკი (57. ჰასლერი).

**გოლები:** 1:0 ვ. ბერეზუცკი (17), 2:0 პავლიუჩენკო (39-პენ), 3:0 პავლიუჩენკო (45-პენ)

**მაყურებელი:** 29 000

ამ ჯგუფში ყველა რუსეთისა და გერმანიის ნაკრები გუნდების დაპირისპირების მოლოდინშია. ამ უქმეებზე გერმანელები ისვენებდნენ და რუსეთის ნაკრების „წვალებას" უყურეს ლიხტენშტაინთან, რის შემდეგაც დაასკვნეს, რომ იოახიმ ლიოვსა და მის შეგირდებს რუსების არ უნდა ეშინოდეთ. **ჰიდინკის** გუნდმა ლიხტენშტაინს მხოლოდ 3:0 მოუგო და რუსებმა სამიდან ორი გოლი პენალტებით გაიტანეს. და ეს იმ დროს, როცა ლიხტენშტაინელებმა კარისკენ პირველად 79-ე წუთზე დაარტყეს (!). ცხადია, რუსეთი გერმანიასთან სხვა შემართებითა და შემადგენლობით ითამაშებს, მაგრამ მაინც... მაგალითად, ჰიდინკმა ლიხტენშტაინთან **არშავინი და პოგრებნიაკი დაასვენა.** მატჩის წინ დიდი არეულობა იყო. ჰიდინკმა მოსკოვიდან სტ. პეტერბურგში გუნდი მატარებლით წაიყვანა, ბიჭები ფანებთან ახლოს იქნებიანო. სტ. პეტერბურგში კი რუსეთის ნაკრებს ხულიგანთა ბრბო ელოდა, რომელმაც **ვლადიმირ ბისტროვზე** მიიტანა იერიში. 2005 წლიდან ეს უკანასკნელი, პეტერბურგელი ფანების აზრით, გამყიდველი და მოღალატეა, რადგან მოსკოვის „სპარტაკში" გადავიდა...

რაც შეეხება მეორე მატჩს: ფინეთის შანსებზე ლაპარაკი ძალიან ძნელია, რადგან ეს გუნდი მეორე ადგილზე მყოფ რუსეთს 5 ქულით ჩამორჩება, მაგრამ მაინც: ფინელებმა აზერბაიჯანში 2:1 გაიმარჯვეს. დიახ, 2:1! ეს კი იმას ნიშნავს, რომ როგორც იქნა, აზერბაიჯანმა გოლის გატანა შეძლო! **ბერტი ფოგტსის** შეგირდებს 589-წუთიანი (!) უგოლო სერია ჰქონდათ და როცა მატჩის 49-ე წუთზე **ელვინ მამადოვმა** ანგარიში გახსნა, ტოფიკ ბახრამოვის სახელობის სტადიონზე დიდი ზეიმი დაიწყო, მაგრამ აზერბაიჯანელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა: 74-ე წუთზე **მარკუს ჰეიკინენმა** წონასწორობა აღადგინა, 86-ეზე კი **პეტრი პასანენმა** ფინეთს სამი ქულა მოუტანა.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 7 | 6 | 1 | 0 | 20-4 | 19 |
| 2. რუსეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 15-3 | 18 |
| 3. ფინეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 10-11 | 13 |
| 4. უელსი | 7 | 3 | 0 | 4 | 5-7 | 9 |
| 5. აზერბაიჯანი | 7 | 0 | 1 | 6 | 1-9 | 1 |
| 6. ლიხტენშტაინი | 7 | 0 | 1 | 6 | 1-18 | 1 |

**9 სექტემბერი**
გერმანია-აზერბაიჯანი
ლიხტენშტაინი-ფინეთი
უელსი-რუსეთი

**გოტფრიდ ლენცი**

### V ჯგუფი

**სომხეთი-ბოსნია 0:2**

**სომხეთი:** კასპაროვი - ჰოვსეპიანი, ა. მკრტჩიანი, არზუმანიანი, თადევოსიანი - ართ. ქარამიანი, არაქელიანი (65. მინასიანი), ედიგარიანი (74. იაგანი) - არმ. ქარამიანი - იავრუმიანი (46. გოჰარიანი), ჰ. მკრტჩიანი.

**ბოსნია:** სუპიჩი - სპაჰიჩი, იაჰიჩი, ნადარევიჩი - მურატოვიჩი (63. პიანიჩი), რაჰიმიჩი, სალიჰოვიჩი, იბრიჩიჩი (84. ბაირამოვიჩი) - ვლადავიჩი - ჯეკო, იბიშევიჩი (68. მუსლიმოვიჩი).

**გოლები:** 0:1 იბრიჩიჩი (6), 0:2 მუსლიმოვიჩი (73)

**მაყურებელი:** 5 500

**ესპანეთი-ბელგია 5:0**

**ესპანეთი:** კასილიასი - არბელოა (83. ალბიოლი), პიკე, პუიოლი, კაპდევილია - ჩავი (70. ფაბრეგასი), ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო, სილვა - ფერნანდო ტორესი (67. რიერა), ვილია.

**ბელგია:** ჟილე - ვან დენ ბორე, ვან ბუიტენი, ვერმელენი, ვერტონგენი (30. დეშახტი) - სიმონსი, დეფური, ჰაზარდი (58. მირალასი), ფელაინი - სონკი (70. დე კამარგო) - დემბელე.

**გოლები:** 1:0 სილვა (41), 2:0 ვილია (49), 3:0 პიკე (50), 4:0 სილვა (68), 5:0 ვილია (85)

**მაყურებელი:** 34 000

**თურქეთი-ესტონეთი 4:2**

**თურქეთი:** ვოლქანი - გოხან გონული, გოხან ზანი (34. ონდერი), სერვეთი, ჰაქან ბალთა - ემრე (78. ჩეიჰუნი), ქაზიმი (60. ჰალილ ალთინთოფი), ჰამით ალთინთოფი - არდა - სერქანი, თუნჯაი.

**ესტონეთი:** პარეიკო - კლავანი (75. პურიე), პიიროია, ბარენგრუბი, იააგერი - კრუგლოვი, ვასილიევი, დმიტრიევი, ლინდპერე - ვოსკობოინიკოვი (53. ზენიოვი), ოპერი (73. კინკი).

**გოლები:** 0:1 ვოსკობოინიკოვი (7), 1:1 თუნჯაი (30), 2:1 სერქანი (37), 2:2 ვასილიევი (53), 3:2 არდა (63), 4:2 თუნჯაი (73)

**მაყურებელი:** 32 000

„ვალენსიას" ორმა დავიდმა დუბლი შეასრულა ბელგიასთან მატჩში და ესპანეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური თითქმის დაუბევა. **ვისენტე დელ ბოსკეს** ნაკრებმა 5:0 გაანადგურა ბელგია და მე-5 საკვალიფიკაციო ჯგუფში კვლავ უდანაკარგოდ ლიდერობს. „რიასორზე" **დავიდ ვილიას** და **დავიდ სილვას** დუბლებს, ერთი გოლიც მცველმა **ჯერარდ პიკემ** დაურთო. ესპანელებმა დავიდ ვილიასა და **ფერნანდო ტორესის** დუეტით დაიწყეს შეტევაში. პირველივე წუთებიდან ესპანელთა უპირატესობა აშკარა იყო, ტორესმა ბურთი ძელსაც გაარტყა. 23-ე წუთზე კი **ანტონი ვან დერ ბორემ** ვილია საჯარიმოში მოცელა, პენალტი დაზარალებულმა დაარტყა და ბელგიელთა გოლკიპერმა **ჟილემ** „ელ გუახეს" დარტყმული ფეხით მოიგერია.

ესპანელებმა კიდევ უფრო გაამძაფრეს იერიშები, თან სტუმრებს კარგად მოთამაშე **იან ვერტონგენი** დაემტვრათ. ტორესმა კიდევ ერთხელ გაარტყა ძელს... ბელგიამ ამდენ შეტევას ველარ გაუძლო. პირველი ტაიმის დასრულებამდე 4 წუთით ადრე დავიდ ვილიას შესანიშნავი პასით დავიდ სილვამ გაიტანა - 1:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში „ვალენსიას" ფეხბურთელებმა კვლავ გაითამაშეს საგოლე კომბინაცია, ამჯერად სილვას პასით ვილიამ გაიტანა, მან სტუმართა კარის მარჯვენა კუთხეში აუღებელი ბურთი დაარტყა - 2:0. ორი წუთიც არ იყო გასული, რომ პიკემ ანგარიში გამანადგურებელი გახადა - 3:0. ამის შემდეგ ესპანელებმა განივი პასებით დაამშვიდეს თამაში, მაყურებელი პასებს „ოლე, ოლეს" ძახილით ეგებებოდა. მე-4 გოლი 68-ე წუთზე გავიდა, რომელიც მარჯვენა ფლანგზე **ალვარო არბელოას** აქტიურობას მოჰყვა, გოლი კი სილვამ გაიტანა. მატჩის მიწურულს „ელ გუახემ" დუბლი ცარიელ კარში შეასრულა, **ჩაბი ალონსოს** და შეცვლაზე შესული **სესკ ფაბრეგასის** კომბინაციის შემდეგ ვილიას აღარაფერი დარჩენოდა ცარიელ კარში ბურთის შეგორების გარდა - 5:0.

**ვისენტე დელ ბოსკე:** *„ძალიან ცუდია, რომ ასეთი კარგი შედეგის მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ მოვიპოვეთ საგზური. მოხარული ვარ, რომ ვილია ჩვეულ ფორმას დაუბრუნდა, კონფედერაციათა თასზე ის ასე კარგად არ გამოიყურებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გოლების უმეტესობა მეორე ტაიმში გავიტანეთ, უკეთ პირველში ვითამაშეთ. სენა იმიტომ არ ვათამაშე, რომ აჩქარება არ გვმართებს, ასეთ ბრძოლაში მისი დაყენება სარისკო იყო, მით უფრო, რომ მისი სავარაუდო ვიზავი ფელაინი მასზე ორჯერ დიდია ტანად. სხვათა შორის, ბუსკეტსმა ბრწყინვალედ ითამაშა. „რიასორზე" ბრწყინვალე აურაა, გულშემატკივარმა ფანტასტიკურად დაგვიჭირა მხარი და ჩვენც სათანადოდ დავაფასეთ ისინი. იმედია, მალე კვლავ დავუბრუნდებით ამ სტადიონს".*

**ფრანკ ვერკაუტერენი:** *„მეტოქე ჩვენზე ძლიერი იყო ყველა ასპექტში. პირველ ტაიმში როგორღაც დავიცავით თავი, მაგრამ მეორეში ესპანელებს 6 წუთი ეყოთ ინტრიგის მოსაკლავად. ვიცოდით, რომ შანსი თითქმის არ გვქონდა, ვიმედოვნებდით, ესპანელები ვერ ითამაშებდნენ ჩვეულად, მაგრამ სამწუხაროდ, მათ მთელი პოტენციალი სრულად გამოავლინეს".*

ესპანელების დევნას განაგრძობს ბოსნია ჰერცეგოვინის ნაკრები, რომელმაც შაბათს სომხეთში 2:0 იმარჯვა. „რესპუბლიკურ სტადიონზე" ამ მატჩის სანახავად მხოლოდ 5 ათასი გულშემატკივარი მივიდა. თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანეს **სენიად იბრიჩიჩმა** და **ზლატან მუსლიმოვიჩმა**. პირველ ტაიმში პენალტი ვერ გამოიყენა „ვოლფსბურგის" ფორვარდმა **ედინ ჯეკომ**. მეორე ტაიმში **არტავაზ კარამიანმა** ბურთი ძელს გაარტყა.

თურქეთის ნაკრებმა 4:2 სძლია ესტონეთს, ახლა ამ ჯგუფში მეორე ადგილის ბედს ოთხშაბათის მატჩი გადაწყვეტს - ბოსნიელები თურქებს უმასპინძლებენ. ესტონელთა კარში დუბლი შეასრულა **თუნჯაი ჩანლიმ**.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 7 | 7 | 0 | 0 | 18-2 | 21 |
| 2. ბოსნია | 7 | 5 | 0 | 2 | 20-7 | 15 |
| 3. თურქეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-7 | 11 |
| 4. ბელგია | 7 | 2 | 1 | 4 | 10-16 | 7 |
| 5. ესტონეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-19 | 5 |
| 6. სომხეთი | 7 | 0 | 1 | 6 | 3-17 | 1 |

**9 სექტემბერი**
ესპანეთი-ესტონეთი
სომხეთი-ბელგია
ბოსნია-თურქეთი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

» 12


მატჩის გმირები: დავიდ სილვა (მარცხნივ) და დავიდ ვილია

# უცხოური ფეხბურთი

## სამხ. აფრიკა 2010. საკვალიფიკაციო ეტაპი. ევროპა

11 «

### VI ჯგუფი

**უკრაინა-ანდორა 5:0**

**უკრაინა:** პიატოვი - კუჩერი, ჩიგრინსკი, მანძიუკი, კობინი - ტიმოშჩუკი, გუსევი (71. გაი), იარმოლენკო - ვორონინი (66. სელეზნიოვი) - მილევსკი, შევჩენკო (81. გომენიუკი).

**ანდორა:** გომესი - სონეხე, მუნიოსი, ხიმენესი, აიალა - პუხოლი, ვალესი, სილვა, მორენო (82. გარსია), ვიეირა (75. ესკურა), ტოსკანო (84. მორეირა).

**გოლები:** 1:0 იარმოლენკო (19), 2:0 მილევსკი (45), 3:0 შევჩენკო (73-პენ), 4:0 მილევსკი (90-პენ), 5:0 სელეზნიოვი (90-პენ)

**მაყურებელი:** 15 000

**ხორვატია-ბელარუსი 1:0**

**ხორვატია:** რუნიე - ჩორლუკა, კრიჟანაცი, შიმუნიჩი, პრანიჩი - რაკიტიჩი (65. მანძუკიჩი), ვუკოიევიჩი, სრნა, კრანჩარი - ედუარდო (82. იურიჩი), ოლიჩი (74. პეტრიჩი).

**ბელარუსი:** ჟევნოვი - ვერხოვცოვი, კულჩი, შიტოვი, კალაჩოვი - იურევიჩი, ომელიანჩუკი, ბორდაჩოვი (55. სტასევიჩი), სოსნოვსკი - კორნილენკო (77. კოველი), ვ. გლები (63. კრივეცი).

**გოლი:** 1:0 რაკიტიჩი (24)

**გაძევება:** ჩორლუკა (80. ხორვატია)

**მაყურებელი:** 30 000

უკრაინისა და ანდორის თამაშზე ბევრს ნამდვილად ვერაფერს მოგახსენებთ, ნებისმიერი, ვინც ანგარიშს შეხედავს, სიტყვის უთქმელადაც მიხვდება ყველაფერს. ამ გამარჯვებით უკრაინელებმა სამხრეთ აფრიკაში მოხვედრის იმედი შეინარჩუნეს.

პირველ ტაიმში ორი გოლი გავიდა. ჯერ იყო და, **ანდრეი იარმოლენკომ** გახსნა ანგარიში, მსაჯის წამატებულ წუთებში კი **არტიომ მილევსკიმ** მეორე შეაგდო. შესვენების შემდეგ კი... სამი პენალტი დაინიშნა. თან, ჰოი საოცრებავ, ანდრეი შევჩენკომ თავისი თერთმეტმეტრიანი თუ შეხვედრის „ნორმალურ" დროს, 72-ე წუთზე დაარტყა, უკვე ნახსენებმა მილევსკიმ და **ევგენი სელეზნიოვმა** ეს კვლავ მსაჯის წამატებულ წუთებში გააკეთეს. და ადამიანმა, რომელიც ასეთ რამეს გაიგებს, არ შეიძლება არ იკითხოს, თუ ვინ იყო მსაჯი. და რადგანაც თქვენ, ძვირფასო მკითხველო, ეს იკითხეთ, გიპასუხებთ, რომ მსაჯი ლატვიელი **ანდრეს სიპაილო** გახლდათ.

ხორვატიის ნაკრებს კი ოთხშაბათს ინგლისთან პრინციპული მატჩის წინ როგორც სატურნირო, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ბელარუსთან გამარჯვება სჭირდებოდა და ამას **ივან რატიკიჩის** გოლით მიაღწია. რატიკიჩმა პირველი ტაიმის შუაში გაიტანა. ეპიზოდი ასეთი გახლდათ: ხორვატმა დაახლოებით 25 მეტრიდან დაარტყა, ბურთმა კი გზად **დმიტრი ვერხოვცოვისგან** გეზი იცვალა და მეკარე **იური ჟევნოვი** პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეხვედრაში რატიკიჩის მომენტი ხორვატთათვის პირველი არ ყოფილა. მასპინძლებმა მანამდეც შექმნეს მეტოქის კართან რამდენიმე ხიფათი, ხოლო **დარიო სრნამ** მე-15 წუთზე ძელსაც გაარტყა ბურთი.

შესვენების შემდეგ, რაგინდ უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, მასპინძლები ძირითადად თავს იცავდნენ, ეს საქმე კი **ვედრან ჩორლუკას** გაძევების შემდეგ გართულდა - ჩორლუკამ მეორე ყვითელი მიიღო. თუმცა, ხორვატებმა უპირატესობა საბოლოოდ შეინარჩუნეს და გაიმარჯვეს.

*„დღეს სამი ქულის მოპოვებამ ძალიან გაგვახარა* - თქვა, მატჩის შემდეგ ხორვატმა ნახევარმცველმა ოგნიენ ვუკოევიჩმა, - *ბელარუსს გაუვალი დაცვა ჰყავს, ჩვენმა მეკარემ, ვედრან რუნიემ კი თამაშის მიწურულს რამდენიმე ეპიზოდში, უბრალოდ, გვიხსნა".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 7 | 7 | 0 | 0 | 26-4 | 21 |
| 2. ხორვატია | 8 | 5 | 2 | 1 | 16-7 | 17 |
| 3. უკრაინა | 7 | 4 | 2 | 1 | 14-6 | 14 |
| 4. ბელარუსი | 7 | 3 | 0 | 4 | 15-11 | 9 |
| 5. ყაზახეთი | 7 | 1 | 0 | 6 | 7-22 | 3 |
| 6. ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 2-30 | 0 |

**9 სექტემბერი**

ანდორა-ყაზახეთი
ბელარუსი-უკრაინა
ინგლისი-ხორვატია

**ილია ბაბუნაშვილი**

### VII ჯგუფი

**ავსტრია-ფარერები 3:1**

**ავსტრია:** პაიერი - დრაგოვიჩი, შიმერი, პატოჩკა (45. ორტლეხნერი), ფუხსი - ფეჰლივანი, ბაიხლერი (80. ვალნერი), იანტშერი, ჰიოლცლი - მაიერჰოფერი (61. ჰოფერი), იანკო.

**ფარერები:** მიკელსენი - ნაესი, ჰანსენი, გრეგერსენი, ბო - დანიელსენი, ბენიამინსენი (81. პეტერსენი), ს. ოლსენი (68. ჰანსენი), ლოკინი - სამუელსენი, ჰოლსტი (72. ა. ოლსენი).

**გოლები:** 1:0 მაიერჰოფერი (1), 2:0 იანკო (16), 3:0 იანკო (59-პენ), 3:1 ა. ოლსენი (83)

**მაყურებელი:** 12 300

**საფრანგეთი-რუმინეთი 1:1**

**საფრანგეთი:** ლორისი - სანია, გალასი, ესკუდე, ევრა - ტულალანი, გურკუფი (73. ბენზემა), ლ. დიარა, ჟინიაკი (59. რიბერი) - ანელკა, ანრი.

**რუმინეთი:** კომანი - მაფტეი, რადოი, კივუ, რაცი - მარა (61. რომანი), გიოანე, აპოსტოლი, ნიკუ (77. ბუგური) - სურდუ (86. კოდრეა), მარიკა.

**გოლები:** 1:0 ანრი (48), 1:1 ესკუდე (56-საკ. კარში)

**მაყურებელი:** 78 209

საფრანგეთის ნაკრებმა რუმინეთისას ვერ მოუგო, 1:1 ითამაშა და ევროპის მე-7 ჯგუფიდან სამხრეთ აფრიკისკენ მიმავალი თვითმფრინავის ბილეთების რიგში უკან დაიწია. ერთი სიტყვით, მსოფლიოსა და ევროპის ყოფილ ჩემპიონს შვიდი თამაშიდან 14 ქულა აქვს - სერბეთს ოთხით ჩამორჩება. და რა მოჰყვება ამას? სერბეთისა და საფრანგეთის ოთხშაბათის მატჩი ბელგრადში.

რუმინელებთან შეხვედრაში ანგარიში **ტიერი ანრიმ** გახსნა. ეს მეორე ტაიმის მე-3 წუთზე მოხდა, როდესაც ფრანგთა კაპიტანმა **უილიამ გალასის** თავურს ახლოდან მიამატა და ბურთი ბადეში შეაგდო, თუმცა „ლურჯებს" გოლის გატანა პირველ ტაიმშიც შეეძლოთ... თან ბევრჯერ. სტუმრებმა კი 54-ე წუთზე გაათანაბრეს. **ჟულიენ ესკუდმა** ბურთი საკუთარ კარში აისხლიტა და თანამემამულეებს ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლისა და პლეიოფში მოხვედრის უჟმური პერსპექტივა დაანახვა.

*„ამდენი სახიფათო მომენტის შექმნას, ასეთი თამაშის ჩვენებასა და გოლის ვერ გატანას მხოლოდ და მხოლოდ უიღბლობა ჰქვია* - ხელები გაასავსავა მატჩის შემდეგ ფრანგების მწვრთნელმა **რაიმონ დომენეკმა** - *თუმცა, არავის არაფერს ვაბრალებ. ვიმეორებ, ჩვენ დიდებულად ვითამაშეთ, უბრალოდ, არ გაგვიმართლა. ასეა თუ ისე, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს და მნიშვნელობა არ აქვს, ამას როგორ გავაკეთებთ".*

მოგეხსენებათ, დომენეკი ფრანგულ პრესას მაინცდამაინც არ უყვარს. ჟურნალისტებს მწვრთნელისთვის ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის წარუმატებლობა ვერ უპატიებიათ და ახლა სერბეთთან რომ ვერ გაიმარჯვოს, ცოცხლად შეჭამენ.

დომენეკის რუმინელი კოლეგა **რაზვან ლუჩესკუ** კი უკმაყოფილო არ ჩანდა. მან თქვა: *„ეს შედეგი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. რუმინეთმა სტუმრად ფრედ მძლავრ გუნდთან ითამაშა, რომელიც უნიჭიერესი ფეხბურთელებისგან არის დაკომპლექტებული. საფრანგეთმა მეტი სახიფათო მომენტი შექმნა ჩვენს კართან, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაგვიყრია. მაგალითად, პირადად მე ერთი წამით არ დამიშვია, რომ ამ შეხვედრას წავაგებდით. ასეთი მატჩები ფსიქოლოგიურად გვაძლიერებს და გვზრდის".*

სხვათა შორის, ლუჩესკუ არ ტყუის და არც დომენეკი ფანტაზიორობს. შესვენებამდე საფრანგეთმა მართლაც დიდებული ფეხბურთი ითამაშა და უხვად საგოლე მომენტებიც შექმნა, მაგრამ ბედსა და რუმინელ გოლკიპერ **დანუტ კომანს** ვერაფერი მოუხერხა. რუმინელთა გოლის შემდეგ ანრიმ კიდევ ერთი გაიტანა, მაგრამ თანამსაჯმა ოფსაიდის ნიშნად ალამი ასწია...



ხორვატია-ბელარუსი. რაკიტიჩის დარტყმის შემდეგ ჟევნოვი უძლური იყო

ასე იყო თუ ისე, საფინალო სასტვენის შემდეგ მასპინძლებმა „სტად დე ფრანსის" მინდორი გულშემატკივართა უსიამოვნო „აკომპანიმენტის" თანხლებით დატოვეს...

ავსტრიელებმა კი, ამასობაში, სამხრეთ აფრიკაში მოხვედრის შანსი შეინარჩუნეს. ეს **მარკ იანკოს** დიდი დამსახურებაა. ამ ფეხბურთელის ორგოლიანი მონაწილეობით ავსტრიამ ფარერის კუნძულები 3:1 დაამარცხა.

ანგარიში თამაშის დაწყებისთანავე **შტეფან მაიერჰოფერმა** გახსნა - ინგლისური „ვულვერჰემპტონის" თავდამსხმელმა **იაკობ იანტშერის** პასი კარის ხაზიდან რამდენიმე ნაბიჯში 49-ე წამზე შეირგო - რასაც იანკომ თხუთმეტ წუთში მეორე მიამატა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ გოლს შორის იყო კიდევ ერთი ეპიზოდი, როდესაც მაიერჰოფერს შეეძლო მიზნის მიღწევა, მაგრამ ვაგლახ: იანკოს დარტყმული მეკარე **იაკუპ მიკელსენმა** მოიგერია, მან კი მოგერიებულს ვერ დაამატა. თავისი მეორე გოლი იანკომ უკვე შესვენების შემდეგ, პენალტით შეაგდო (**ატლი გრეგერსენმა** საჯარიმოში **ანდრეას ჰოელცლი** წააქცია), თუმცა საქმე თამაშის დასრულებისკენ რომ წავიდა, ფარერელმა **ანდრეას ოლსენმა** ერთი გულის დასამშვიდებელი გაიტანა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 15-5 | 18 |
| 2. საფრანგეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 9-7 | 14 |
| 3. ავსტრია | 7 | 3 | 1 | 3 | 10-10 | 10 |
| 4. ლიტვა | 7 | 3 | 0 | 4 | 6-6 | 9 |
| 5. რუმინეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-11 | 8 |
| 6. ფარერები | 7 | 0 | 1 | 6 | 2-11 | 1 |

**9 სექტემბერი**

რუმინეთი-ავსტრია
ფარერები-ლიტვა
სერბეთი-საფრანგეთი

**ილია ბაბუნაშვილი**

### IX ჯგუფი

**ისლანდია-ნორვეგია 1:1**

**ისლანდია:** გუნლეიფსონი - ოტესენი (90. რ. სიგურდსონი), კ. სიგურდსონი, ი. სიგურდსონი, სტეინსონი - რ. გისლასონი, ა. გუნარსონი (81. ს. გისლასონი), ბ. გუნარსონი, ჰალფრედსონი (89. ვ. გუნარსონი) - ჰელგუსონი, გუდიონსენი.

**ნორვეგია:** კნუდსენი - ჰანგელანდი, ჰოგლი, ველერი, ი. რიისე - ჰოსეტი (46. ბრენე), პედერსენი, გრინდჰაიმი, ჰუსეკლეპი (79. ბ. რიისე) - კარეუ, მოლდსკრედი (87. ჰელსტადი).

**გოლები:** 0:1 ი. რიისე (10), 1:1 გუდიონსენი (29)

**მაყურებელი:** 6 321

**შოტლანდია-მაკედონია 2:0**

**შოტლანდია:** გორდონი - ალექსანდერი, უეირი, დევიდსონი (14. უითეკერი), ჰატონი - მაკმანუსი, დ. ფლეტჩერი, ბრაუნი (73. ჰარტლი), ს. ფლეტჩერი (68. მელოუნი) - მილერი, მაკფადენი.

**მაკედონია:** ნიკოლოსკი - ი. მიტრესკი, სედლოსკი, ნოვესკი, პოპოვი - შუმულიკოვსკი, გეორგიევსკი (69. გროუდანოვსკი), დესპოტოვსკი - ნაუმოსკი (64. ტასევსკი) - სტოიკოვი (79. იბრაჰიმი), პანდევი.

**გოლები:** 1:0 ბრაუნი (56), 2:0 მაკფადენი (80)

**მაყურებელი:** 50 214

შოტლანდიამ მაკედონიას 2:0 მოუგო და კრიტიკის ქარცეცხლში მყოფი მწვრთნელი **ჯორჯ ბარლი** ცოტა თვალებში გამოახედა. მატჩის შემდეგ ბარლი ფეხბურთელებსა და ქომაგს დიდ მადლობას უხდიდა. კაცმა რომ თქვას, საამისო საბაბიც ჰქონდა - სქოთთა გუნდმა სამხრეთ აფრიკაში გამგზავრების შანსი შეინარჩუნა. „ჰემპდენ პარკზე" მასპინძელთაგან გოლები **სკოტ ბრაუნმა** და **ჯეიმს მაკფადენმა** გაიტანეს.

*„მთელმა გუნდმა ჩინებულად ითამაშა და ამ საქმეში უკლებლივ ყველამ მიიღო მონაწილეობა, მთელმა შოტლანდიამ და უპირველეს ყოვლისა ფანებმა, რომელთაც გამაოცეს,* - ბრძანა მწვრთნელმა, - *მართალი გითხრათ, დღეს უდიდესი როლი ატმოსფერომ ითამაშა. მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრისთვის ბრძოლა ყოველთვის ძნელია, მაგრამ მაკედონიის წინააღმდეგ ბიჭებმა ნამდვილი თავდადება გამოამჟღავნეს და მთელი ქვეყანა სიამაყის გრძნობით ალავსეს".*

თუმცა, ასეთი ალტაცების მიუხედავად, ბარლის გუნდს წვრილ-წვრილი უსიამოვნებებიც შეემთხვა. მაგალითად, მაკფადენის გაფრთხილება იმას ნიშნავს, რომ ეს წამყვანი ფეხბურთელი, ოთხშაბათს ჯგუფის გამარჯვებულ ჰოლანდიასთან ვერ ითამაშებს. რაც შეეხება მეორე გოლის ავტორ ბრაუნს, მას ფეხი ეტკინა და შეხვედრის ბოლოსკენ შესაცვლელი შეიქნა.

მწვრთნელმა მაკფადენის გაფრთხილებაზე ასე ბრძანა: *„ნამდვილად ვერ გეტყვით, რა მოხდა იმ ეპიზოდში. სამწუხაროდ, ჩვენი წამყვანი ფეხბურთელი დასაჯეს და ის შემდგომ შეხვედრას გამოტოვებს. მეორე მხრივ, მაკფადენის გამოკლება სხვა მოთამაშეებს მისცემს თავის გამოჩენის საშუალებას. მაგალითად, მაკედონიასთან შეხვედრაში კარგად ჩაერთო შონ მელოუნი, რომელიც თავიდან სათადარიგო იყო".*

ისლანდიამ კი რეიკიავიკში ნორვეგიას გაუფუჭა ხასიათი, რადგან ფრედ ეთამაშა და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი შეუმცირა. ანგარიში დახვეწილად შესრულებული საჯარიმო დარტყმით სტუმარმა **იონ არნე რიისემ** გახსნა, თუმცა, 29-ე წუთზე, ბარსელონაში გამობრძმედილმა **ეიდურ გუდიონსენმა** როგორც კი თავისუფალი სივრცე იგრძნო, თავური დასცხო, გაქვითა და ნორვეგიელებს სამი ძვირფასი ქულა არ გაატანა.

აღსანიშნავია, რომ სტუმართა თავდამსხმელს, **იონ კარეუს** მეორე ტაიმში პენალტი ეკუთვნოდა, მაგრამ თამაშის ხარისხიდან გამომდინარე, იყო თუ არა გამარჯვების ღირსი ნორვეგია, საკითხავია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 7 | 7 | 0 | 0 | 16-2 | 21 |
| 2. შოტლანდია | 7 | 3 | 1 | 3 | 6-10 | 10 |
| 3. ნორვეგია | 7 | 1 | 4 | 2 | 7-6 | 7 |
| 4. მაკედონია | 7 | 2 | 1 | 4 | 4-9 | 7 |
| 5. ისლანდია | 8 | 1 | 2 | 5 | 7-13 | 5 |

**9 სექტემბერი**

ნორვეგია-მაკედონია
შოტლანდია-ჰოლანდია

**ილია ბაბუნაშვილი**



რიბერისა და საფრანგეთის საქმე ცუდად აქვთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხ. აფრიკა 2010. საკვალიფიკაციო ეტაპი

სამხ. ამერიკა

# მარადონა: არ გავტყდები!

## ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონატზეა

XV ტური

**ჩილე-ვენესუელა 2:2**

**ჩილე:** ბრავო - კარესედა (46. ორელიანა), ხარა, ისლა, მატიას ფერნანდესი - კარმონა (46. მილიარი), ვიდალი, მედელი, ალექსის სანჩესი - უმბერტო სუასო (60. ვალდივია), ბოსეჟური.

**ვენესუელა:** ვეგა - რეი, ვისკარონდო, გრანადოსი, ჩაკონი (67. ბოადა) - არანგო, სეიხასი (65. ალეხანდრო მორენო), ლუსენა, რინკონი; დი ჯორჯო (75. რონალდ ვარგასი) - მალდონადო.

**გოლები:** 1:0 ვიდალი (11), 1:1 მალდონადო (34), 1:2 რეი (45), 2:2 მილიარი (53)

**მაყურებელი:** 45 000

**პერუ-ურუგვაი 1:0**

**პერუ:** ბარტონი - სამბრანო, ვილჩესი, ალბერტო როდრიგესი - რისკო, დე ლა ასა (46. პრადო), რობერტო პალასიოსი, ბალონი, სოლანო (78. რეინერ ტორესი) - რენგიფო, ჩავესი (58. დავილა).

**ურუგვაი:** ხუან კასტილიო - ფუჩილე, გოდინი, ლუგანო, პერეირა - ეგურენი (60. ალვარო ფერნანდესი), კრისტიან როდრიგესი, გარგანო, ხორხე მარტინესი (80. ხორხე როდრიგესი) - აბრეუ, ლუის სუარესი.

**გოლი:** 1:0 რენგიფო (86)

**გაძევება:** გოდინი (88. ურუგვაი)

**მაყურებელი:** 15 000

**კოლუმბია-ეკვადორი 2:0**

**კოლუმბია:** ხულიო - პერეა, კორდობა, იეპესი, არმერო - ფაბიან ვარგასი (44. ვიაფარა), გუარინი, სუნიგა (72. ჯექსონ მარტინესი), ჯოვანი მორენო - რადამელ გარსია (52. ჯოვანი ერნანდესი), ტეოფილო გუტიერესი.

**ეკვადორი:** სევალიოსი - აიოვი, ურტადო, ესპინოსა, რეასკო - სეგუნდო კასტილიო, ნობოა, მენდესი (88. მონტერო), ვალენსია - კრისტიან ბენიტესი, ტენორიო (22. პაბლო პალასიოსი).

**გოლები:** 1:0 ჯექსონ მარტინესი (81), 2:0 ტეოფილო გუტიერესი (90)

**გაძევება:** პაბლო პალასიოსი (48. ეკვადორი)

**მაყურებელი:** 35 000

**პარაგვაი-ბოლივია 1:0**

**პარაგვაი:** ვილიარი - ბონეტი, დარიო ვერონი, პაულო და სილვა, მორელი - ოსვალდო მარტინესი, სანტანა, რივეროსი, ედუარდო ლედესმა (70. ბარეტო) - ნელსონ ვალდესი (76. ედგარ ბენიტესი), კაბანიასი (89. ოსკარ კარდოსო).

**ბოლივია:** უგო სუარესი - ლუის პალასიოსი, ედემირ როდრიგესი, ლუის გუტიერესი - პარადა, ბეხარანო, ფლორესი (54. პაჩი), გომესი, რონალდ გარსია (84. ვაკა) - ესკობარი (76. კაბრერა), მარტინსი.

**გოლი:** 1:0 კაბანიასი (45-პენ)

**მაყურებელი:** 20 000

**არგენტინა-ბრაზილია 1:3**

**არგენტინა:** ანდუხარი - ძანეტი, დომინგესი, ოტამენდი, ჰაინცე - მაქსი როდრიგესი (46. აგუერო), მასკერანო, ხუან ვერონი, დატოლო - ტევესი (67. დიეგო მილიტო), მესი.

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, ლუიზაო, ანდრე სანტოსი - ელანო (67. დანი ალვეში), ჟილბერტო სილვა, ფელიპე მელო, კაკა - ლუიშ ფაბიანო (77. ადრიანო), რობინიო (67. რამირესი).

**გოლები:** 0:1 ლუიზაო (24), 0:2 ლუიშ ფაბიანო (31), 1:2 დატოლო (64), 1:3 ლუიშ ფაბიანო (67)

**მაყურებელი:** 42 000



პოპულარულ საიტ „გოლზე" საინტერესო დებატი მიმდინარეობს, რომლის მთავარი საკითხია: როგორ მოახერხა **დიეგო არმანდო მარადონამ** მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტი ნაკრების უიმედო გუნდად ქცევა. როგორ მოგწონთ? თუმცა სიმართლის მარცვალი ამაში დიდია - ფაქტია, როცა მსოფლიოს ჩემპიონატს კიდევ ერთი ფინალისტი, ბრაზილიის ნაკრები მოევლინა, არგენტინამ სერიოზულად გაირთულა სამხრეთ აფრიკაში მოხვედრა. როსარიოული „ელ კლასიკო" არგენტინული ფეხბურთის ისტორიაში შავი ასოებით ჩაიწერება, **დუნგამ** სახელოვანი ვიზავი პირწმინდად დაამარცხა - 3:1.

„სელესაო" პირველი სამხრეთამერიკული ნაკრებია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში გაინაღდა. *„თამაშის წინ ვუთხარი ბიჭებს, რომ მთავარი იყო არავის მიეღო წითელი ბარათი და ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებდით. ჩვენ გავუძელით არგენტინელთა შეტევებს საწყის წუთებში. მინდორი საუკეთესო მდგომარეობაში იყო, რაც ჩვენ სწრაფ თამაშში დაგვეხმარა. არგენტინა დიდებული ნაკრებია, მათ ჰყავთ ალბათ საუკეთესო ფეხბურთელი მსოფლიოში, ლეო მესი, მათ არ წაუგიათ შინ ამ შესარჩევ ციკლში, მაგრამ ჩვენი ტექნიკური უპირატესობა დიდი იყო, ბრაზილიის ნაკრები უტევდა პირველივე შესაძლებლობაში"*, - განაცხადა დუნგამ პრესკონფერენციაზე, თუმცა მას არ დაეთანხმა მარადონა: *„ოცი წუთი ბრაზილია ერთხელაც არ დამუქრებია ჩვენს კარს, პირველივე დარტყმა გოლად, აქციეს, მეორეც, ჩვენმა მეკარემ მხოლოდ მესამე დარტყმის მოგერიება შეძლო. სამწუხაროდ, ვერ შევძელით ჰაერში სათანადოდ ბრძოლა. ახლა უკვე პარაგვაისთან მატჩზე ვფიქრობ, რომლის მოგება ურთულესი იქნება. რაც უნდა იყოს ბრაზილიასთან წაგება ჩემთვის მძიმე დარტყმაა"*, - განაცხადა მარადონამ.

დიეგომ სწორედ ის შემადგენლობა დააყენა, რომელიც წინასწარ გამოაცხადა, შეტევაში **კარლოს ტევესი ლიონელ მესის** ოდნავ უკან მოქმედებდა. დაიწყო თამაში თუ არა „ალბისელესტე" ეგრევე ეკვეთა „სელესაოს", უკვე მე-40 წამზე მასპინძლებმა კუთხური მოიპოვეს, ერთი-ორ ეპიზოდში გაიბრწყინა მესიმაც, თუმცა მალე არგენტინელებმა შეტევების რიტმი დაკარგეს, მესის პირველი დარტყმულიც კარში საკმაოდ აცდა მიზანს. ბურთს არგენტინა აკონტროლებდა, მაგრამ მწვავედ ვერა, ბრაზილია კი საკუთარ ნახევარს იყო მიჯაჭვული. ამ დროს მასპინძელთა კარში ალოგიკური გოლი გავიდა: 24-ე წუთზე **ელანომ** მარჯვენა ფლანგიდან დაჰკიდა საჯარიმო, უმეთვალყურეოდ დარჩენილმა **ლუიზაომ** თავურით ანგარიში გახსნა. კიდევ ერთხელ გამოჩნდა არგენტინის დაცვის ხაზის პრობლემები. წუთის შემდეგ **ხუან სებასტიან ვერონის** საჯარიმოს ვინმე, რომ გამოხმაურებოდა კიდევ ერთი გოლის მომსწრენი გავხდებოდით. ბრაზილიელთა მეორე გოლი ასე გავიდა, ელანოს საჯარიმო, კედელმა აისხლიტა და ბურთი **ფერნანდო მელოს** მიუვიდა, რომლის დარტყმული **ანდუხარმა** კი მოიგერია, მაგრამ მან ველარაფერი მოუხერხა **ლუიშ ფაბიანოს** დამატებულს.

37-ე წუთზე არგენტინამ ბრწყინვალე მომენტი შექმნა, ტევესის პასით დასარტყმელ პოზიციაზე **მაქსი როდრიგესი** გავიდა, მაგრამ ბრაზილია **ჟულიო სეზარმა** გადაარჩინა, მალე ვერონი ერთი შეხებით ცდილობდა კარში დარტყმას, მაგრამ ნახევარმცველმა საკმაო მანძილით ააცილა ბურთი კარს. ტაიმის მიწურულს კინაღამ მესამე გოლი გაიტანეს სტუმრებმა, ელანოს საჯარიმოს თავურით ლუიშ ფაბიანო გამოეხმაურა, რომ არა ანდუხარის თავგანწირული ნახტომი გოლი გარდაუვალი იყო.

შესვენების შემდეგ მარადონამ **სერხიო აგუერო** ჩართო თამაშში მაქსი როდრიგესის ნაცვლად. არგენტინამ კვლავ კარგად დაიწყო, მაგრამ ბრაზილიელთა კონტრშეტევები უფრო სახიფათო ჩანდა. მასპინძლებს იმედი **ხესუს დატოლოს** სუპერგოლმა ჩაუსახა, დატოლომ ბურთი საჯარიმოს გარეთ მიიღო და უძლიერესი დარტყმით ბურთი „ცხრიანში" ჩასვა - 1:2. როსარიოში შეკრებილ გულშემატკივართა სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, **კაკამ** ბრწყინვალე პასით, ანდუხართან ერთი-ერთზე გაიყვანა ლუიშ ფაბიანო და ფორვარდმაც ორბურთიანი უპირატესობა აღადგინა - 1:3.

ბოლოს დიეგო მარადონამ მაინც დაიქადნა, რომ მისი გუნდი აუცილილებლად გავა მსოფლიოს ჩემპიონატზე: *„ძალიან ბევრს ვიმუშავებ, ღამეებს გავათენებ, არ გავტყდები და გუნდს მაინც გავიყვან მსოფლიოს ჩემპიონატზე"*.

ბრაზილიელთა გასვლით ერთობ გაიხარეს მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტში. კომიტეტის თავჯდომარე **დანი ჯორდაანმა** მისალოცი წერილიც კი აფრინა ბრაზილიაში: *„ჩვენ ვერც კი წარმოგვედგინა მსოფლიოს ჩემპიონატი ბრაზილიის გარეშე. ფეხბურთის მეფეებმა ერთხელ უკვე დააფასეს ჩვენი ქვეყანა, როცა კონფედერაციის თასი მოიგეს და გაისად კვლავ გაახარებენ აფრიკელ გულშემატკივრებს. იმედია, ბრაზილიის ნაკრები ბრწყინვალედ ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე და მეექვსე ტიტულსაც მოიპოვებს"*, - არ ვიცით რას მივაწეროთ ასეთი წერილი, შეიძლება ეს უბრალო ეტიკეტია და ყველა ფინალისტს დაახლოებით ასეთი სახის წერილებს უგზავნიან, ან ბატონი ჯორდაანი ბრაზილიის ნაკრების თავგადაკლული ფანია... უფრო კი ის გვგონია, საორგანიზაციო კომიტეტს მომავალი ფინანსური წარმატება ახარებს, რაც ბრაზილიის ნაკრების მონაწილეობით ლამის გარანტირებულია.

მართალია, პარაგვაის ნაკრებს ძალზე გაუჭირდა ბოლივიელთა დამარცხება, მაგრამ გუნდმა მიზანს მიაღწია - 3 ქულა მოიპოვა და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურსაც მიუახლოვდა. პარაგვაელებს ფინიშამდე სამი ტურით ადრე 27 ქულით მე-3 ადგილი უკავიათ. პირველი ტაიმის მიწურულს სტუმართა კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც **სალვადორ კაბანიასმა** გოლად აქცია.

მედელინში კოლუმბიის ნაკრებმა 2:0 აჯობა ეკვადორს, ახლა ორივე ეს გუნდი 2-2 ქულით ჩამორჩება არგენტინას, რომელსაც მე-4 ადგილი უკავია. პირველ ტაიმში თამაში დუნე და უინტერესო იყო, გამოვყოფთ ტაიმის ბოლოს „ალმერიას" კოლუმბიელი ლეგიონერის **ფაბიან ვარგასის** მძიმე ტრავმას, მან ფეხი მოიტეხა. კოლუმბიას მიზნის მიღწევა ეკვადორელმა **პაბლო პალასიოსმა** გაუიოლა, 49-ე წუთზე მან მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. ამის მიუხედავად გოლები მხოლოდ ბოლო წუთებზე გავიდა, **ჯოვანი მორენოს** პასებით **ჯექსონ მარტინესმა** და **ტეოფილო გუტიერესმა** იხეირეს. მარტინესმა ნაკრებში დებიუტი გოლით აღნიშნა.

კიდევ ერთი ანგარიში მეტად გაახარებდა გაჭირვებაში ჩავარდნილ დიეგო მარადონას - აუტსაიდერმა პერუმ შინ 1:0 დაამარცხა ურუგვაი, რომელსაც 18 ქულა დარჩა. მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე **ერნან რენგიფომ** კონტრშეტევაზე დაიჭირა ურუგვაელები. მატჩის ბოლოს სტუმრებს მცველი **დიეგო გოდინი** გაუძევეს. სანტიაგოში ჩილეს ნაკრებმა ვერ შეძლო ერთ-ერთი აუტსაიდერი ვენესუელის დამარცხება - 2:2.


გაწევ-გამოწევა პერუ-ურუგვაის მატჩში

| | თმ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაზილია | 15 | 8 | 6 | 1 | 28-7 | 30 |
| 2. ჩილე | 15 | 8 | 3 | 4 | 25-16 | 27 |
| 3. პარაგვაი | 15 | 8 | 3 | 4 | 21-13 | 27 |
| 4. არგენტინა | 15 | 6 | 4 | 5 | 20-18 | 22 |
| 5. კოლუმბია | 15 | 5 | 5 | 5 | 9-11 | 20 |
| 6. ეკვადორი | 15 | 5 | 5 | 5 | 18-22 | 20 |
| 7. ურუგვაი | 15 | 4 | 6 | 5 | 23-17 | 18 |
| 8. ვენესუელა | 15 | 5 | 3 | 7 | 19-26 | 18 |
| 9. ბოლივია | 15 | 3 | 3 | 9 | 19-31 | 12 |
| 10. პერუ | 15 | 2 | 4 | 9 | 8-29 | 10 |

XVI ტური

**9 სექტემბერი**

პარაგვაი-არგენტინა
ვენესუელა-პერუ
ბოლივია-ეკვადორი
ურუგვაი-კოლუმბია
ბრაზილია-ჩილე

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

### აფრიკა



# განა პირველი აფრიკულია

განის ნაკრები გახდა პირველი აფრიკული გუნდი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში თამაში გაინაღდა. D ჯგუფში განელებმა სუდანი 2:0 დაამარცხეს და ფინიშამდე ორი ტურით ადრე გაინაღდეს პირველი ადგილი. გოლები „ინტერის" ნახევარმცველმა **სულეი მუნტარიმ** და „ჩელსის" შუახაზელმა **მიკაელ ესიენმა** გაიტანეს. განა მე-8 გუნდია სამხრეთ აფრიკის (როგორც მასპინძელი), ჰოლანდიის, იაპონიის, ავსტრალიის, სამხრეთ კორეის, ჩრიდოლეთ კორეის და ბრაზილიის ნაკრებების შემდეგ, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში გაინაღდა.

კოტდიუვარის ნაკრებს ორ დარჩენილ მატჩში ქულაც ჰყოფნის იმავეს მისაღწევად. ბურკინა ფასოს განადგურებაში დუბლი შეასრულეს **კადერ კეიტამ** და **დიდიე დროგბამ**, ერთი გოლი კი **იაია ტურეს** ანგარიშზეა. გაბონის ნაკრებმა A ჯგუფში ლიდერობა დაკარგა, **ალენ ჟირესის** გუნდი შინ კამერუნთან დამარცხდა - 0:2. ჩვენთვის გაბონის ნაკრები ყველაზე საინტერესო გუნდია აფრიკაში. გარდა იმისა, რომ მას საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი წვრთნის, ამ გუნდში საქართველოს ჩემპიონატის ახლანდელი და ყოფილი მოთამაშეები ირიცხებიან. 90-90 წუთი ითამაშეს **დიდიე ოვონომ** და **ერნესტ აკუასაგამ**. **პოლ კესანის** და **ჯორჯ აკირემის** არ უთამაშიათ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**IV ტური**

**A ჯგუფი**

**გაბონი-კამერუნი 0:2**

გოლები: 0:1 ემანა (66), 0:2 ეტო'ო (68)

**ტოგო-მაროკო 1:1**

გოლები: 1:0 სალიფუ (4), 1:1 ტაარაბტი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კამერუნი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-1 | 7 |
| 2. გაბონი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 6 |
| 3. ტოგო | 4 | 1 | 2 | 1 | 2-4 | 5 |
| 4. მაროკო | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |

**B ჯგუფი**

**მოზამბიკი-კენია 1:0**

გოლები: ტიკო-ტიკო (67)

**ნიგერია-ტუნისი 2:2**

გოლები: 1:0 ოდემვინგიე (24), 1:1 ტაიდერი (25), 2:1 ენერამო (80), 2:2 დარაგი (89)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტუნისი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| 2. ნიგერია | 4 | 1 | 3 | 0 | 5-2 | 6 |
| 3. მოზამბიკი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 4 |
| 4. კენია | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |

**C ჯგუფი**

**რუანდა-ეგვიპტე 0:1**

გოლი: 0:1 ა. ჰასანი (73)

ალჟირი-ზამბია გვიან დასრულდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალჟირი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 2. ეგვიპტე | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 3. ზამბია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 4. რუანდა | 4 | 0 | 1 | 3 | 0-5 | 1 |

**D ჯგუფი**

**ბენინი-მალი 1:1**

გოლები: 0:1 სამასა (72), 1:1 აუდუ (87)

**განა-სუდანი 2:0**

გოლები: 1:0 მუნტარი (14), 2:0 ესიენი (53)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. განა | 4 | 4 | 0 | 0 | 7-0 | 12 |
| 2. მალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 3. ბენინი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 4. სუდანი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-6 | 1 |

**E ჯგუფი**

**მალავი-გვინეა 2:1**

გოლები: 0:1 კალაბანე (38), 1:1 მსოვოია (46), 2:1 მსოვოია (58)

**კოტ დ'ივუარი-ბურკინა ფასო 5:0**

გოლები: 1:0 ა. კეიტა (10), 2:0 დროგბა (50), 3:0 ი. ტურე (55), 4:0 დროგბა (65), 5:0 ა. კეიტა (70)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოტ დ'ივუარი | 4 | 4 | 0 | 0 | 15-3 | 12 |
| 2. ბურკინა ფასო | 4 | 2 | 0 | 2 | 7-10 | 6 |
| 3. გვინეა | 4 | 1 | 0 | 3 | 6-9 | 3 |
| 4. მალავი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-9 | 3 |

### კონკაკაფი

**VII ტური**

**აშშ-სალვადორი 2:1**

გოლები: 0:1 მარტინესი (31), 1:1 დემპსი (41), 2:1 ალტიდორი (45)

**ჰონდურასი-ტრინიდადი 4:1**

გოლები: 1:0 პავონი (20), 2:0 პავონი (28), 3:0 გევარა (61), 4:0 სუასო (82), 4:1 ბაპტისტი (85)

**კოსტა რიკა-მექსიკა 0:3**

გოლები: 0:1 დოს სანტოსი (45), 0:2 ფრანკო (62), 0:3 გუარდადო (71)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰონდურასი | 7 | 4 | 1 | 2 | 14-7 | 13 |
| 2. აშშ | 7 | 4 | 1 | 2 | 13-9 | 13 |
| 3. მექსიკა | 7 | 4 | 0 | 3 | 11-9 | 12 |
| 4. კოსტა რიკა | 7 | 4 | 0 | 3 | 9-12 | 12 |
| 5. სალვადორი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-10 | 5 |
| 6. ტრინიდადი | 7 | 1 | 2 | 4 | 8-15 | 5 |

### აზია

**პლეი ოფი. I მატჩი**

**ბაჰრეინი-ს. არაბეთი 0:0**

### ამხანაგური მატჩები

კორეა-ავსტრალია 3:1
ნამიბია-სვაზილენდი 1:1
ჰოლანდია-იაპონია 3:0
უზბეკეთი-ირანი 0:0
ინგლისი-სლოვენია 2:1
იორდანია-მალაიზია 0:0
გერმანია-ს. აფრიკა 2:0

### ევრო 2011

**UNDER 21**

ფარერები-მოლდოვა 1:1
ლატვია-რუსეთი 0:4
სერბეთი-სლოვაკეთი 1:2
ნორვეგია-ხორვატია 1:3
სლოვენია-საფრანგეთი 1:3
ალბანეთი-აზერბაიჯანი 1:0
ავსტრია-შოტლანდია 1:0

### ევრო 2010

**UNDER 17**

შვეიცარია-სან მარინო 10:0
ჩეხეთი-ბელარუსი 1:0

### ინგლისი

**I ლიგა**

VI ტური

ოლდჰემი-ჰარტლპული 0:3
საუთენდი-ლეიტონი 3:0
ჩარლტონი-ბრენტფორდი 2:0
ბრაიტონი-უიკომბი 1:0
როვერსი-მილუოლი 2:0
კარლაილი-ტრანმერი 3:0
ჯილინგემი-ექსეტერი 3:0
ლიდსი-სტოკპორტი 2:0
მილტონი-ჰადერსფილდი 2:3
ნორვიჩი-უოლსოლი 0:0
საუთჰემპტონი-კოლჩესტერი 0:0
იეოვილი-სუინდონი 0:1

**II ლიგა**

VI ტური

მორეკამბი-როჩდეილი 3:3
ნორთჰემპტონი-ბარნეტი 1:3
როტერჰემი-ჩესტერფილდი 3:1
ალდერშოტი-ჰერეფორდი 2:2
ბერი-აკრინგტონი 0:2
ჩელტენჰემი-დაგენჰემი 1:1
ქრიუ-მაკლსფილდი 2:1
ლინკოლნი-დარლინგტონი 3:0
ნოტსი-ბარტონი 1:1
პორტ ვეილი-გრიმსბი 4:0
შრუსბერი-ბრედფორდი 1:2
ტორკი-ბორნმუთი 1:2

**კონფერენსი**

VIII ტური

ბაროუ-რაშდენი 1:6
კემბრიჯი-ფორესტ გრინი 7:0
ჩესტერი-ჰისტონი 2:0
ებსფლიტი-ოქსფორდი 0:2
გეიტსჰედი-ჰეისი 0:0 შეწყდა
გრეისი-მენსფილდი 1:1
კეტერინგი-ალტრინჩემი 2:0
კიდერმინსტერი-ისტბურნი 0:2
სალისბერი-ლუტონი 1:1
ტამუორტი-უიმბლდონი 2:2
იორკი-ქროული 2:0

### იტალია

**სერია B**

III ტური

ასკოლი-მანტოვა 2:1
ალბინოლეფე-ანკონა 1:3
ჩეზენა-ჩიტადელა 1:0
ემპოლი-კროტონე 3:1
გროსეტო-გალიპოლი 2:2
ლეჩე-ფროზინონე 1:3
სალერნიტანა-მოდენა 1:2
ბრეშია-ტორინო 1:0

**სერია C1/A**

III ტური

ალესანდრია-პერგოკრემა 3:1
კომო-ნოვარა 0:2
ფილინე-ვიარეჯო 1:2
ფოლინო-პაგანეზე 3:1
ლეკო-ლუმეცანე 1:2
მონცა-ბენევენტო 1:1
პროპატრია-პერუჯა 2:0
სორენტო-კრემონეზე 2:1
ვარეზე-არეცო 1:0

**სერია C1/B**

III ტური

ჯულიანოვა-კოზენცა 1:2
პეშინა-პორტოგრუარო 0:1
პოტენცა-რავენა 1:1
რეჯინა-რეალ მარჩიანეზე 3:1
სპალ-ტერნანა 0:1
ტარანტო-რიმინი 1:0
ვერონა-კავეზე 1:1
ლანჩანო-პესკარა 2:2
ანდრია-ფოჯა დღეს

### ფინეთი

**II დივიზიონი**

XX ტური

პამეენლინა-ვიიკინგიტი 2:4
იივო-კპვ 0:1
კემი-კოოტევე 0:2
ოულუ-კლუბი04 4:0
ატლანტისი-კიისტო 3:0
პკ35-ტპ47 1:3

### ესპანეთი

**II დივიზიონი**

II ტური

კარტახენა-ვალეკანო 2:0
კორდობა-ვილიარეალი B 3:1
ხიმნასტიკი-ხირონა 1:1
უესკა-ლას პალმასი 1:1
რეკრეატივო-კასტელონი 2:0
ლევანტე-კადისი 1:1
ნუმანსია-ელჩე 4:1
ერკულესი-ბეტისი 3:2
სოსიედადი-მურსია 0:0
სალამანკა-სელტა 1:1
ალბასეტე-რეალ უნიონი 1:0

### გერმანია

**III ბუნდესლიგა**

VIII ტური

ერფურტი-ვუპერტალი 1:0
ბრაუნშვაიგი-ინგოლშტადტი 2:1
ბურგჰაუზენი-უნტერჰახინგი 3:0
აუე-შტუტგარტი A 1:0
კილი-კარლ ცაისი 0:1
ოსნაბრიუკი-ჰაიდენჰაიმი 3:2
ზანდჰაუზენი-რეგენსბურგი 2:1
ბაიერნი A-ვეენი 0:0
დორტმუნდი A-დინამო (დ) 1:0

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

VI ტური

თურქიემსპორი-ჰანზა II 5:1
ობერნოილანდი-ჰალეშერი 1:0
ბენის ბორუსია-ჰანოვერი II 0:2
ჰამბურგი A-ალაუენი 1:1
მაგდებურგი-ვილჰელმსჰავენი 5:2
მოისელვიტცი-ბაბელსბერგი 0:3
ვერდერ II-ლიუბეკი 1:0
ხემნიცი-სტ. პაული II დღეს

**რეგიონალლიგა (სამ)**

VI ტური

ბაიერნი (ა)-აინტრახტი II 1:2
ბამბერგი-ფრაიბურგი II 0:3
ნიურნბერგი II-ზონენჰოფი 0:0
როიტლინგენი-კარლსრუე II 0:1
ვაიდენი-მიუნხენი II 0:4
შტ. კიკერსი-ულმი 0:0
აალენი-ფიურტი II 3:1
ვეენი II-დარმშტადტი 1:0
კასელი-პფულენდორფი 5:2

**რეგიონალლიგა (დას)**

VI ტური

ფორტუნა II-მუნსტერი 1:2
კიოლნი II-ტრირი 3:0
კაიზერი II-ბოხუმი II 0:0
მაინცი II-ლევერკუზენი II 2:0
ზაარბრიუკენი-მიონხენგლად II 2:0
შალკე II-მანჰაიმი 0:1
ფერლი-სპორტფრონდი 0:0
ვორმატია-ელვერსბერგი 1:1
ბონერი-ესენი 1:1

### ბელგია

**II დივიზიონი**

IV ტური

ბერგენი-ანტვერპენი 0:0
ბევერენი-ტუბიკე 1:0
ბრიუსელი-დენდერი 4:1
ლიევი-ოსტენდე 1:1
ლიერსი-სტანდარდი (3) 4:2
ტურნე-ვაასლანდი 3:3
ტურნჰაუტი-ჰეველე 2:1
რონსე-ეუპენი 0:3
ტინენი-ბორინაჟი 1:1

### პორტუგალია

**II დივიზიონი**

გადადებული მატჩი

კოვილია-ეშტორილი 3:1

### შოტლანდია

**Challenge Cup**

ანანი-ელჯინი 4:2
პარტიკი-ინვერნესი 1:1 პენ. 3:4
როსი-ქუინი 2:0
სტირლინგი-დანდი 1:2

### დანია

**II დივიზიონი**

V ტური

ჰორსენსი-ფრედერისია 2:2
ბრაბრანდი-ტისტედი 1:2
ვესტსიელანდი-ჰვიდოვრე 2:4
სკივე-აკადემისკი 3:4
კოლდინგი-როსკილდე 0:5
ვეილე-ნესტვედი 0:2
ვიბორგი-ლუნგბიუ 1:0
ფინი-ფრემი 3:1

### ნორვეგია

**II დივიზიონი**

XXII ტური

ლოვ ჰამი-ბრინი 2:0
მიონდალენი-ბრიომსდალენი 3:0
მოსი-ჰამ კამი 2:0
ნილი-საიოდი 4:1
სტავანგერი-ნოტოდენი 1:1
ალტა-ჰაუგესუნდი 1:0
სოგნდალი-სარპსბორგი 0:1

### შვედეთი

**II დივიზიონი**

XXIII ტური

მიალბიუ-ლიუნგსკილე 2:1
ასირისკა-ვასალუნდსი 2:1
ფალკენბერგი-ტროლჰატანი 7:0
ანგელჰოლმი-კვიდინგი დღეს
იონჩოპინგი-სირიანსკა დღეს
ლანდსკრონა-ვასბი დღეს
ნორჩოპინგი-ატვიდაბერგი დღეს

### თურქეთი

**II დივიზიონი**

III ტური

ბოლუ-კოჯაელი 2:2
სამსუნი-მერსინი 1:3
ალთაი-ქარაბუქი 1:1
ბუკა-პაჩეთეფე 2:1
დარდანელი-კონია 1:2
ერჩიესი-ქართალი 1:1
ბბ გაზიანთეფი-ორდუ 0:0
გირესუნი-ქარსიაკა 0:1
ადანა-რიზე დღეს

### უელსი

IV ტური

პრესტატინი-უელშპული 2:1
ბალა თაუნი-ქერსოუსი 2:0
ბანგორი-ლანელი 2:3
ქონეასი-რილი 0:2
ნიუთაუნი-საუნი 4:2
პორტ ტელბოტი-ტნს 2:0
პორტმედოგი-ნითი 1:4
აირბასი-ჰევერფორდვესტი 3:1
კარმარტენი-ებერისთვითი 0:0

### ჩეხეთი

**II დივიზიონი**

VI ტური

ვიტკოვიცე-ჩასლავი 1:2
სოკოლოვი-მოსტი 1:1
სპარტა II-ქლინი 1:2
ვიქტორია-დუკლა 1:2
ულაშიმი-პრადეცი 4:2
კარვინა-ალუჩინი 2:0
ოპავა-ტრშინეცი 0:1
უსტი-იჰლავა 1:0

### ჩრ. ირლანდია

VI ტური

ინსტიტუტი-ბალიმენა 0:1
გლენავონი-კოლრეინი 3:2
პორტდაუნი-დუნგანონი 1:4
ნიური-კლიფტონვილი 1:2
გლენტორანი-კრუზეიდერსი გადაიდო
ლისბურნი-ლინფილდი გადაიდო

### ბრაზილია

XXIII ტური

გრემიო-ვიტორია 1:1
პალმეირასი-ბარუერი 2:1
სპორტ რესიფე-ბოტაფოგო 2:1
ატ. პარანაენსე-ფლამენგო 0:0
კრუზეირო-სან პაულუ 1:2
გოიაში-კურიტიბა 2:2
ავაი-ინტერნასიონალი გვ. დასრულდა
ფლუმინენსე-ნაუტიკო გვ. დასრულდა
ს. ანდრე-ატ. მინეირო გვ. დასრულდა

### ჩილე

რეინჯერსი-უნ. კონსეპსიონი 1:1
ევერტონი-ო'ჰიგინსი 1:1
უნ. ესპანიოლა-აუდაქსი გვ. დასრულდა

### მექსიკა

VII ტური

ტეკოსი-ს. ლაგუნა 2:4
ატლასი-სან ლუისი 0:0
კერეტარო-მონტერეი 1:3
კრუს ასული-ინდიოსი 2:0
ტიგრესი-ამერიკა 1:1
პაჩუკა-ხაგუარესი 4:0
ტოლუკა-მორელია 1:0
პუებლა-გვადალახარა გვ. დასრულდა
ატლანტე-პუმასი გვ. დასრულდა

### აშშ

ნიუ ინგლენდი-კანზას სიტი 2:4
დალასი-დი სი იუნაიტედი 2:2
კოლორადო-ტორონტო 1:0

### ევროპის ჩემპიონატი

**ქალები**

1/2 ფინალი

ინგლისი-ჰოლანდია 2:1 დ.დ.

### პორტუგალია

**ლიგის თასი**

ნაველი-სანტა კლარა 1:1
მარიტიმუ-ტროფენსე 1:1

### იაპონიის თასი

ტოკიო-შიმიძუ 1:0
იოკოჰამა-კავასაკი 1:1

### შვედეთის თასი

აიკ-ჰაკენი 1:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩები

# პენალტი კი არ იყო...

**ინგლისი–სლოვენია 2:1**

**ინგლისი:** გრინი - ჯონსონი, ტერი, აპსონი (64. ლესკოტი), ე. კოული - ბერი, ლემპარდი (46. ქერიკი), ჯერარდი (46. მილნერი), რაიტ-ფილიპსი (46. ლენონი) - რუნი (80. კ. კოული), ჰესკი (46. დეფო).

**სლოვენია:** ჰანდაროვიჩი - ჩესარი (34. მავრიჩი), ზულერი, იოკიჩი, ბრეშკო - კორენი, რადოსავლევიჩი (77. კრჰინი), კირმი (78. კირმი), ბირსა (65. კომაჩი) - ნოვაკოვიჩი (55. ლუბიანკიჩი), დედიჩი.

**გოლები:** 1:0 ლემპარდი (31-პენ), 2:0 დეფო (63), 2:1 ლუბიანკიჩი (85)

**მაყურებელი:** 67 232

ინგლისელთა ამხანაგური შეხვედრის მთავარი გმირი **ჯერმაინ დეფო** გახლდათ. სლოვენიასთან შეხვედრით ამ ფორვარდმა **ფაბიო კაპელოს** ერთხელაც და თან ძალიან ომახიანად განუცხადა, რომ ის მსოფლიოს ჩემპიონატზე აუცილებლად გუნდში უნდა იყოს და თან ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის სტატუსით.

ამ ამხანაგურ შეხვედრაში გოლები ასეთი თანმიმდევრობით გავიდა: თავიდან **ფრენკ ლემპარდმა** გაიტანა პენალტი, რომელიც, თავად ინგლისური პრესის აზრით დასანიშნი არ იყო; შემდეგ, მოედანზე მოგვიანებით შესულმა დეფომ დასცხო სლოვენიელთა კარს, ბოლოს კი **ზლატან ლუბიანკიჩმა** უპასუხა მრისხანე მეტოქეს ერთით და ფაპელოს რისხვაც გამოიწვია - იტალიელი მწვრთნელი თავისი ფეხბურთელების მოდუნებამ და უპასუხისმგებლობამ გააცხარა. ცნობისთვის: კაპელომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამდებობაზე 2012 წლამდე დარჩება.

აღსანიშნავია, რომ ინგლისელებს საგოლე მომენტები არ აკლდათ. მაგალითად, **ჯონ ტერიმ** და **უეინ რუნიმ**, რომელმაც, სხვათა შორის, ამ შეხვედრაში ბევრი ხელსაყრელი მომენტით ვერ ისარგებლა, თითოჯერ ძელს გაარტყეს ბურთი.

რაც შეეხება პენალტის ეპიზოდს: სლოვენიელი მცველი, **სეზარი**, უეინ რუნის მაისურს ხელით ზედაპირულად ეხებოდა. იმ წამს, იგივე გააკეთა რუნიმაც. ჰოდა, ფეხბურთელები ასე, ერთმანეთის დაჭერაში რომ იყვნენ გართულნი რუნი წაიქცა - იმდენად მსაჯის, **იონას ერიკსონის** მოტყუებას არ ცდილობდა, რამდენადაც სეზარის უკეთ გამოჭერა უნდოდა და ეს არ გამოუვიდა. და, სწორედ აქ გაისმა არბიტრის სასტვენის ხმა. ერიქსონმა დანიშნა პენალტი, რომელსაც ინგლისელები აშკარად არ ითხოვდნენ, თუმცა, უხერხულობა ლემპარდმა თერთმეტმეტრიანის წარბშეუხრელი დარტყმით გაფანტა.

მატჩის შემდეგ კი, როგორც მოგახსენეთ, ფაბიო კაპელო საკმაოდ უკმაყოფილო გახლდათ: *„ჩვენ ვითამაშეთ ნელა, მხოლოდ გრძელი პასებით და ისე, მე რომ არ მომწონს. გამაღიზიანა თამაშის მიწურულს გოლის გაშვებამაც. ბოლო ოთხი-ხუთი წუთის განმავლობაში ჩემი გუნდის კონცენტრაცია არაფრად ვარგოდა. მინდა ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები მატჩის ნებისმიერ წამს სრული ყურადღებით ატარებდნენ“.*

ხოლო რაც შეეხება დეფოს, იტალიელი მწვრთნელი დილემის წინაშე აღმოჩნდა: *„დეფომ კარგად ითამაშა, მაგრამ კარგი იყო ჰესკიც... მართალი გითხრათ, ჯერ კიდევ ექსპერიმენტებს ვატარებ. სხვადასხვანაირად თამაშს ვცდილობთ. ჯერმაინს დავაკვირდი, რომ მეორე ტაიმში ეხერხება გოლების გატანა. ერთი სიტყვით ვარიანტები ბლომად მაქვს და ხორვატიასთან თამაშამდე დაფიქრება დამჭირდება“.*

**ილია ბაბუნაშვილი**


დეფოს გააქვს მეორე გოლი სლოვენიელთა კარში

# სნეიდერმა ძვლის მტვრევის ხმა გაიგო...


გამწარებული სნეიდერი

**ჰოლანდია–იაპონია 3:0**

**ჰოლანდია:** ვორმი (46. ველტუიზენი) - ვან დერ ვილი, ლოოვენსი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი - და სილვა (64. დე ზეეუვი), დე იონგი, რობენი (46. ელია) - სნეიდერი (78. ვან დერ ვაარტი) - კუიტი (63. ჰუნტელაარი), ვან პერსი.

**იაპონია:** კავაშიმა - ნაკაზავა, ტანაკა, უჩიდა, ნაგამოტო - ენდო, ჰასებე, კ. ნაკამურა (70. კოროკი) - შ. ნაკამურა - ტამადა (47. ჰონდა), ოკაზაკი.

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (69), 2:0 სნეიდერი (73), 3:0 ჰუნტელაარი (87)

**მაყურებელი:** 40 000

როგორც მოსალოდნელი იყო, ჰოლანდიამ იაპონიის ნაკრები საკმაოდ იოლად დაამარცხა, მაგრამ გამარჯვებით გამოწვეული სიხარული **ვესლი სნეიდერის** თავს გადამხდარმა ამბავმა დაჩრდილა, რის გამოც შაბათს საღამოს მთელი ჰოლანდია ძალიან ნერვიულობდა. საბედნიეროდ, კვირას გაირკვა, რომ სნეიდერს სერიოზული არაფერი სჭირდა.

პირველ ტაიმში იაპონელებმა ჰოლანდიელებს გაუძლეს, აი, მეორე ნახევარში კი მასპინძლები ველარ შეაჩერეს და სამი უპასუხო გოლი მიიღეს. 69-ე წუთზე ნარინჯისფრები **რობინ ვან პერსიმ** დააწინაურა, 4 წუთში სნეიდერმა ორამდე გაზარდა სხვაობა, 87-ე წუთზე კი საბოლოო ანგარიში **კლაას იან ჰუნტელაარმა** დააფიქსირა.

რაც შეეხება მატჩის ყველაზე დრამატულ მომენტს: 78-ე წუთზე იაპონელი სნეიდერს ეუხეშა. „ინტერის“ ფლეიმეიკერი მოწყვეტით დაეცა და აშკარად შეეტყო, რომ საშინელი ტკივილი ჰქონდა. მედპერსონალმა სნეიდერი მაშინვე მოედანს მიღმა გაიყვანა და სწრაფადვე გადაწყდა, რომ ვესლი სასწრაფოდ კლინიკაში უნდა გადაეყვანათ. ჰოლანდიელთა მთავარი მწვრთნელი **ბერტ ვან მარვიიკი** ამბობს, როცა მოედნიდან გამოიყვანეს, ვესლიმ მითხრა, ძვლის თუ ძვლების გატეხვის ხმა მომესმაო. ჰოლანდიელ ნახევარმცველს იმდენად დიდი ტკივილები ჰქონდა, რომ ცრემლები მოსდიოდა. თუმცა კვირას გაირკვა, რომ ვესლის სერიოზული არაფერი სჭირს. ოთხშაბათს, ჰოლანდიის ნაკრებში მისი თამაში (შოტლანდიასთან) უბრალოდ საეჭვოა და მეტი არაფერი.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰოლანდიამ მეორე ტაიმშილა გაილვიძა. შესვენებაზე ვან მარვიიკმა მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე მოთამაშე **არიენ რობენი** ახალგაზრდა **ელერო ელიათი** შეცვალა, რომელმაც მეორე ტაიმი შესანიშნავად ჩაატარა.

**გოტფრიდ ლენცი**

# იოზილი, იოგის ახალი იარაღი

**გერმანია–სამხ. აფრიკა 2:0**

**გერმანია:** რ. ადლერი - ლამი, ა. ფრიდრიხი, ტასკი (46. ვესტერმანი), მ. შეფერი - ბალაკი (80. გენტნერი), როლფესი (73. ხედირა) - შვაინშტაიგერი (84. ტროხოვსკი), იოზილი, მარინი (46. პოდოლსკი) - გომესი (46. კლოზე).

**სამხრეთ აფრიკა:** ფერნანდესი - გაქსა, მოკოენა, გულდი, მასილელა - ფრანსმანი (60. ჩაბალალა) - მლონგო, პიენაარი, დიკგაჩოი - მპელა (84. ვან ჰეერდენი), პარკერი.

**გოლები:** 1:0 გომესი (35), 2:0 იოზილი (77)

**მაყურებელი:** 29 567

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** სამხრეთ აფრიკასთან ექსპერიმენტალური ტაქტიკით ითამაშა, რომელმაც ნაწილობრივ გაამართლა, ნაწილობრივ კი არა. 4-2-3-1 - ასეთი გახლდათ იოგის სქემა და ის მხოლოდ ერთი ფორვარდით (**მარიო გომესი**) თამაშობდა, მის უკან კი **ბასტიან შვაინშტაიგერი**, მესუთ **იოზილი** და **მარკო მარინი** „დირიჟორობდნენ“. ის ფაქტი, რომ ლიოვმა **მირო კლოზე** სათადარიგოთა სკამზე დასვა, სავსებით გასაგებია. ამ ფორვარდს ხომ კრიზისი აქვს.

ბუნდესგუნდმა ისევ ვერ ითამაშა ისეთი ფეხბურთი, რომ გულშემატკივრები პირველიდან ბოლო წუთამდე ალეფრთოვანებინა და ექსპერტმა **ოლივერ კანმაც** შესვენებისას თქვა, გავიტანეთ თუ არა გოლი, ჩვენი გუნდის თამაში ძალიან მოსაწყენი გახდაო. პირველი გოლი კი ალემანებმა 35-ე წუთზე გაიტანეს (გომესი). სამაგიეროდ, კანი და საფეხბურთო გერმანია ერთმა ფეხბურთელმა ალაფრთოვანა: იოზილს ვგულისხმობთ, რომელიც ფლეიმეიკერის პოზიციაზე თამაშობდა და რომელმაც ლამის იდეალური მატჩი ჩაატარა. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რა კარგია, რომ მესუთმა თურქეთის ნაკრებში თამაშს გერმანიის ნაკრებში თამაში ამჯობინაო.

იოზილს აქამდე ბუნდესგუნდის მაისურით მხოლოდ 20 წუთი ჰქონდა ნათამაშები, გუშინ კი თავიდან ბოლომდე ითამაშა და თან იმდენად კარგად, რომ თუ ასე გააგრძელებს, ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული ექნება. მესუთი იმდენად კარგად გამოიყურებოდა, რომ მთელი საფეხბურთო გერმანია ეიფორიაშია ჩავარდნილი და მას გერმანიის ახალ იმედს უწოდებენ. თანაც, ბრემენელმა მეორე გოლი თვითონ გაიტანა. თუმცა ალემანებს ალბათ არ უნდა დაავიწყდეთ ის, რომ სამხრეთ აფრიკის ნაკრები ჯეროვან საზომად ვერ გამოდგება. იოზილი სხვა, უფრო მნიშვნელოვან მატჩებში, უფრო სერიოზული მეტოქეების წინააღმდეგ უნდა გამოიცადოს. ფაქტია, რომ იოგი იოზილს რუსეთთანაც ათამაშებს. მეტიც, ასეთ ფორმაში მყოფი მესუთი ლიოვისთვის რუსეთთან მთავარი იარაღი უნდა იყოს.

სამაგიეროდ, ლიოვს დაცვაში აქვს პრობლემა. პირველ ტაიმში მან **არნე ფრიდრიხისა** და **სერდარ ტასკის** ტანდემი ათამაშა, მეორე ტაიმში კი **ვესტერმანი** შეიყვანა. ფაქტი ისაა, რომ **პერ მერტეზაკერს** ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს და ლიოვი ახლა პერის მეწყვილეს ეძებს.

**გოტფრიდ ლენცი**


იოზილმა ლიოვს გაუმართლა

წყალბურთი



საქართველოს ნაკრები ლუგანოში გამგზავრებამდე

# დებიუტანტების სენსაციური სტარტი

შვეიცარიულ ლუგანოში 5 სექტემბერს დაიწყო და 13 სექტემბრამდე გაგრძელდება წყალბურთელ ვაჟთა ევროპის B ჩემპიონატი, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობს, მათ შორის — საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ისელიძე**), რომელმაც ეს უფლება წლეულს მალტის საკვალიფიკაციო ტურნირზე მეორე ადგილის დაკავებით მოიპოვა.

A ჯგუფში თამაშობენ: **საფრანგეთი, ბელარუსი, სლოვენია, უკრაინა, თურქეთი** და **დანია**, ხოლო B ჯგუფში ერთმანეთს უპირისპირდებიან **დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია, საქართველო, შვეიცარია, მალტა** და **პოლონეთი.** ამ ჯგუფში სპეციალისტები უდავო ფავორიტებად ჰოლანდიელებსა და დიდბრიტანელებს მიიჩნევდნენ. მას შემდეგ, რაც ლონდონმა 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მიიღო, კუნძულელებმა წყალბურთის გაძლიერებაზე დაიწყეს ზრუნვა, ნატურალიზებული სპორტსმენებით (კუბა, აშშ) გააძლიერეს ეროვნული გუნდი, ამიტომ ლუგანოში შეჯიბრების პირველ დღეს დაძაბულ ორთაბრძოლაში



რევაზ ჩომახიძე

ჰოლანდიელებს რომ სძლიეს (8:7), კანონზომიერად ჩაითვალა. წყალბურთის სპეციალისტებსა და ქომაგებს სენსაცია თურმე მეორე დღეს ელოდათ: გუშინ ჩემპიონატის დებიუტანტმა საქართველოს ნაკრებმა ინგლისის გუნდი დაჯაბნა და მათი უძლეველობის მითიც გააქარწყლა. იმ ქვეყნის წარმომადგენლებისგან, რომლებსაც ზამთრობით სავარჯიშოდ სტანდარტული აუზიც კი არა აქვთ, ამგვარ წარმატებას არავინ ელოდა...

ტურნირის სტარტზე საქართველოს ნაკრებმა პოლონეთის ეროვნული გუნდი, შეიძლება ითქვას, გაანადგურა — 16:3 (5:0, 4:0, 2:1, 5:2), 4-4 ბურთი მეტოქის კარში სიდნეისა და ათენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა, ორგზის ევროპის საუკეთესო წყალბურთელმა **რევაზ ჩომახიძემ** (ჩეხოვის „შტურმი-2002“) და **ზურაბ რურუამ** (თბილისის „ლიგამუსი“) გაიტანეს. ორ-ორი გოლი მიითვალეს **კონსტანტინე გეგელაშვილმა, გურამ კოტარიამ** (ორივე — „ლიგამუსი“) და **მიხეილ ბალათურიამ** (მოსკოვის „დინამო“), თითო — **გალაქტიონ ლაითაძემ** (საუდის არაბეთი) და **ბექა ქენქაძემ** („ლიგამუსი“).

ბრიტანელებთან შეხვედრის პირველი პერიოდი ჩვენებმა 4:3 მოიგეს. მეორე პერიოდი უფრო დაძაბული გამოდგა და ფრედ (2:2) დამთავრდა, აი, მესამეში ქართველმა წყალბურთელებმა 2 უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს. ბოლო რაუნდი ინგლისელთა კარნახით წარიმართა (4:2), მაგრამ ბრიტანელებმა გადამწყვეტ უპირატესობას მაინც ვერ მიაღწიეს და მატჩი ერთი ბურთის სხვაობით (9:10) დათმეს. ქართველთაგან თავი გამოიჩინეს: ჩომახიძემ (2), რურუამ (2), ლაითაძემ (2), ქენქაძემ (2), ბალათურიამ (1) და **ტატო ნიკოლეიშვილმა** (1, „ლიგამუსი“).

— ჩემპიონატში ამგვარ სტარტზე ვერც ვიოცნებებდით, — გვითხრა საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა **ალექსანდრე ბითაძემ**, რომელსაც გუშინ ლუგანოში შევეხმიანეთ. — პოლონელებთან წარმატების მიღწევაზე კი ვფიქრობდით, მას შემდეგ, რაც ჩვენს ნაკრებს სახელოვანი წყალბურთელი რევაზ ჩომახიძე შემოემატა, მაგრამ ასეთი დიდი ანგარიშით თუ დავამარცხებდით, არ გვეგონა. რეზო უწინდებურად შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია და მეტოქეთა მცველებს მისი შეჩერება უჭირთ, ამიტომაც მასთან ორთაბრძოლისას ხშირად ჯარიმდებიან. ჩომახიძემ ახალგაზრდა თანაგუნდელებიც აიყოლია და ეს ორი მატჩია, ბიჭებს ვერ ვცნობ — სახელოვანი წყალბურთელის გვერდით მოწინააღმდეგის შიში არა აქვთ. მათზე აშკარად დადებითად იმოქმედა საფრანგეთში მასპინძლებთან ერთობლივმა შეკრებამაც.

ამ ორი გამარჯვების შემდეგ, ვფიქრობ, ჯგუფის საუკეთესო სამეულში მოხვედრა არ გაგვიჭირდება. მეტოქეებსაც უფრო კარგად გავიცნობთ, მათ შორის — A ჯგუფიდანაც. ჩვენი წყალბურთელებიც მეტ გამოცდილებას შეიძენენ და ხომ გაგიგონიათ, მადა ჭამაში მოდისო. შესაძლოა, B ჩემპიონატის მედლებზე ჩვენც ვიფიქროთ.

— მალტის საკვალიფიკაციო ტურნირზე არბიტრებმა მასპინძელთან წაგვაგებინეს. აქ, ლუგანოში, ტურნირის მესამე წრეში სწორედ მალტელებს ვხვდებით და აუცილებლად რევანშს ავიღებთ, — ეს სიტყვები გუნდის კაპიტან ზურაბ რურუას ეკუთვნის.

ახლა კი, შვეიცარიაში მიმდინარე ევროპის B ჩემპიონატის პირველი ორი დღის შედეგებს გაგაცნობთ:

**A ჯგუფი: I ტური. ბელარუსი-დანია 17:3, უკრაინა-სლოვენია 10:12, თურქეთი-საფრანგეთი 5:10.**

**II ტური: დანია-უკრაინა 8:10, თურქეთი-ბელარუსი 18:8, საფრანგეთი-სლოვენია 13:12.**

ორი ტურის შემდეგ 6 ქულით ერთპიროვნულად საფრანგეთი ლიდერობს. 3-3 ქულა აქვთ თურქეთს, ბელარუსს, სლოვენიას და უკრაინას. დანია უქულოდ ბოლო ადგილზეა.

**B ჯგუფი: I ტური: პოლონეთი-საქართველო 3:16, ჰოლანდია-დიდი ბრიტანეთი 7:8, შვეიცარია-მალტა 4:6; II ტური: დიდი ბრიტანეთი-საქართველო 9:10, მალტა-პოლონეთი 8:7, ჰოლანდია-შვეიცარია 22:5.**

ამ ჯგუფში საქართველომ და მალტამ 6-6 ქულა მოაგროვეს, ჰოლანდიამ და დიდმა ბრიტანეთმა 3-3, ხოლო პოლონეთმა და შვეიცარიამ ორივე შეხვედრა წააგო.

დღეს მესამე ტურში ითამაშებენ: **A ჯგუფი** — სლოვენია-დანია, უკრაინა-თურქეთი, ბელარუსი-საფრანგეთი; **B ჯგუფი.** საქართველო-მალტა, პოლონეთი-ჰოლანდია, შვეიცარია-დიდი ბრიტანეთი

ჭადრაკი

# პოლონეთმა გაგვისწრო, ჩინეთი წამოგვეწია

ნინბოში (ჩინეთი) გრძელდება მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი 10 გუნდის მონაწილეობით. მე-5 ტურამდე კარგი ტემპით მიიწევდა წინ საქართველოს ნაკრები, რომელმაც IV ტურში ინდოეთს სძლია - 3:1 და, ისარგებლა რა პოლონეთის უკრაინასთან დაზავებით, ქულებით წამოეწია ლიდერს. სამწუხაროდ, ჩვენმა დიდოსტატებმა პოზიციის განმტკიცება ვერ შეძლეს — გუშინ (**მაია ჩიბურდანიძეს** არ უთამაშია) სომხეთის ნაკრებთან, რომელიც განვლილ ტურებში ამერიკელებთან და ჩინელებთან (1) ერთნაირი ანგარიშით - 0,5:3,5 დამარცხდა, 1,5:2.5 წააგეს და ინდოელთა მძლეველ პოლონელებს ორი ქულით გასწრების საშუალება მისცეს.

ჩემპიონობის ბედი, ცხადია, ჯერ კიდევ გაურკვეველია, რადგან ასპარეზობის დამთავრებამდე 4 ტური რჩება, რომლებშიც მედლებისთვის მებრძოლნი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

გაცნობებთ მეოთხე და მეხუთე ტურის შედეგებს:

IV ტური: აშშ-რუსეთი 1:3 (**ირინა კრუშიტატიანა კოსინცევა** 0,5:0,5, **ანა ზატონსკიხი-ნადეჟდა კოსინცევა** 0,5:0,5, **რუსუდან გოლეთიანი-მარინა რომანკო** 0:1, **თათევ აბრაჰამიანი-ვალენტინა გუნინა** 0:1).

ჩინეთი (1)-სომხეთი 3,5:0,5 (**ჰოუ იფანი-ელინა დანიელიანი** 1:0, **ჟაო სიუ-ლილით მკრტიჩიანი** 0,5:0,5, **იუ ვენიუნი-ლილით გალოიანი** 1:0, **ჰუან ქიანი-ნელი აგინიანი** 1:0).

საქართველო-ინდოეთი 3:1 (**მაია ჩიბურდანიძე-ჰარიკა დრონავალი** 0,5:0,5, **ნანა ძაგნიძე-ეიშა კარავადე** 0,5:0,5, **ლელა ჯავახიშვილი-მერი გომესი** 1:0, **სოფიკო ხუხაშვილი-ნადია კრუტიკა** 1:0).

პოლონეთი-უკრაინა 2:2 (**ივეტა რაილიჩი-ანა უშენინა** 0,5:0,5, **იოლანტა ზავადსკა-ნატალია ჟუკოვა** 0:1, **იოანა დვორაკოვსკა-მარია მუზიჩუკი** 1:0, **იოანა მაიდანი-ნატალია ზდებსკაია** 0,5:0,5).

ვიეტნამი-ჩინეთი (2) 1:3 (**თრამ ჰოანგი-თან ჟონგი** 0,5:0,5, **ნგუენ ჰამი-ჟან სიაოვენი** 0:1, **ჰუ ჰოანგი-დინ იისინი** 0:1, **ნგოკ ჩამი-ვან სიაოჰუ** 0,5:0,5).

V ტური: ჩინეთი (2)-აშშ 2,5:1,5 (**თან ჟონგი-ანა ზატონსკიხი** 0,5:0,5, **ჟან სიაოვენი-რუსუდან გოლეთიანი** 1:0, **დინ იისინი-ალისა მელიოხინა** 0:1, **ვან სიაოჰუ-თათევ აბრაჰამიანი** 1:0).

უკრაინა-ვიეტნამი 3,5:0,5 (**ანა უშენინა-თრამ ჰოანგი** 1:0, **ნატალია ჟუკოვა-ნგუენ ჰამი** 1:0, **ინა გაპონენკო-ჰუ ჰოანგი** 1:0, **ნატალია ზდებსკაია-ნგოკ ჰამი** 0,5:0,5).

ინდოეთი-პოლონეთი 1:3 (**ჰარიკა დრონავალი-ივეტა რაილიჩი** 0:1, **ტანია საჩდევი-იოლანტა ზავადსკა** 0:1, **იეშა კარავადე-იოანა დვორაკოვსკა** 0,5:0,5, **ნადიმ კრუტიკა-კარინა ჰოროვსკა** 0,5:0,5).

სომხეთი-საქართველო 2,5:1,5 (**ელინა დანიელიანი-ნანა ძაგნიძე** 0:1, **ლილით მკრტიჩიანი-ლელა ჯავახიშვილი** 1:0, **ლილით გალოიანი-სოფიკო ხუხაშვილი** 1:0, **ნელი აგინიანი-მაია ლომინეიშვილი** 0,5:0,5).

რუსეთი-ჩინეთი (1) 2:2 (**ტატიანა კოსინცევა-ჰოუ იფანი** 0:1, **ნადეჟდა კოსინცევა-ჟაო სიუ** 1:0, **მარინა რომანკო-იუ ვენიუნი** 0,5:0,5, **ვალენტინა გუნინა-ჰუან ქიანი** 0,5:,5).

ამრიგად, ხუთი ტურის შემდეგ 9 ქულით (12,5) ისევ პოლონელები დაწინაურდნენ. 7-7 ქულით მეორე-მესამე ადგილებს ჩინეთის პირველი ნაკრები (123,5) და საქართველო (12) ინაწილებენ. მომდევნო ადგილებზე მოდიან: უკრაინა — 6 (11,5), რუსეთი — 5 (10,5), ჩინეთი-2 — 5 (10), სომხეთი — 4 (7,5), აშშ — 3 (9,5), ინდოეთი — 3 (7,5), ვიეტნამი — 1 (6,5).

დღეს მე-6 ტურში ითამაშებენ: **აშშ-ჩინეთი (1), საქართველო-რუსეთი, პოლონეთი-სომხეთი, ვიეტნამი-ინდოეთი, ჩინეთი (2)-უკრაინა.**

# დასვენებამ ზოგს არგო, ზოგს ვერა

ერთდღიანი შესვენების შემდეგ გუშინ განახლდა 10-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა, რომელსაც იტალიური ფერმო მასპინძლობს;

გუშინ მე-6 ტურში ქართველ მოჭადრაკეთა შეხვედრები ასე დამთავრდა:

10-წლიანები: **ნინო დახუნდარიძე-ალესია მოშოუ** (საბერძნეთი) 1:0. **ალექსანდრე ურდულაშვილი-სიარჰეი კალინოვსკი** (ბელარუსი) 0:1.

12-წლიანები: **იმანლი მაგჩრურა** (აზერბაიჯანი)-**ადა ქაქუთია** 1:0, **ნინო ხომერიკი-მარია ვასოვა** (ბულგარეთი) 1:0. **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი-ავითალ ბორუშოვსკი** (ისრაელი) 1:0, **გიორგი სიბაშვილი-ულვი სადიხოვი** (აზერბაიჯანი) 0,5:0,5.

14-წლიანები: **პოლინა ვენკოვა** (ბულგარეთი)-**ნატო იმნაძე** 0:1, **მონიკა მრაზოვა** (სლოვაკეთი)-**ლიკა კობეშავიძე** 0:1. **ირაკლი ბერაძე-მადს ანდერსენი** (დანია) 0:1.

16-წლიანები: **მერი არაბიძე-კატარჟინა აბრამოვიჩი** (პოლონეთი) 0.5:0.5, **დიანა იაკობოვა** (ისრაელი)-**მარიამ დანელია** 0:1. **ასაფ გივონი** (ისრაელი)-**ზურაბ ჯავახაძე** 0:1, **ენგინ თოპაკი** (თურქეთი)-**ნოდარ ლორთქიფანიძე** 0:1, **ვლადიმირ იაკო** (სლოვაკეთი)-**გიორგი ცირეკიძე** 1:0.

18-წლიანები: **ოლგა გირია** (რუსეთი)-**ნაზი პაიკიძე** 1:0, **ქეთი წაწალაშვილი-ელენა სემიონოვა** (რუსეთი) 1:0. **ლუკა პაიჭაძე-სასა მარტინოვიჩი** (ხორვატეთი) 1:0, **დავით ბენიძე-მინ თუ ნჰატი** (უნგრეთი) 1:0.

პირველობის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა. ქართველ მოჭადრაკეთა ერთ ნაწილს საპრიზო ადგილებზე გასვლის რეალური შანსი აქვს. 10-წლიანებში ნინო დახუნდარიძე 4,5 ქულით მეოთხე-მეცხრე ადგილებს იყოფს. ალექსანდრე ურდულაშვილმა 2 ქულა მოაგროვა და ერთპიროვნულ ლიდერს 3,5 ქულით ჩამორჩება. 12-წლიანებში 5,5-5,5 ქულით ნინო ხომერიკი და ბერძენი ელიზავეტა პაპადანასოუ მეწინავეობენ. დღეს ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. ადა ქაქუთიას 2,5 ქულა აქვს. ნიკოლოზ ქუმსიაშვილმა 5 ქულა მოაგროვა და ლიდერისგან მხოლოდ ნახევარი ქულა აშორებს. გიორგი სიბაშვილის ანგარიშზე 4 ქულაა.

14-წლიანებში ნატო იმნაძე და ლიკა კობეშავიძე კიდევ 11 მოჭადრაკესთან ერთად 4-4 ქულით მეორე-მეთორმეტე ადგილებს ინაწილებენ. ასევე 4 ქულა აქვს ირაკლი ბერაძეს, ოღონდ - ლიდერზე 1,5 ქულით ნაკლები. 16-წლიანებში 4,5-4,5 ქულას მოუყარეს თავი მერი არაბიძემ და მარიამ დანელიამ. იტალიელი მარინა ბრუნელი კი 5,5 ქულით მეწინავეობს. ვაჟებშიც ამდენივე ქულით დაწინაურდა ებრაელი ჯილ პოპილსკი, რომელსაც დღეს 5-ქულიანი ზურაბ ჯავახაძე ეთამაშება. ნოდარ ლორთქიფანიძემ 3,5, ხოლო გიორგი ცირეკიძემ 2,5 ქულა მოაგროვეს.

18-წლიანებში უდანაკარგოდ ლიდერობს რუსი დიდოსტატი ოლგა გირია, რომლის შეჩერებასაც დღეს თეთრებით შეეცდება საერთაშორისო ოსტატი ქეთი წაწალაშვილი (4,5). ნაზი პაიკიძე 4 ქულით საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსს ინარჩუნებს. ვაჟებში 5-5 ქულა აქვს 6 მოჭადრაკეს, მათ შორის - ლუკა პაიჭაძეს, რომელიც შავებით სომეხ დიდოსტატ სამველ ტერ-საჰაკიანს გაუწევს მეტოქეობას. დავით ბენიძეს 4,5 ქულა აქვს.

ვაჟაობა

# იქ, სადაც ვაჟას სული ტრიალებს

გასულ შაბათს უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი ჩარგალში ვაჟაობაზე. სახელოვანი ქართველი მწერლის 148-ე წლისთავთან დაკავშირებით სახალხო დღესასწაულის ორგანიზატორი გახლდათ დიდი მგოსნის შთამომავალი, კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავის“ პრეზიდენტი **ზაზა რაზიკაშვილი.**

სხვა ღონისძიებებთან ერთად სტუმარ-მასპინძლებმა იხილეს შვიდკილომეტრიანი მარულა, რომელიც ბარისახოელმა **გიორგი არაბულმა** (სურათზე) მოიგო. ყველაზე მეტი მაყურებელი მაინც ვაჟა-ფშაველას ეზოში გამართულმა ქართულმა ჭიდაობამ მიიზიდა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ **ზურაბ ნარიმანაშვილი** (დუშეთი), **თემურ ოქრუაშვილი, დავით ოსიაშვილი, გიორგი ცოციაშვილი** (ყველა — მცხეთა). გამარჯვებულები და პრიზიორები ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ზურაბ ზვიადაურმა**, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა, ოლიმპიურმა პრიზიორმა **გიორგი გოგშელიძემ**, ევროპის პრიზიორმა **გელა სალირაშვილმა**, ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **უშანგი ყურაშვილმა** და ვიცე-პრეზიდენტმა **შოთა ჩეკურიშვილმა** დააჯილდოვეს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **დანელიამ**
ავტორის ფოტოები





ეროვნული ბიბლიოთეკა



კრივი

# ორმა წარმატებით, ორმაც უშედეგოდ

გასულ შაბათ-კვირას მილანში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ ოთხმა ქართველმა იბრძოლა, ორმა წარმატებით, ორმაც – უშედეგოდ.

დავიწყოთ ცუდი ამბებით: **გიორგი კილანავა** (54 კგ), რომელიც იღბლიანი წილისყრის წყალობით ჩემპიონატში მეორე წრიდან ჩაერთო, უნგრელ **კრისტიან ლაკატოშთან** 10:16 დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა. ასევე მეორე წრიდან დაიწყო ბრძოლა **იროდიონ ონაშვილმა** (57 კგ). მან სერბ ბრანიმირ სტანკოვიჩთან 1:8 წააგო.

სამაგიეროდ, მერვედფინალში გავიდა **კახა ჟვანია** (69 კგ), რომელსაც ბელარუსი **მაჰამად ნარუძინაო** რინგზე არ გამოუცხადდა. მერვედფინალში მისი მეტოქე ირლანდიელი **უილიამ მაკლუგლინი** იქნება.

მერვედფინალშია 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **რევაზ ქარელიშვილიც**. საამისოდ მას მხოლოდ ერთი ბრძოლის მოგება დასჭირდა ფინელ **ემელი კატაისტოსთან** – 10:4.

მერვედფინალურ ბრძოლას დღეს ჩაატარებს **კობა ფხაკაძე** (60 კგ). იგი მაროკოელ **მაჰდი უატინს** დაუპირისპირდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რაგბი — ლეგიონერები



# კავთიძე და ლიონი მაგრად დგანან

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. დაუმარცხებელი სამი გუნდი დარჩა, ამათგან ერთი ქართველი პირველხაზელის **გურამ კავთიძის „ლიონია"**.

ჩვენებურის გუნდი ბოლო ორი სეზონი პირველ დივიზიონში გადასასვლელად იბრძოდა და, როგორც ჩანს, ამჯერადაც ეცდება, ფრანგული რაგბის საუკეთესო კლუბებს შორის დაიკავოს ადგილი. ლიონელებმა მეორე ტურში დივიზიონის დებიუტანტ „ექსს" უმასპინძლეს და 36:14 დაამარცხეს. კავთიძე განაცხადში არ იყო.

პირველი გამარჯვება მოიპოვა **გიორგი ჟღენტის** „ოიონაქსმა", რომელიც ასევე პირველ დივიზიონში ალზევებაზე აცხადებს პრეტენზიას. ოიონაქსელებმა საკუთარ მოედანზე **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბი" დაამარცხეს – 28:12.

ორივე ქართველი მორაგბე ძირითად შემადგენლობაში იყო და ორივე ერთდროულად, 63-ე წუთზე შეცვალეს. მაგრაქველიძე მატჩის არბიტრმა 32-ე წუთზე გაასინბინა.

პირველი გამარჯვება მიითვალა **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენმაც", რომელსაც საკუთარ მოედანზე „ლა როშელის" მედგარი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა. გამარჯვებას ჩვენებურის გუნდმა მხოლოდ მატჩის მიწურულს გატანილი ლელოს წყალობით მიაღწია – 26:21. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 62-ე წუთზე შეცვალეს.

მოულოდნელად შინ დამარცხდა „პოსთან" **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკი" – 12:16. „ჩატუჩა" სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 64-ე წუთიდან ჩაერთო.

საფრანგეთი. II დივიზიონი. II ტური: **ლანამეზანი-ნარბონი 13:16, ლიონი-ექსი 36:14, ბორდო-ოში 23:21, ორიაკი-პო 12:16, კოლომიე-დაქსი 19:13, ოიონაქსი-ტარბი 28:12, აჟენი-ლა როშელი 26:21, მონ დე მარსანი-გრენობლი 9:12.**

სატურნირო მდგომარეობა: **1.გრენობლი – 9 ქულა, 2. ნარბონი – 9, 3. ლიონი – 8, 4. ოში – 5, 5. ოიონაქსი – 5, 6. ორიაკი – 5, 7. აჟენი – 5, 8. ბორდო – 5, 9. მონ დე მარსანი – 5, 10. დაქსი – 5, 11. კოლომიე – 4, 12. ტარბი – 4, 13. პო – 4, 14. ლა როშელი – 2, 15. ექსი – 1, 16. ლანამეზანი – 1.**

რუსეთის სუპერლიგის გათამაშებაში მე-8 ტურის ორი შეხვედრა გაიმართა. გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა, **რატი ურუშაძისა** და **დიმა პავლოვის** "ენისეიმ" სტუმრად უშუალო კონკურენტ მონინოს ვვასთან 21:48 დათმო.

ურუშაძემ სრულად ითამაშა, პავლოვი მოედანზე 68-ე წუთიდან გამოჩნდა.

შინ დაამარცხა **ზაზა შვანგირაძისა** და **ზაზა ჩირგაძის "პენზა" თემურ სოხაძის** "კრასნი იარმა" – 37:21. სოხაძემ გუნდს 17 ქულა მოუტანა, ოთხი გარდასახვა და სამი საჯარიმო. მატჩის მიწურულს ლელო მიითვალა შვანგირაძემ. ჩირგაძე კი 23-ე წუთზე მატჩის არბიტრმა გაასინბინა.

რუსეთი. სუპერლიგა: VIII ტური: **ვვა-ენისეი 48:21, კრასნი იარი-პენზა 37:21.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ვვა – 14 ქულა, 2. ენისეი – 14, 3. კრასნი აიარი – 10, 4. სლავა – 4, 5. სმენა – 2, 6. პენზა – 2.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ძიუდო — ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებში

# საერევნო ახალგაზრდულები

საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელებმა დაასახელეს ის შემადგენლობები, რომლებიც 11-13 სექტემბერს ერევანში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში იჭიდავებენ. ვაჟთა ნაკრების თავკაცმა ბორის ფირცხელიანმა არჩევანი ამათზე შეაჩერა: **თორნიკე თათარაშვილი** (55), **პაატა მერებაშვილი** (60), **არკადი ავალიანი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **არჩილ შინჯიკაშვილი** (90), **მიხეილ ნარიმანიძე** (100), **უშანგი კოკაური** (+100).

სამწუხაროდ, ფირცხელიანმა უძლიერესი შემადგენლობა ვერ შეაგროვა - დასკვნით შეკრებაზე, ზედ ბოლო დღეებში ხელი მოიტეხა **შმაგი ლაგაზაურმა** (55), რომელსაც ლამის განაღდებული ჰქონდა ერევანში წასვლა - საქართველოს ჩემპიონიც გახდა და მერეც კარგად იჭიდავა საერთაშორისო ტურნირებზე.

ერევანში სრული გუნდით იჭიდავებს გოგოების ნაკრებიც. **გია თენაძის** რჩეულებში დები - **ცირა აბულაძე** (44) და **დარინა აბულაძე** (48), **ნათია როსტომაშვილი** (52), **მერი ჯაჭვლიანი** (57), **შორენა შარაძე** (63), **სალომე წოწკოლაური** (70), **ნინო ოძელაშვილი** (78) და **ელენე ქებაძე** (+78) მოხვდნენ. დანაკლისს ვერც თენაძე ასცდა - მძიმე წონაში **თამარ ლომიძეს** უნდა ეჭიდავა, მაგრამ იგი დაშავდა. მის ნაცვლად ქებაძე კი მიჰყავთ, მაგრამ, შესაძლოა, ის ტურნირზე არ დაუშვან - ჯერ 16 წლისაა, ამ ასაკისებს კი ახალგაზრდებში გამოსვლის ნებას არ აძლევენ. თუმცა ეს ჯერ ინფორმაციაა, ოფიციალური განმარტება კი თენაძემ ვერავისგან მიიღო, ამიტომ მაინც გადაწყვიტა მისი წაყვანა - თუ დაუშვებენ, ხომ კარგი, არადა, ტურნირს დაესწრება, მეტოქეებს დააკვირდება და საშეჯიბრო ატმოსფეროს, ასე თუ ისე, გაუშინაურდება.

**ირაკლი თავაძე**

მშვილდოსნობა — მსოფლიოს ჩემპიონატი

# ყველამ წააგო

სამწუხაროდ, ჩვენმა მშვილდოსანმა ქალებმა კარგად დაწყებული საქმე მეტისმეტად ცუდად გააგრძელეს და კორეულ ულსანში მიმდინარე მსოფლიოს პირველობას პლეი ოფის პირველივე წრიდან გამოეთიშნენ. შეგახსენებთ, რომ მათ საკვალიფიკაციო ეტაპზე კარგად ისროლეს - **ქრისტინე ესებუა** მეთორმეტე ადგილზე გავიდა, **ხათუნა ნარიმანიძე** - მეთოთხმეტეზე. **ასმათ დიასამიძემ** შედარებით სუსტად ისროლა - 97 მსროლელში 56-ე იყო.

ესებუა და ნარიმანიძე პლეი ოფის პირველ წრეში ისვენებდნენ, მეორე ეტაპი კი ორივესთვის დაუძლეველი ზღუდე აღმოჩნდა. როგორც წინა წერილში ვივარაუდეთ, ამ ეტაპზე ესებუას მეტოქე ფრანგი **სირილ დელამარე** აღმოჩნდა, რომელმაც შესარჩევი 53-ზე ჩაამთავრა და ქულებითაც ჩამორჩა ჩვენებურს. ამიტომ ესებუა ფავორიტი გვეგონა, თუმცა ფრანგმა 3-ქულიანი უპირატესობით გაიმარჯვა - 105:102 მის სასარგებლოდ.

ნარიმანიძის პირველი მეტოქე რუსთა ახალბედა **ნატალია სეგინა** აღმოჩნდა, რომელმაც მანამდე თურქი **ნესლიან ჩაკიროღლუ** დაამარცხა. რუსი აქამდე უფროსებში ნამდვილად არ გამოირჩეოდა, მაგრამ იქაურ ნაკრებში ურიგო მშვილდოსანი ვერ მოხვდება. თუმცა იმედს მეტოქის გამოუცდელობა და საკვალიფიკაციოში ნაჩვენები დაბალი შედეგი გვაძლევდა - 51-ე იყო. სამწუხაროდ, მან არაფერი დაუთმო ნარიმანიძეს. ძირითადი დრო ფრედ დასრულდა - 107:107, მაგრამ დამატებითში რუსმა 10:9 იმარჯვა და ჩვენებურიც დაემშვიდობა პირად პირველობას.

დიასამიძე პლეი ოფში პირველივე წრიდან ჩაება და ესპანელ **ბეატრის კაბრეროსთან** 105:110 დამარცხდა.




გუშინ ულსანში ქალთა პირველობის ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ. საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებული კორეელი **კვაკ იე ჯი** პოლონელ **კარინა ლიპიარსკას** შეხვდება, მეორე კორეელი, **ჯოო ჰუნ-იუნგი** კი კოლუმბიელ **ნატალია სანჩესს** გაეჯიბრება. ეს ოთხეული ერთმანეთს 9 სექტემბერს გაეჯიბრება და მედალოსნებსაც მაშინ გამოავლენენ, დღეს კი გუნდური ტურნირის შეხვედრები გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ჩვენები პირველ ორთაბრძოლას კანადელებთან გამართავენ.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილმა ნახევარფინალი იკმარა

26 წლის **მაკა ჩახნაშვილმა** (237) სლოვენიის ქალაქ მარიბორში „ინფონდ ოუფენზე" (25 ათასი $) ასპარეზობა ნახევარფინალში დაასრულა. მე-5 ნომრად განთესილი ქართველი მე-8 ნომრად განთესილ რუმინელ **სიმონა ჰალეპთან** (268) დამარცხდა - 2:6, 6:7 (6). მართალია, მაკამ რეიტინგს 24 ქულა შემატა, მაგრამ მას შარშანდელი 30 ქულა დააკლდება, რის გამოც მომდევნო ორშაბათს ჩახნაშვილის წინსვლას კლასიფიკაციაში არ უნდა ველოდოთ.

იტალიურ ბიელაში საკმაოდ პრესტიჟული ტურნირი იწყება, რომლის საპრიზო ფონდიც 100 ათასი ამერიკული დოლარია. შეჯიბრებაში **სოფიო შაფათავამ** (357) სცადა ბედი. ის საკვალიფიკაციო ბადის პირველ წრეში მე-7 ნომრად განთესილ სლოვაკ **ლენკა ტვაროშკოვას** (248) შეხვდა. პირველი სეტი ჩვენებურმა ტაიბრეიკში დათმო. მეორე სეტში სლოვაკი 2:0 დაწინაურდა, თუმცა შაფათავამ შეძლო ანგარიშის გათანაბრება და წინ გასვლა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ფავორიტმა იმარჯვა - 6:7, 3:6.

ფრანგულ დენაინში საერთაშორისო ტურნირის (50 ათასი $) საკვალიფიკაციო ბადეში **ეკა გორგოძე** (489) ითამაშებს, ძირითადში - მაკა ჩახნაშვილი. ჰოლანდიურ ალპენში (25 ათასი $) საკვალიფიკაციო ბადეში ჩაება **სოფიო ქვაცაბაია** (498). მე-10 ნომრად განთესილმა ქართველმა პირველ წრეში იოლად აჯობა ბრაზილიელ **კარინა სოუზას** (1093) - 6:0, 6:2. მეორე წრეში ქვაცაბაია მე-3 ნომრად განთესილ პოლონელ **კატარჟინა პიტერს** (382) შეხვდება. ბულგარულ როუსეში (10 ათასი $) ძირითად ბადეში განთესილთა შორის იქნება **თათია მიქაძე** (797).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მაკა ჩახნაშვილი

სუმო



# ქართველს დიდი ჩემპიონი ესტუმრა

კვირაზე ნაკლებიღა დარჩა წლის მე-5, ბოლოსწინა ბაშოს დაწყებამდე, რომელსაც იაპონიის დედაქალაქი ტოკიო უმასპინძლებს. ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტი **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** კარიერაში პირველად იჭიდავებს აღმოსავლეთის პირველი მაეგაშირას რანგში. ის გამალებით ემზადება ბაშოსთვის, რომელიც მის კარიერაში, შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოდგეს - ლევანს დადებითი ბალანსი კომუსუბის ტიტულს მოუპოვებს, მაგრამ ამის მიღწევა სექტემბრის ბაშოზე ერთი-ორად ძნელი იქნება, ქართველს 11-ივე ტიტულოვან სუმოისტთან მოუწევს შერკინება.

ტოჩინოშინი თავის კლუბ „კასუგანოში" ვარჯიშობს, ეს დღეებია, კლუბს სახელოვანი სტუმარი ჰყავს, სასპარინგოდ იქ დიდი ჩემპიონი, **ასაშორიუ** დადის. პირველად მონღოლმა 6-6 სპარინგი გამართა ტოჩინოშინთან, **კასუგაოსთან** და **ფუტენოსთან**. თუკი კორეელ და იაპონელ ფალავნებს მან ყველა ორთაბრძოლა მოუგო, ტოჩინოშინს 3:3 დაუზავდა. 6 სექტემბერს კიდევ ერთხელ ეწვია დიდი მონღოლი „კასუგანოს" კლუბს და ამჯერად მხოლოდ ქართველს დაეჭიდა. 8 ორთაბრძოლიდან იოკოძუნამ 6 მოიგო. მოკლედ, ერთ კვირაში ლევანმა ასაშორიუს დაგდება 5-ჯერ მოახერხა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კალათბურთი

# ევრობასკეტი 2009

## A ჯგუფი

### მაკედონია

FIBA-ს რეიტინგი: 74

| | | | |
|---|---|---|---|
| ვრიცა სტეფანოვი | მც | 188 | უკლუბოდ |
| დიმიტარ მირაკოვსკი | მც | 180 | ინდისტრია |
| რისტე სტეფანოვი | მც | 199 | აეკ |
| პერო ბლაჟევსკი | ც | 200 | ვარდარი |
| ტოდორ გეჩევსკი | ც | 209 | ზადარი |
| პერო ანტიჩი | ფ | 210 | ლოკომოტივი |
| იერემია მასეი | ფ | 202 | რეალი |
| პრედრაგ სამარძისკი | ც | 214 | ჟელეზნიკი |
| ვოიდან სტოიანოვსკი | მც | 194 | ოჰრიდი |
| დამიან სტოიანოვსკი | ფ | 197 | ვარდარი |
| დიმე ტასოვსკი | ფ | 201 | პოლიტეხნიკა |
| ალექსანდრ დიმიტროვსკი | მც | 193 | რაბოტნიჩკი |

მწვრთნელი: იოვიცა არშიჩი

### ხორვატია

FIBA-ს რეიტინგი: 16

ტიტულები: ევრობასკეტი - ბრინჯაო (1993, 1995), მსოფლიოს ჩემპიონატი - ბრინჯაო (1994), ოლიმპიადა - ვერცხლი (1992)

| | | | |
|---|---|---|---|
| 4. როკო-ლენი უკიჩი | მც | 195 | მილუოკი |
| 5. დავორ კუსი | მც | 192 | ბენეტონი |
| 6. მარკო პოპოვიჩი | მც | 185 | უნიქსი |
| 7. ნიკოლა ვუიჩიჩი | ც | 211 | ოლიმპიაკოსი |
| 8. ნიკოლა პრკაჩინი | ც | 208 | ციბონა |
| 9. მარინ როჟიჩი | ფ | 201 | ციბონა |
| 10. ხორან პლანიჩიჩი | მც | 199 | ცსკა |
| 11. მარიო სტოიჩი | მც/ფ | 198 | ალიკანტე |
| 12. კრეშიმირ ლონჩარი | ფ | 210 | უნიქსი |
| 13. მარკო ბანიჩი | ფ | 204 | ბილბაო |
| 14. სანდრო ნიჩევიჩი | ც | 210 | ბენეტონი |
| 15. მარიო კასუნი | ც | 213 | ეფესი |

მწვრთნელი: იასმინ რეპეშა

### ისრაელი

FIBA-ს რეიტინგი: 25

ტიტულები: ევრობასკეტი - ვერცხლი (1979)

| | | | |
|---|---|---|---|
| 4. მორანი როტი | მც | 184 | ელდანი |
| 5. მოშე მიზრაჰი | ფ | 202 | მაკაბი (ჰ) |
| 6. გალ მეკელი | მც | 195 | მაკაბი (თ-ა) |
| 7. იუვალ ნაიმი | მც | 188 | ჰაპოელი (ი) |
| 8. გაი პნინი | მც/ფ | 201 | მაკაბი (თ-ა) |
| 9. იოთამ ჰალპერინი | მც | 196 | ოლიმპიაკოსი |
| 10. ტალ ბურშტეინი | მც | 198 | მაკაბი (თ-ა) |
| 11. ლიორ ელიაჰუ | ფ | 205 | კახა ლაბორალი |
| 12. რავივ ლიმონადი | მც | 192 | მაკაბი (თ-ა) |
| 13. იდო კოზიკარო | ფ/ც | 203 | მაკაბი (ჰ) |
| 14. იანივ გრინი | ფ | 206 | მაკაბი (თ-ა) |
| 15. ამით ტამირი | ც | 210 | აპოელ |

მწვრთნელი: ზვი შერფი

### საბერძნეთი

FIBA-ს რეიტინგი: 4

ტიტულები: ევრობასკეტი - ოქრო (1987, 2005), მსოფლიოს ჩემპიონატი - ვერცხლი (2006)

| | | | |
|---|---|---|---|
| 4. იანის კალამპოკისი | მც | 195 | ბენეტონი |
| 5. იანის ბურუსისი | ც | 212 | ოლიმპიაკოსი |
| 6. ნიკოს ცისისი | მც | 195 | მონტეპასკი |
| 7. ვასილის სპანულისი | მც | 193 | პანათინაიკოსი |
| 8. კოსტას კაიმაკოგლუ | ც/ფ | 206 | მარუსი |
| 9. ანტონის ფოცისი | ფ | 210 | პანათინაიკოსი |
| 10. გიორგის პრინტეზისი | ფ | 206 | უნიკახა |
| 11. ანდრეას გლინიადაკისი | ც | 215 | ოლიმპიაკოსი |
| 12. ნიკ კალათესი | მც | 198 | პანათინაიკოსი |
| 13. კოსტას კუფოსი | ფ/ც | 213 | იუტა |
| 14. სტრატოს პერპეროგლუ | მც | 203 | პანათინაიკოსი |
| 15. სოფოკლის შორცანიტისი | ც | 206 | ოლიმპიაკოსი |

მწვრთნელი: იონას კაზლაუსკასი

#### კალენდარი

**7 სექტემბერი**

მაკედონია-საბერძნეთი 18:30
ხორვატია-ისრაელი 21:15

**8 სექტემბერი**

ისრაელი-მაკედონია 18:30
საბერძნეთი-ხორვატია 21:15

**9 სექტემბერი**

მაკედონია-ხორვატია 18:30
ისრაელი-საბერძნეთი 21:15

## B ჯგუფი

### რუსეთი

FIBA-ს რეიტინგი: 15

ტიტულები: ევრობასკეტი - ოქრო (2007)

| | | | |
|---|---|---|---|
| ანდრეი ვორონცევიჩი | ც | 204 | ცსკა |
| ნიკიტა კურბანოვი | ფ | 202 | ცსკა |
| სერგეი ბიკოვი | მც | 190 | დინამო |
| ვიტალი ფრიძონი | მც | 195 | ხიმკი |
| დმიტრი სოკოლოვი | ც | 212 | ცსკა |
| ეგორ ვიალტცევი | მც | 190 | ტრიუმფი |
| სერგეი მონია | ფ | 204 | დინამო |
| ანტონ პონკრაშოვი | მც | 200 | ცსკა |
| ალექსეი ზოზულინი | მც/ფ | 199 | სპარტაკი |
| კელი მაკარტი | ფ | 201 | ხიმკი |
| ტიმოფეი მოზგოვი | ც | 215 | ხიმკი |
| ფიოდორ დმიტრიევი | ფ | 205 | ხიმკი |

მწვრთნელი: დევიდ ბლატი

### საფრანგეთი

FIBA-ს რეიტინგი: 16

ტიტულები: ევრობასკეტი - ვერცხლი (49), ბრინჯაო (37, 51, 53, 59, 2005); ოლიმპიადა - ვერცხლი (48, 2000)

| | | | |
|---|---|---|---|
| 4. ანტუან დიო | მც | 191 | ლე მანი |
| 5. ნიკოლა ბატუმი | ფ | 201 | პორტლენდი |
| 6. აიმერიკ ჟანო | მც | 187 | ვილერბანი |
| 7. ალენ კოფი | ც | 207 | ხუვენტუდი |
| 8. იან მაინმი | ფ/ც | 211 | სან ანტონიო |
| 9. ტონი პარკერი | მც | 188 | სან ანტონიო |
| 10. იანიკ ბოკოლო | მც | 191 | გრაველინი |
| 11. ფლორან პიეტრუსი | ფ | 202 | ვალენსია |
| 12. ნანდო დე კოლო | მც | 202 | ვალენსია |
| 13. ბორის დიავი | ფ/ც | 203 | შარლოტი |
| 14. რონი ტურიაფი | ც/ფ | 208 | გოლდენ სტეიტი |
| 15. ალი ტრაორე | ც | 207 | ვილერბანი |

მწვრთნელი: ვენსან კოლე

### გერმანია

FIBA-ს რეიტინგი: 7

ტიტულები: ევრობასკეტი - ოქრო (1993), ვერცხლი (2005); მსოფლიოს ჩემპიონატი - ბრინჯაო (2002)

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუკა შტაიგერი | მც | 196 | აიოვა |
| ჰაიკო შაფარტციკი | მც | 185 | ბრაუნშვაიგი |
| სვენ შულტცე | ფ | 208 | გრაველინი |
| კონრად ვისოცკი | ფ | 204 | ტუროვი |
| შტეფან ჰამანი | მც | 195 | ალბა |
| დემონდ გრინი | მც | 186 | ბამბერგი |
| პატრიკ ფემერლინგი | ც | 215 | ალბა |
| იან-ჰენდრიკ იაგლა | ც | 213 | ალბა |
| ტიბორ პლაისი | ც | 215 | კიოლნი |
| ტიმ ოლბრეხტი | ფ | 211 | ბამბერგი |
| რობინ ბენცინგი | ფ | 209 | ბამბერგი |
| ელიას ჰარისი | ფ | 201 | გონსაგა |

მწვრთნელი: დიკ ბაურმანი

### ლატვია

FIBA-ს რეიტინგი: 33

ტიტულები: ევრობასკეტი - ოქრო (1935), ვერცხლი (1939)

| | | | |
|---|---|---|---|
| უვის ჰელმანისი | ფ | 204 | ასკ რიგა |
| აიგარ ვიტოლსი | მც | 194 | ასკ რიგა |
| არმანდს შკელე | მც | 194 | ბარონსი |
| იანის ბლუმსი | მც | 191 | ბილბაო |
| კრისტაპს ვალტერსი | მც | 188 | ხუვენტუდი |
| კრისტაპს იანიჩენოკსი | ფ | 196 | ვენეცია |
| ანდრის ბიედრინსი | ც | 211 | გოლდენ სტეიტი |
| ერნესტ კალვე | ფ | 203 | ასკ რიგა |
| როლანდს ფრეიმანისი | ფ | 207 | ვეფ რიგა |
| არტურს შტალბერგსი | ფ | 196 | ლიეპაიასი |
| გატის იაჰოვიჩსი | ფ | 200 | ვეფ რიგა |
| კასპარს კამბალა | ც | 206 | ენისეი |

მწვრთნელი: კესტუტის კემზურა

#### კალენდარი

**7 სექტემბერი**

რუსეთი-ლატვია 18:30
საფრანგეთი-გერმანია 21:15

**8 სექტემბერი**

გერმანია-რუსეთი 18:30
ლატვია-საფრანგეთი 21:15

**9 სექტემბერი**

რუსეთი-საფრანგეთი 18:30
გერმანია-ლატვია 21:15

## C ჯგუფი

### ბრიტანეთი

FIBA-ს რეიტინგი: 74

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯარეტ ჰარტი | მც | 195 | კერავნოსი |
| მაიკ ლენზლი | მც | 190 | ნიმბურკი |
| ენდრიუ სალივანი | ფ | 203 | ცსკ სამარა |
| რობერტ არჩიბალდი | ც | 211 | უნიკახა |
| ჯოელ ფრილანდი | ფ | 211 | უნიკახა |
| ნეიტ რეინკინგი | მც | 183 | მონსი |
| ფლინდერ ბოიდი | მც | 182 | ლესტერი |
| ენდრიუ ბეტსი | ც | 217 | არისი |
| დენ კლარსი | ც | 210 | ესტუდიანტესი |
| ნიკ ჯორჯი | ფ | 198 | გრაველინი |
| კირონ აჩარა | ფ | 208 | ბიელა |
| პოპს მენსა-ბონსუ | ფ | 208 | ტორონტო |

მწვრთნელი: კრის ფინჩი

### სერბეთი

FIBA-ს რეიტინგი: 5

ტიტულები: ევრობასკეტი - ოქრო (1973, 1975, 1977, 1989, 1991, 1995, 1997, 2001), მსოფლიოს ჩემპიონატი - ოქრო (1970, 1978, 1990, 1998, 2002), ოლიმპიადა - ოქრო (1980)

| | | | |
|---|---|---|---|
| 4. ბოიან პოპოვიჩი | მც | 190 | ლიეტ. რიტასი |
| 5. მილენკო ტეპიჩი | მც | 198 | პანათინაიკოსი |
| 6. მილოშ ტეოდოშიჩი | მც | 195 | ოლიმპიაკოსი |
| 7. ივან პაუნიჩი | მც | 194 | ოსტენდე |
| 8. ნემანია ბიელიცა | ფ/ც | 209 | ცრ. ზვეზდა |
| 9. სტეფან მარკოვიჩი | მც | 194 | ჰემოფარმი |
| 10. უროშ ტრიპკოვიჩი | მც | 196 | ხუვენტუდი |
| 11. მიროსლავ რადულიცა | ც | 213 | ჰემოფარმი |
| 12. ნენად კრსტიჩი | ც | 214 | ოკლაჰომა |
| 13. კოსტა პეროვიჩი | ც | 217 | ვალენსია |
| 14. ნოვიცა ველიჩკოვიჩი | ფ | 205 | რეალი |
| 15. მილან მაჩვანი | ფ/ც | 205 | ჰემოფარმი |

მწვრთნელი: დუშან ივკოვიჩი

### ესპანეთი

FIBA-ს რეიტინგი: 3

ტიტულები: ევრობასკეტი - ვერცხლი (1935, 1973, 1983, 1999, 2003, 2007), ბრინჯაო (1991, 2001); მსოფლიოს ჩემპიონატი - ოქრო (2006), ოლიმპიადა - ვერცხლი (1984 2008)

| | | | |
|---|---|---|---|
| 4. პაუ გასოლი | ფ/ც | 215 | ლეიკერსი |
| 5. რუდი ფერნანდესი | მც | 195 | პორტლენდი |
| 6. რიკი რუბიო | მც | 190 | ბარსელონა |
| 7. ხუან კარლოს ნავარო | მც | 192 | ბარსელონა |
| 8. ვიქტორ კლავერი | ფ/ც | 205 | ვალენსია |
| 9. ფელიპე რეიესი | ფ/ც | 206 | რეალი |
| 10. კარლოს კაბესასი | მც | 186 | ხიმკი |
| 11. რაულ ლოპესი | მც | 182 | ხიმკი |
| 12. სერხიო ლული | მც | 190 | რეალი |
| 13. მარკ გასოლი | ც | 215 | მემფისი |
| 14. ალექს მუმბრუ | ფ | 202 | ბილბაო |
| 15. ხორხე გარბახოსა | ფ | 204 | რეალი |

მწვრთნელი: სერჯო სკარიოლო

### სლოვენია

FIBA-ს რეიტინგი: 20

| | | | |
|---|---|---|---|
| 4. უროშ სლოკარი | ც | 210 | ბოლონია |
| 5. იაკა ლაკოვიჩი | მც | 186 | ბარსელონა |
| 6. დომენ ლორბეკი | მც | 199 | ბენეტონი |
| 7. პრიმოჟ ბრეჟეცი | ც | 216 | ფილადელფია |
| 8. მატიას სმოდიში | ფ | 205 | ცსკა |
| 9. იაკა კლობუჩარი | მც | 198 | ოლიმპია |
| 10. ბოსტჯან ნახბარი | ფ | 207 | ეფესი |
| 11. გორან დრაგიჩი | მც | 194 | ფინიქსი |
| 12. გორან იაგოდნიკი | ფ | 203 | ნიმბურკი |
| 13. სამო უდრიხი | მც | 195 | ესტუდიანტესი |
| 14. იურიცა გოლემაკი | ფ | 209 | რომა |
| 15. ერაზემ ლორბეკი | ც | 210 | ბარსელონა |

მწვრთნელი: იურე ზდოვცი

#### კალენდარი

**7 სექტემბერი**

ბრიტანეთი-სლოვენია 20:15
სერბეთი-ესპანეთი 23:00

**8 სექტემბერი**

სლოვენია-სერბეთი 20:15
ესპანეთი-ბრიტანეთი 23:00

**9 სექტემბერი**

ესპანეთი-სლოვენია 20:15
ბრიტანეთი-სერბეთი 23:15

## D ჯგუფი

### პოლონეთი

FIBA-ს რეიტინგი: 55

ტიტულები: ევრობასკეტი - ვერცხლი (1963), ბრინჯაო (1939, 1965, 1967)

| | | | |
|---|---|---|---|
| 4. მაცეი ლამპე | ფ | 211 | მაკაბი (თ-ა) |
| 5. კრშიშტოფ როშუკი | ფ | 200 | ტუროვი |
| 6. მიხალ ჩილინსკი | მც | 196 | კლინიკასი |
| 7. კრშიშტოფ შუბარგა | მც | 180 | ანვილი |
| 8. ივო კიტცინგერი | მც | 188 | პროკომი |
| 9. შიმონ შევჩუკი | ც | 209 | აველინო |
| 10. ადამ ვოიჩიკი | ფ | 209 | ტუროვი |
| 11. მიხალ იგნევსკი | ფ | 205 | ლაგუნი |
| 12. დავიდ ლოგანი | მც | 185 | პროკომი |
| 13. მარსინ გორტატ(ი) | ც | 211 | ორლანდო |
| 14. რობერტ ვიტკა | ფ | 205 | ტუროვი |
| 15. ლუკაშ კოშარეკი | მც | 187 | ანვილი |

მწვრთნელი: მული კაცურინი

### თურქეთი

FIBA-ს რეიტინგი: 14

ტიტულები: ევრობასკეტი - ვერცხლი (2001)

| | | | |
|---|---|---|---|
| 4. ბექირ იარენგიუმე | მც | 198 | ტურკ ტელეკომი |
| 5. სინან გიულერი | მც | 196 | ეფესი |
| 6. ენგინ ათსური | მც | 194 | ეფესი |
| 7. ომერ ონანი | ფ | 194 | ფენერბაჰჩე |
| 8. ერსან ილიასოვა | ფ | 208 | მილუოკი |
| 9. ბარიშ ჰერშექი | ფ | 207 | დარუშაფაკა |
| 10. ქერემ თუნჩერი | მც | 191 | ეფესი |
| 11. ოგიუზ შავაში | ც | 213 | ფენერბაჰჩე |
| 12. სემიჰ ერდენი | ც | 213 | ფენერბაჰჩე |
| 13. ენდერ არსლანი | მც | 190 | ეფესი |
| 14. ომერ აშქი | ც | 213 | ფენერბაჰჩე |
| 15. ჰედო თურქოგლუ | ფ | 208 | ტორონტო |

მწვრთნელი: ბოგდან ტანიევიჩი

### ლიტვა

FIBA-ს რეიტინგი: 6

ტიტულები: ევრობასკეტი - ოქრო (1937, 1939, 2003); ოლიმპიადა - ბრინჯაო (1992, 1996, 2000)

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 ანდრიუშ მაჟუტისი | მც | 180 | დონეცკი |
| 5. მანტას კალნიეტისი | მც | 196 | ჟალგირისი |
| 6. იონას მაციულისი | ფ | 200 | მილანი |
| 7. დარიუს ლავრინოვიჩი | ც | 212 | რეალი |
| 8. მინდაუგას ლუკაუსკისი | ფ | 198 | ვილერბანი |
| 9. ტომას დელინინკაიტისი | მც | 190 | მურსია |
| 10. არტურას იომანტასი | ფ | 200 | ლეტუვოს რიტასი |
| 11. ლინას კლეიზა | ფ | 203 | ოლიმპიაკოსი |
| 12. კშიშტოფ ლავრინოვიჩი | ც | 210 | მონტეპასკი |
| 13. სიმას იასაიტისი | ფ | 203 | გალათასარაი |
| 14. მარიონას პეტრავიჩუსი | ფ | 209 | მილანი |
| 15. რობერტას იავტოკასი | ც | 211 | ხიმკი |

მწვრთნელი: რამუნას ბუტაუტასი

### ბულგარეთი

FIBA-ს რეიტინგი: 55

ტიტულები: ევრობასკეტი - ვერცხლი (57), ბრინჯაო (61)

| | | | |
|---|---|---|---|
| დეიან ივანოვი | ფ | 205 | მონტეგრანარო |
| კალოიან ივანოვი | ფ | 205 | უკლუბოდ |
| ჩავდარ კოსტოვი | მც | 196 | აკადემიკი |
| ფილიპ ვიდენოვი | ფ/მც | 196 | გრანადა |
| სტანისლავ სლავეიკოვი | ფ | 198 | ლევსკი |
| სტეფან გეორგიევი | ც/ფ | 206 | ლევსკი |
| დიმიტარ ანგელოვი | მც/ფ | 202 | აკადემიკი |
| ვასილ ევტიმოვი | ც/ფ | 207 | ხიმიკი |
| ბოიკო მლადენოვი | ც/ფ | 212 | ლევსკი |
| ტოდორ სტოიკოვი | მც/ფ | 198 | აკადემიკი |
| ირლ როულანდი | მც | 188 | კრემონა |
| ბოჟიდარ ავრამოვი | მც | 196 | ვალენსია |

მწვრთნელი: პინი გერშონი

#### კალენდარი

**7 სექტემბერი**

პოლონეთი-ბულგარეთი 20:15
თურქეთი-ლიტვა 23:15

**8 სექტემბერი**

ლიტვა-პოლონეთი 20:15
ბულგარეთი-თურქეთი 23:15

**9 სექტემბერი**

პოლონეთი-თურქეთი 20:15
ლიტვა-ბულგარეთი 23:15

---

## ამერიკის ჩემპიონატი

### მეოთხედფინალური ჯგუფი

**პანამა–მექსიკა 67:74**

18:18, 14:24, 20:19, 15:16

პ: პინოკი (20+7 მოხსნა), ლორიედა (15+13 მოხსნა), გრინი (7+7 მოხსნა), ტესისი (7+7 მოხსნა).

მ: პედროსა (18+5 მოხსნა+6 პასი), ლიამასი (18+7 მოხსნა), აგირე (16+13 მოხსნა+4 პასი+4 მოხსნა), ჩავესი (12).

**არგენტინა–ურუგვაი 73:66**

22:6, 16:17, 21:23, 14:20

ა: სკოლა (19+8 მოხსნა), გუტიერესი (12).

უ: ბატისტა (20+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), ოსიმანი (10), აგიარი (9+6 მოხსნა).

**დომინიკის რ–კანადა 76:80**

16:13, 19:17, 21:26, 20:24

დ: ფლორესი (17+6 პასი), ვილანუევა (17+5 მოხსნა), ჰორფორდი (14+14 მოხსნა+3 დაფარება), მარტინესი (12+11 მოხსნა+4 პასი).

კ: ანდერსონი (21+5 პასი), ინგლიში (13+4 პასი), იანგი (11), კენდელი (10+11 მოხსნა).

**ბრაზილია–პ. რიკო 82:86**

20:13, 14:25, 17:29, 31:19

ბ: ვარეჟაო (22+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), სპლიტერი (19+8 მოხსნა), მაშადუ (15), გარსია (11), ჯოვანონი (11).

პ-რ: აიუსო (25+5 მოხსნა), ვასალიო (20+6 მოხსნა), აროიო (16+5 მოხსნა+6 პასი).

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ბრაზილია - 6 მოგება/1 წაგება; 2. პუერტო რიკო - 6/1; 3. არგენტინა - 6/1; 4. კანადა - 3/4; 5. დომინიკის რეს - 3/4; 6. ურუგვაი - 2/5; 7. მექსიკა - 1/6; 8. პანამა - 1/6.

### 1/2 ფინალი

**ბრაზილია–კანადა 73:65**

17:17, 11:10, 26:13, 19:25

ბ: ბარბოზა (22), ვარეჟაო (16+8 მოხსნა+3 ჩაჭრა+4 დაფარება), მაშადუ (15), რიბეირო (10+5 პასი).

კ: ენტონი (17+8 მოხსნა), პაუტინსი (12), ბაკნორი (10), ფამუტინი (9).

**პ. რიკო–არგენტინა 85:80**

13:20, 19:21, 26:19, 27:20

პ-რ: აროიო (19), ლი (14+3 ჩაჭრა), აიუსო (13), რამოსი (10+9 მოხსნა), ვასალიო (10+5 მოხსნა).

ა: სკოლა (31), კინტეროსი (18+5 მოხსნა), პრიჯიონი (8+10 პასი+5 ჩაჭრა), გონსალესი (8).

არგენტინის, კანადის, ბრაზილიისა და პუერტო რიკოს ნაკრებებმა გაინაღდეს მსოფლიოს საგაისო ჩემპიონატზე თამაშის უფლება.

## პიტი ბლეიკზე ფიქრობს

"მაიამი ჰიტი" მომავალი სეზონისთვის გამთამაშებლის პრობლემის მოგვარებას ცდილობს და ამ მიზნით **სტივ ბლეიკის** გადაბირებას შეეცდება. ამ უკანასკნელის როლი "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსში" მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგან გუნდში ჩაირიცხა **ანდრე მილერი** და შესამჩნევ პროგრესს მიაღწია **ჯარედ ბეილისმა**.

"ჰიტს" ბლეიკისთვის 4 მილიონი დოლარის შეთავაზება შეუძლია. ეს თანხა კლუბმა შარშან **ჯერმეინ ო'ნილის** გაცვლის წყალობით დაზოგა. გასულ სეზონში ბლეიკი საშუალოდ 32 წუთს თამაშობდა და 11 ქულასა და 5 შედეგიან პასს აგროვებდა.

## ნიქსი ლის იფორმებს

ESPN-ის ცნობით, "ნიუ იორკ ნიქსი" ამ კვირას ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს თავისუფალ აგენტ **დევიდ ლისთან**. როგორც კლუბის პრეზიდენტი **დონი უოლში** აცხადებს, კლუბმა მძიმე ფორვარდთან შეთანხმებას ვერ მიაღწია: "ნიქსს" კალათბურთელის გაფორმება და შემდეგ მისი სხვა კლუბში გაცვლა სურდა, რადგან ნიუიორკელთა გეგმაში არ შედის ლისთან მრავალწლიანი კონტრაქტის დადება.

სავარაუდოდ, ლის ხელფასი 6-8 მილიონი დოლარი იქნება. გარდა ამისა, უახლოეს დღეებში "ნიქსი" ასევე ერთი წლით კიდევ ერთ თავისუფალ აგენტ **ნეიტ რობინსონს** გაიფორმებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

---

ჩოგბურთი. WTA-ის ტური




## სამი ახალი ტურნირი

ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ მომავალი სეზონის კალენდარი გამოაქვეყნა. WTA-ის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, 2010 წელს 32 ქვეყანაში 53 ტურნირი ჩატარდება და მთლიანი საპრიზო ფონდი 83 მილიონ დოლარს გადააჭარბებს.

კალენდარში შეტანილია სამი ახალი ტურნირი. აქედან ერთ-ერთია "პრემიერ" კატეგორიის ჩემპიონატი, რომელიც სან დიეგოში (აშშ) გაიმართება. მისი საპრიზო ფონდი 700 ათასი დოლარი იქნება. კიდევ ორ ახალ ტურნირს კუალა ლუმპური (მალაიზია) და კოპენჰაგენი (დანია) უმასპინძლებენ. მალაიზიაში ტურნირი 2010 წლის 22 თებერვალს დაიწყება, სან დიეგოსა და კოპენჰაგენში - 2 აგვისტოს.

2010 წელს 24 შეჯიბრება გაიმართება ევროპაში, 15 - სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში და კიდევ 18 - აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში.

რაგბი. სამი ერი

# ვოლაბებმა პირველი მოგიეს, ბოკემ პირველი წააგო



ბურთით ჯეიმზ ოქონორი

**ავსტრალია-ს.აფრიკა 21:6**

**ავსტრალია** (15-9) ოქონორი, თერნერი (პაინსი 31), ეშლი-კუპერი, ბარნსი (კუპერი 75), მიჩელი, გიტო, გენია. (1-8) რობინსონი (ქიუანი 77), პოლოტა-ნაუ (მური 33), ელიგზანდერი, ჰორვილი, ჩიზომი, ელსომი, ფოქონი, ჯ.სმითი.

**2ლ:** ეშლი-კუპერი, ოქონორი. **2ს,გ,ა:** გიტო.

**ს.აფრიკა** (15-9) პინარი (ფ.სტეინი 68), ნდუნხანე, ფური, დეფილიერსი, ჰაბანა, მ.სტეინი, დიუპრე. (1-8) მთავარირა, დიუპლესი, სმიტი, ბოთა (როსუ 60), მეტფილდი, ბრიუსო (ბურგერი 60), ჟ.სმითი, სპისი.

**ს,ა:** მ.სტეინი

**მსაჯი:** უეინ ბარნსი (ინგლისი)

*„ვიცოდით, რომ „ვოლაბები" თავგანწირვით შეგვებრძოლებოდნენ. ზედიზედ მეხუთე მარცხი მათი თაყვანისმცემლებისთვის მეტისმეტი იქნებოდა. კარგად გვესმის, რომ ჩვენი ბედი ჩვენ ხელთაა და მომავალი თამაშისთვის, სტუმრად ზელანდიასთან, ისე როგორც გადამწყვეტი ბრძოლისთვის ვემზადებით"* – თქვა ნამატჩევს აფრიკელთა გუნდის თავმა **ჯონ სმიტმა**.

„ბოკე" გავეშებული „ვოლაბების" ფონზე უსუსურად გამოიყურებოდა. მასპინძლებმა თავიდანვე მაქსიმალური სისწრაფეები ჩართეს, თავდადებით იბრძოლეს და მიუხედავად იმისა, რომ სამჯერ თითქმის გატანილი ლელო არ ჩაუთვალეს, გათამაშების ლიდერს პირველი მარცხი მიაყენეს – 21:6.

არადა, სამი ერის მოსაგებად სამხრეთ აფრიკის ნაკრებს რვა ქულაზე ნაკლები ანგარიშით წაგებაც ხელს აძლევდა. ამ შემთხვევაში „ბოკე" ერთ პრემიალურ ქულას მიიღებდა და მდევარი ზელანდიისთვის მიუწვდომელი გახდებოდა.

როგორც უკვე ვთქვით, ავსტრალიელებმა აქტიური თამაშით ბრისბენის სტადიონზე მისულ ქომაგებს თავიდანვე გამარჯვების იმედი ჩაუსახეს. ანგარიში მასპინძელთა დამრტყმელმა და საუკეთესო მოთამაშე **მეტ გიტომ** საჯარიმო დარტყმით მე-7 წუთზე გახსნა – 3:0.

ამის შემდეგ, მთელი 20 წუთის განმავლობაში ანგარიში ვერც ერთმა ვერ შეცვალა. 27-ე წუთზე კი თავი ისევ გიტომ გამოიჩინა და არეკნით კიდევ ერთხელ დალაშქრა აფრიკელთა კარი – 6:0.

ამაზე „ბოკეს" დამრტყმელმა **მორნი სტეინმა** ორიოდ წუთში არეკნითვე უპასუხა – 3:6. მიმდინარე გათამაშებაში არ ყოფილა შემთხვევა, აფრიკელებს საკუთარ აქტივში ქულები ასე გვიან, 29 წუთისთვის მოეპოვებინოთ.

ავსტრალიელები დაცვაში ფაქტობრივად უშეცდომოდ თამაშობდნენ. იმდენად, რომ სტუმრებს ლელოს გატანის რეალური შესაძლებლობა არ მისცემიათ. ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გიტომ საჯარიმოდან ანგარიშში სხვაობა ექვს ქულამდე გაზარდა – 9:3.

აფრიკელებისთვის საგანგაშო არაფერი ხდებოდა, მით უფრო, რომ ორ წუთში საჯარიმოდან მორნი სტეინმაც გაიტანა – 6:9.

ასეთი ქულა-ქულაში თამაში, ცხადია, „ბოკეს" სწორედაც რომ აწყობდა, მაგრამ სრულიად განსხვავებულად ფიქრობდნენ „ვოლაბები". მეორე ტაიმში მასპინძლები უპირატესობას სრულად ფლობდნენ, იმდენად, რომ აფრიკელები მეტოქის მოედნის ნახევარზე გადასვლას ვერაფრით ახერხებდნენ და შესაბამისად, საკუთარ მონაგარს ვერაფერი შემატეს.

სამქულიანი სხვაობა მატჩში 63-ე წუთამდე შენარჩუნდა. ავსტრალიელებმა მეტოქის ოცდაორმეტრიანი ზონის მისადგომებთან საკუთარი შერკინება მოიგეს. იქიდან გამოტანილი ბურთი მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე გაათამაშეს. გიტომ ერთის გამოტოვებით შეტევაში შუამარბი **ადამ ეშლი-კუპერი** ჩართო, რომელმაც „ბოკეს" ხაზი გაუქრა და ლელოში შეაღწია. გიტომ გარდასახა – 16:6.

აფრიკელებმა კიდევ ერთხელ სცადეს გაბრძოლება და ანგარიშში სასურველი სხვაობის მიღწევა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე აფრიკელთა შეცდომით „ვოლაბების" ფულ ბეკმა **ჯეიმზ ოქონორმა** ისარგებლა. **პიერ სპისს** ბურთი ხელიდან გაუვარდა, რომელიც ოქონორმა აიტაცა და ჩათვლის მოედანში ისე შეაღწია, წინააღმდეგობა არ შეხვედრია. გიტომ ამჯერად ვერ გარდასახა – 21:6.

*„მიუხედავად იმისა, რომ სამი ლელო გაგვიუქმეს, ბიჭებმა ბოლომდე, ოთხმოცი წუთის განმავლობაში თავდადებით იბრძოლეს. ამასთან ერთად, შევნიშნე, რომ მორაგბეებს თავდაჯერებულობაც გაუჩნდათ, რაც აქამდე ძალიან გვაკლდა"* – თქვა მატჩის შემდეგ ავსტრალიელთა მწვრთნელმა **რობი დინსმა**.

სამხრეთ აფრიკა მომავალ შეხვედრას სტუმრად გამართავს ზელანდიის ნაკრებთან. სამი ერის მოსაგებად „ბოკემ" ან რვა ქულაზე ნაკლები უნდა წააგოს, ან მეტოქეს სამ ლელოზე მეტი არ უნდა გაატანინოს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ს.აფრიკა | 5 | 4 | 0 | 1 | +25 | 17 |
| 2.ზელანდია | 4 | 2 | 0 | 2 | -14 | 8 |
| 3.ავსტრალია | 5 | 1 | 0 | 4 | -11 | 7 |

**დარჩენილი თამაშები**

**12 სექტემბერი**
ზელანდია-ა.აფრიკა

**19 სექტემბერი**
ზელანდია-ავსტრალია

## ცხელი ხაზი

**ფრენბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ჰოლანდია | 3:2 |
| საფრანგეთი-გერმანია | 3:1 |
| იტალია-ჩეხეთი | 3:0 |
| სლოვაკეთი-საბერძნეთი | 2:3 |
| თურქეთი-პოლონეთი | 0:3 |
| ფინეთი-ესტონეთი | 3:0 |
| საბერძნეთი-სლოვენია | 3:1 |
| სერბეთი-იტალია | 3:1 |
| რუსეთი-ფინეთი | 3:0 |
| თურქეთი-საფრანგეთი | 0:3 |
| ბულგარეთი-ჩეხეთი | 3:1 |
| ესპანეთი-სლოვაკეთი | 3:2 |

**ჰოკეი**

**ევროტური**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ფინეთი | 3:2 |
| ჩეხეთი-შვედეთი | 5:2 |
| შვედეთი-ფინეთი | 3:8 |
| ჩეხეთი-რუსეთი | 2:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-ინგოლშტადტი | 3:0 |
| ჰანოვერი-ფრანქფურტი | 1:5 |
| კიოლნი-კასელი | 5:1 |
| კრეფელდი-მანჰაიმი | 3:2 |
| ნიურნბერგი-ჰამბურგი | 2:2 |
| შტრაუბინგი-იზერლონი | 0:3 |

## TV პროგრამა

**7 სექტემბერი. ორშაბათი**

**I არხი**

22:00 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

06:55 სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. შვეიცარია-საბერძნეთი.
08:45 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
09:15 სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-რუმინეთი.
11:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ამხანაგური მატჩი. ინგლისი-სლოვენია.
14:10 სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-მაკედონია.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-ლიხტენშტაინი.
18:10 სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. შვეიცარია-საბერძნეთი.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. შვეიცარია-საბერძნეთი.
22:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:40 სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-რუმინეთი.
00:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
01:05 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
02:50 სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-ლიხტენშტაინი.
04:40 სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-მაკედონია.

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

08:45 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-ფინეთი. თურქეთი.
11:20 ახალი ამბები.
11:30 კალათბურთი. ამერიკის ჩემპიონატი. ფინალი. პუერტო რიკო.
13:30 სპორტული დღე.
14:15 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. იტალია.
16:40 ბეისბოლი. MLB-ის ჩემპიონატი. ლოს ანჯელესი-სან დიეგო.
19:10 ახალი ამბები.
19:45 სპორტული გლობუსი - TRANS WORLD SPORT წარმოგიდგენთ.
20:10 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. ბრიტანეთი-სლოვენია. პოლონეთი (LIVE).
22:10 სპორტული დილა.
22:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. სერბეთი-ესპანეთი. პოლონეთი (LIVE).
01:00 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. დღის მიმოხილვა.
01:15 ახალი ამბები.
01:30 რკინის ფაქტორი. ტელეჟურნალი.
02:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. VIII დღე. მიმოხილვა
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. VIII დღე (LIVE).

**EUROSPORT**

07:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. VII დღე (LIVE).
09:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. VII დღე.
10:30 ავტოსპორტი. რალი-რეიდი.
10:45 სნუკერი. შანხაი მასტერსი. I დღე. ჩინეთი (LIVE).
13:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. ნიურნბერგი. გერმანია.
14:30 სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნიურნბერგი. გერმანია.
15:15 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ავსტრალია.
15:45 ავტოსპორტი. რალი-რეიდი.
16:00 სნუკერი. შანხაი მასტერსი. I დღე. ჩინეთი (LIVE).
18:30 ველოსპორტი. ვუელტა. IX ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
19:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. ფინეთი (LIVE).
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:15 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. VIII დღე (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. VIII დღე (LIVE).

## ველოსპორტი. ვუელტა

**VI ეტაპი**

**ვინაროსი-ხატივა. 176,8 კმ**

1. **ბორუტ ბოჟიჩი** (სლოვენ, Vacansoleil) - 4.40,50; 2. **ტაილერ ფარარი** (აშშ, Garmin-Slipstream) - იგივე დრო; 3. **დანიელე ბენატი** (იტა, Liquigas) - იგივე დრო; 4. **დავიდ ვიგანო** (იტალია, Fuji-Servetto) - იგივე დრო; 5. **ტომ ბოონენი** (ბელ, Quick Step) - იგივე დრო; 6. **ლეონარდო დუკე** (კოლ, Cofidis) - იგივე დრო... 8. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, Silence-Lotto) - იგივე დრო... 10. **ანდრე გრაიპელი** (გერ, Columbia-HTC) - იგივე დრო... 12. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - იგივე დრო; 13. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - იგივე დრო; 14. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Caisse d'Epargne) - იგივე დრო... 17. **აიმარ სუბელდია** (ესპ, ასტანა) - იგივე დრო... 66. **ენდი შლეკი** (შვეიც, Saxo Bank) - იგივე დრო...

**VII ეტაპი**

**ვალენსია (დროზე). 30 კმ**

1. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიც, Saxobank) - 36,4; 2. **დევიდ მილარი** (ბრიტ, Garmin-Slipstream) - +0,32; 3. **ბერტ გრაბში** (გერ, Columbia) - +0,36; 4. **დავიდ ხერერო** (ესპ, Xacobeo Galicia) - +0,40; 5. **ვასილ კირიენკო** (ბლრ, Caisse d'Epargne) - +0,46; 6. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - +0,47... 10. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, Silence-Lotto) - +1,02... 13. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Caisse d'Epargne) - +1,05... 15. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, ასტანა) - +1,12... 17. **აიმარ სუბელდია** (ესპ, ასტანა) - +1,18... 36. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +1,43... 42. **ენდი შლეკი** (შვეიც, Saxo Bank) - +2,02...

**საერთო ჩათვლა**

1. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიც, Saxobank) - 24.58,12; 2. **ტომ ბოონენი** (ბელ, Quick Step) - +0,51; 3. **დავიდ ხერერო** (ესპ, Xacobeo Galicia) - +0,59; 4. **დანიელე ბენატი** (იტა, Liquigas) - +1,03; 5. **ვასილ კირიენკო** (ბლრ, Caisse d'Epargne) - +1,08; 6. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, Silence-Lotto) - +1,12; 7. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Caisse d'Epargne) - +1,14... 9. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - +1,20... 12. **აიმარ სუბელდია** (ესპ, ასტანა) - +1,43... 14. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, "ასტანა") - +1,48... 17. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +1,52... 51. **ენდი შლეკი** (შვეიც, Saxo Bank) - +3,10...

მძლეოსნობა. ოქროს ლიგა

# მილიონი სამზე გაიყო

როგორც მოსალოდნელი იყო, "ოქროს ლიგის" სერიის მილიონიანი ჯეკპოტი სამმა მძლეოსანმა მოიგო. ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვეს რუსმა **ელენა ისინბაევამ**, ეთიოპიელმა **კენენისა ბეკელემ** და ამერიკელმა **სანია რიჩარდსმა** და ამ პრესტიჟული სერიის ლაურეატები გახდნენ.

ისინბაევამ ჭოკით ხტომის სექტორში მოკრძალებული შედეგით გაიმარჯვა. წინა კვირას ციურიხში რუსმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, ამჯერად კი 4,70 მეტრი იმყოფინა პირველ ადგილზე გასასვლელად. ისინბაევას კონკურენტები კვლავ პოლონელები - **როგოვსკა** და **პირეკი** იყვნენ. მსოფლიოს ჩემპიონმა როგოვსკამ სუსტად ისპარეზა და 4,70 მეტრიც ვერ დაძლია. ისინბაევამ ეს სიმაღლე პირველივე ცდაზე აიღო, პირეკმა და გერმანელმა **შპიგელბურგმა** - მეორეზე. ასე რომ, ელენამ ტაქტიკური უპირატესობა მიიღო. მისმა კონკურენტებმა 4,75 მეტრზე მიიტანეს იერიში, მაგრამ ეს სიმაღლე ვერც ერთმა ვერ დაძლია და ისინბაევა ავტომატურად გახდა გამარჯვებული.

მაგრამ ორგანიზატორებს მილიონის სამად გაყოფამ მოუწიათ. ისინბაევას მიბაძეს ბეკელემ და რიჩარდსმა. ამ უკანასკნელს 400 მეტრზე სირბილში ძლიერი კონკურენტები ჰყავდა, მაგრამ ამერიკელმა დაამტკიცა, რომ ჯერ არ დაუკარგავს ოპტიმალური სპორტული ფორმა და დისტანცია სეზონის საუკეთესო დროში დაფარა - 48,83 წამი. ბეკელემ კი ჩვეულ სტილში მოიგო 5 ათასი მეტრი - ბოლო წრეზე სპრინტერული ფინიშით პირველი მივიდა ფინიშთან. ეთიოპიელმა მსოფლიოს ჩემპიონატის ორ ტიტულს "ოქროს ლიგაზე" მოგებული 333 333 დოლარი დაუმატა. იგივე თანხა მიიღეს ისინბაევამ და რიჩარდსმა.

რაც შეეხება სხვა სტარტებს, როგორც ყოველთვის, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა **უსაინ ბოლტი**, რომელიც მხოლოდ 200 მეტრზე გამოსვლით შემოიფარგლა. იამაიკელს ბრწყინვალე სტარტი ჰქონდა და ვირაჟის გავლის შემდეგ კონკურენტები დიდი მანძილით ჩამოიტოვა უკან, რის გამოც ტემპი დააგდო, მაგრამ მაინც მაღალი დრო აჩვენა - 19,57, რაც ყველა დროის მეოთხე შედეგია. ბოლტმა მოგვიანებით ახსნა ნელი ფინიში: *"ძალიან დავიღალე. არ მეგონა, თუ ეს მალე მოხდებოდა. ამიტომაც ველარ ვირბინე ბოლო 25 მეტრი"*. რაც შეეხება 100 მეტრს, აქ ერთმანეთს **ასაფა პაუელი** და **ტაისონ გაი** შეხვდნენ და მოულოდნელად იამაიკელმა იმარჯვა. მან გაის ერთი მეათედი მოუგო.

ქალთა სპრინტში ზედიზედ მეორე კვირაა ამერიკელმა **კარმელიტა ჯეტერმა** გაიმარჯვა. მან ამჯერადაც დაამარცხა მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი **შელი-ენ ფრეზერი** და 2009 წლის "ოქროს ლიგის" ოთხი ეტაპის მომგები **კერონ სტიუარტი**.

ბრიუსელში მსოფლიოს ერთი რეკორდიც ვიხილეთ. თუმცა ის მეტად უცნაურ დისციპლინაში დამყარდა - კაცების ესტაფეტა 4x1500 მეტრზე. კენიის ნაკრებმა უპრობლემოდ გაიმარჯვა და მსოფლიოს უძველესი რეკორდი გააუმჯობესა, რომელიც 1977 წელს გფრ-ის ნაკრების მიერ იყო დამყარებული.



**ოქროს ლიგა. VI ეტაპი**

**ბრიუსელი (ბელგია)**

**კაცები**

**100 მ.** 1. ასაფა პაუელი (იამ) - 9,90; 2. ტაისონ გაი (აშშ) - 10,00; 3. დერვის პატონი (აშშ) - 10,08. **200 მ.** 1. უსაინ ბოლტი (იამ) - 19,57 (ისტორიაში მეოთხე შედეგი); 2. უილის სპირმონი (აშშ) - 20,19; 3. რამილ გულიევი (აზე) - 20,47. **400 მ.** 1. ჯეერმი უორინერი (აშშ) - 44,94. **800 მ.** 1. დავიდ რუდიშა (კენ) - 1.45,80; 2. ალფრედ კირვა იეგო (კენ) - 1.46,36; 3. გერი რიდი (კან) - 1.46,82. **5000 მ.** 1. კენენისა ბეკელე (ეთი) - 12.55,33; **3000 მ/სტიპლჩეზი.** 1. პოლ კიპსიელე კოეჩი (კენ) - 8.04,05. **100 მ/თარჯრბენი.** 1. რაიან ბრეტუეიტი (ბარ) - 13,30; 2. დუაიტ ტომასი (იამ) - 13,38. **შუბის ტყორცნა.** 1. ტერო პიტკამიაკი (ფინ) - 86,23; 2. ანდრეას ტორკილდსენი (ნორ) - 82,61; 3. ვადიმ ვასილევსკისი (ლატ) - 82,42; **4x1500 მ.** 1. კენია - 14.36,23 (მსოფლიოს რეკორდი).

**ქალები**

**100 მ.** 1. კარმელიტა ჯეტერი (აშშ) - 10,88; 2. შელი-ენ ფრეზერი (იამ) - 10,98; 3. კერონ სტიუარტი (იამ) - 11,05; **400 მ.** 1. სანია რიჩარდსი (აშშ) - 48,83 (სეზონის საუკეთესო დრო); 2. კრისტინ ოჰურუგუ (ბრიტ) - 50,43; 3. შერიკა უილიამსი (იამ) - 50,55; **800 მ.** 1. ანა უილარდი (აშშ) - 1.59,14; 2. ჯემა სიმპსონი (ბრიტ) - 1.59,40; 3. მარია სავინოვა (რუს) - 1.59,49; **100 მ/თარჯრბენი.** 1. ბრიჯიტ ფოსტერ-ჰილტონი (იამ) - 12,48; 2. პრისცილა ლოპეს-შლიპი (კან) - 12,49; 3. დელორინ ენის-ლონდონი (იამ) - 12,71; **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ბლანკა ვლასიჩი (ხორ) - 2,00; 2. ანა ჩიჩეროვა (რუს) - 2,00; 3. შონტე ჰოვარდი (აშშ) - 1,97; **ჭოკით ხტომა.** 1. ელენა ისინბაევა (რუს) - 4,70; 2. მონიკა პირეკი (პოლ) - 4,70; 3. სილკე შპიგელბურგი (გერ) - 4,70; **სამხტომი.** 1. იამილე ალდამა (სუდ) - 14,27.

**გია თვალაბეიშვილი**

**რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი**

# ლოებს ფორმულაში გაუშვებენ



"სიტროენის" საქარხნო გუნდის ხელმძღვანელმა **ოლივერ კესნელმა** განაცხადა, რომ არ შეეწინააღმდეგება ფორმულა 1-ის ბოლო ეტაპზე (აბუ დაბის გრან-პრი) **სებასტიან ლოების** გამოსვლას.

*"მე არ ვარ ფორმულა 1-ის გუნდის ბოსი, ასე რომ, სებასტიანისთვის არაფრის შეთავაზება არ შემიძლია. მაგრამ თუ ის ფორმულას რომელიმე გუნდისგან წინადადებას მიიღებს, ჩვენ არ დავუშლით აბუ დაბის გრან-პრიში გამოსვლას, რადგან იმ მომენტისთვის რალის მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულებული იქნება"*, - განაცხადა კესნელმა.

იმავდროულად, "სიტროენის" შეფმა ჟურნალისტებს ამცნო, რომ ფრანგული გუნდი ლოებთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მუშაობს: *"ორივე მხარეს სურს თანამშრომლობის გაგრძელება. წინასწარმეტყველება არ შემიძლია, მაგრამ მზად ვარ დავდო ფსონი, რომ მომავალ წელს ლოები რალიში დარჩება"*.

შეგახსენებთ, რომ ბოლოდროინდელი ჭორების მიხედვით, "ტორო როსო" ფრანგ რალისტს აბუ დაბის გრან-პრიში მონაწილეობისთვის იწვევს. გარდა ამისა, სებესტიანს კონტაქტი ჰქონდა ამერიკულ საჯინიბო USF1-თან, რომელსაც გაისად დებიუტი ექნება ფორმულა 1-ის ჩემპიონატში.

### X ეტაპი. ავსტრალიის რალი

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, "სიტროენი") - 2:52.54,00; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, "ფორდი") - +12,5; 3. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, "სიტროენი") - +17,1; 4. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, "სიტროენი) - +1.35,8; 5. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, "ფორდი") - +2.04,5; 6. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, "ფორდი") - +5.38,8.

### საერთო ჩათვლა

1. **მიკო ჰირვონენი** - 76 ქულა; 2. **სებასტიან ლოები** - 75; 3. **დანიელ სორდო** - 50; 4. **იარი-მატი ლატვალა** - 35; 5. **ჰენინგ სოლბერგი** - 29; 6. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, "სუბარუ") - 25; 7. **მეტიუ უილსონი** - 23; 8. **სებასტიან ოჟიე** - 21.

**კრივი**

## მილანში მოკრივეები დაიკარგნენ

მილანში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ექვსი აფრიკელი სპორტსმენი დაიკარგა - ოთხი კამერუნელი და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ორი წარმომადგენელი.

ეს ექვსეული იტალიაში დათქმულ დროს ჩავიდა, ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტში აკრედიტაცია გაიარა და სასტუმროში დაბინავდა. მაგრამ, როცა რინგზე გასვლის დრომ მოუწიათ, აფრიკელები დარბაზში არ გამოცხადნენ. მოკრივეები სასტუმროშიც მოიკითხეს, მაგრამ საცხოვრებელი ადგილიც დატოვებული ჰქონდათ.

სავარაუდოდ, აფრიკელები იტალიაში პოლიტიკურ თავშესაფარს მოითხოვენ.

**ფორმულა 1**

## ინდოელებსაც მოუნდათ

მალაიზიური კომპანიების შემდეგ, "BMW-ზაუბერის" შეძენის სურვილი ინდოელმა ბიზნესმენებმაც გამოთქვეს. როგორც ცნობილია, გერმანულმა კონცერნმა მომავალ სეზონში მონაწილეობა არ მოისურვა და საჯინიბოს პოტენციურ მყიდველებს ეძებს.

ინდოელები მზად არიან "BMW-ზაუბერში" 50 მილიონი ევრო გადაიხადონ და გუნდი მომავალ წელს სტარტზე გაიყვანონ, ოლონდ მათ ერთი პირობა აქვთ - საჯინიბოს ერთ-ერთი საპრიზო პილოტი შვეიცარიელი **ნილ ჟანი** უნდა იყოს, რომლის მამაც წარმოშობით ინდოელია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




**ჩოგბურთი. აშშ-ის ღია**

# რუსებს ახალი მტერი ჰყავთ

ამერიკის ღია პირველობის დასრულებამდე კიდევ ერთი კვირაა დარჩენილი, მაგრამ ტურნირის ერთ-ერთ გმირად უკვე შეიძლება მოინათლოს ამერიკელი **მელანი ოუდინი**. 17 წლის ჩოგბურთელმა ზედიზედ მეორე სენსაცია მოხდინა. ტურნირის მთავარ ფავორიტად შერაცხული **ელენა დემენტიევას** დამარცხების შემდეგ, ოუდინმა ბრძოლას გამოთიშა **მარია შარაპოვა**. ასე რომ, გამართლდა დემენტიევას სიტყვები, რომელმაც განაცხადა, რომ ოუდინი ამ ტურნირზე ბევრს მიაღწევდა.

შარაპოვასთან მატჩში აშშ-ის ღიას რეკორდი დამყარდა. რუსმა ჩოგბურთელმა 21 (!) ორმაგი შეცდომა დაუშვა, თუმცა მისი მარცხი მხოლოდ ამით არ ყოფილა განპირობებული. ოუდინის ფორჰენდებმა მარიას დიდი პრობლემები შეუქმნა. შარაპოვამ მხოლოდ პირველ სეტში აჩვენა მეტ-ნაკლებად კარგი თამაში, როცა 0:2-დან ანგარიში გაათანაბრა და შემდეგ 5:2 დაწინაურდა. საბოლოოდ ეს სეტი რუსმა 6:34 მოიგო.

მეორე პარტიაში ამერიკელი დომინირებდა, მაგრამ 5:1-ის შემდეგ დროებით ინიციატივა დათმო და მხოლოდ მერვე სეტ-პოინტზე გაათანაბრა ანგარიში.

მესამე სეტი უცნაურად ვითარდებოდა. 3:3-დან მოყოლებული, მეტოქეები მხოლოდ ერთმანეთის მოწოდებებს იღებდნენ. 6:5-ზე ოუდინმა, როგორც იქნა საკუთარი გეიმიც მოიგო და მეოთხე წრეში გაალწია.

ასე რომ, ამერიკელმა გაიმეორა უიმბლდონზე ნაჩვენები შედეგი, როცა **ელენა იანკოვიჩის** დამარცხების შემდეგ მერვედფინალში გავიდა, მაგრამ იქ **აგნიეშკა რადვანსკასთან** წააგო.

მერვედფინალში ოუდინის მეტოქე კიდევ ერთი რუსი - **ნადია პეტროვა** იქნება. საინტერესოა, რომ პირველ სამ წრეში ამერიკელმა რუსი ჩოგბურთელები დაამარცხა - **პავლიუჩენკოვა**, დემენტიევა და შარაპოვა. ასე რომ, პეტროვას წინ ურთულესი მატჩი ელის.

მსოფლიოს პირველი ჩოგანის **დინარა საფინას** ცუდ სპორტულ ფორმაზე წინა მიმოხილვებში ვწერდით. რუსმა დიდი გაჭირვებით გაალწია მესამე წრეში, მაგრამ აქ საფინას იღბალი ამოიწურა. 19 წლის ჩეხმა **პეტრა კვიტოვამ** შემტევი ჩოგბურთი აირჩია და ტაქტიკამ გაამართლა. მართალია, ჩეხს 59 უნებლიე შეცდომა ჰქონდა, მაგრამ იმავდროულად აქტიური მოქმედებით 47 ქულა აილო. ამის მიუხედავად, თამაშის მოგების შანსი საფინასაც ჰქონდა. მესამე სეტში რუსს ოთხი მატჩპოინტი ჰქონდა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა, კვიტოვამ კი შეძლო ის, რაც საფინას წინა მეტოქეებმა ვერ მოახერხეს. წინა ეტაპებზე რუსმა პრაქტიკულად წაგებული მატჩები გადაარჩინა, მაგრამ ამჯერად იღბალმა ზურგი არ აქცია და კანონზომიერად გამოეთიშა ბრძოლას.

ერთი სენსაცია მამაკაცებს შორისაც მოხდა. ამერიკელთა მთავარი იმედი **ენდი როდიკი** ადრეული ეტაპიდან გამოეთიშა ტურნირს. მას მეორე ამერიკელმა, 24 წლის **ჯონ ისნერმა** მოუგო. აქამდე ეს ჩოგბურთელები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორივეჯერ როდიკს ჰქონდა მოგებული.

ხუთსეტიანი მატჩი აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და სამ საათსა და 51 წუთს გაგრძელდა. ორივე ჩოგბურთელი კარგად იყენებდა თავის მთავარ იარაღს - მოწოდებას. საბოლოოდ, ისნერმა 38 ეისი გააკეთა, როდიკმა - ოცი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ისნერი ძალიან ბევრს ცდებოდა - 52 უნებლიე შეცდომა როდიკის 20 შეცდომის წინააღმდეგ. რაც შეეხება აქტიური თამაშით მოგებულ ქულებს, ჯონს ენდიზე ორჯერ დიდი უპირატესობა ჰქონდა - 90 „ვინერსი" 41-ის წინააღმდეგ.

ისნერი პირველად გავიდა „დიდი სლემის" ტურნირების მერვედფინალში, სადაც მისი მეტოქე ესპანელი **ფერნანდო ვერდასკო** იქნება.

გუშინ გვიან დასრულდა უიქ ენდის ცენტრალური შეხვედრა - **ვენუს უილიამსი კიმ კლაისტერსის** წინააღმდეგ. ბელგიელმა ჩოგბურთელმა წინა ორი წრე დამაჯერებლად გაიარა, მაგრამ მისი მზადყოფნის შესახებ პასუხი სწორედ ამ შეხვედრას უნდა მოეცა.

ეს იყო საოცარი მოვლენებით დატვირთული შეხვედრა, სადაც სპორტსმენებმა ფანტასტიკური ტემპი შემოგვთავაზეს. პირველ სეტში კიმმა უნაკლო ჩოგბურთი ითამაშა, ჯამში მხოლოდ სამი უნებლიე შეცდომა დაუშვა და 6:0 მოიგო. ზუსტად იმავე სცენარით წარიმართა მეორე სეტი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ვენუსმა ვერ გაიმეტა გეიმი მეტოქისთვის.

ნამდვილი ბრძოლა მესამე სეტში გაჩაღდა. თითქმის თანაბარ ორთაბრძოლაში ყველაფერი ერთადერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა, რომელიც კლაისტერსმა პარტიის დასაწყისში გააკეთა და შემდეგ ეს უპირატესობა სეტის ბოლომდე შეინარჩუნა. დრამატული მომენტი იყო 5:4-ზე, როცა ვენუსს მეტოქის მოწოდებაზე ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ კიმმა ზედიზედ ოთხი ქულა აილო და პირველივე მატჩ-პოინტზე მოიგო მეოთხედფინალის საგზური.

### კაცები

#### II წრე

**ენდი მიურეი (ბრიტ, 2)**-პოლ კაპდევილე (ჩილ) 6:2, 3:6, 6:0, 6:2; **რაფაელ ნადალი (ესპ, 3)**-ნიკოლას კიფერი (გერ) 6:0, 3:6, 6:3, 6:4; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 11)**-ჟოსელინ უანა (საფ) 6:4, 6:7(5), 6:3, 6:4; **გაელ მონფილსი (საფ, 13)**-ანდრეას ბეკი (გერ) 6:3, 7:5, 6:3; **ხოსე აკასუსო (არგ)**-დავიდ ფერერი (ესპ, 18) 6:3, 3:6, 1:6, 6:3, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 32)**-რობი ჯინეპრი (აშშ) 6:7(7), 6:2, 6:3, 4:6, 6:4; **ტეილორ დენტი (აშშ)**-ივან ნავარო (ესპ) 6:4, 5:7, 6:7(1), 7:5, 7:6(9); **დენის ისტომინი (უზბ)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 2:6, 6:4, 4:6, 7:5, 7:6(4).

#### III წრე

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 31) 4:6, 6:3, 7:5, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 3)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 32) 7:5, 6:4, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 4)**-ჯესი ვიტენი (აშშ) 6:7(2), 6:3, 7:6 (2), 6:4; **ჯონ ისნერი (აშშ)**-ენდი როდიკი (აშშ, 5) 7:6(3), 6:3, 3:6, 5:7, 7:6(5); **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 8)**-მარკო ჩიუდინელი (შვეიც) 6:4, 7:5, 7:5; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 24)**-ჟილ სიმონი (9) 1:6, 6:4, 7:6(5), 1:0 სიმონის უარი; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 10)**-ტომი ჰაასი (გერ, 20) 3:6, 7:5, 7:6(8), 1:6, 6:4; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 11)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 17) 7:5, 6:4, 6:4; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 12)**-სემ კუერი (აშშ, 22) 6:2, 7:5, 6:7(6), 6:1; **ტომი რობრედო (ესპ, 14)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 21) 7:6(2), 6:4, 6:4; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 15)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 23) 4:6, 6:2, 6:3, 6:3.

### ქალები

#### III წრე

**პეტრა კვიტოვა (ჩეხ)**-დინარა საფინა (რუს, 1) 6:4, 2:6, 7:6(5); **ვენუს უილიამსი (აშშ, 3)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) 6:2, 7:5; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 6)**-შაარ პეერი (ისრ) 7:5, 6:1; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 9)**-სორანა კირსტეა (რუმ, 24) 6:3, 6:2; **ნადია პეტროვა (რუს, 13)**-ჟიე ჟენგი (ჩინ, 21) 6:4, 6:1; **ნა ლი (ჩინ, 18)**-მარია კირილენკო (რუს) 6:4, 6:2; **მელანი ოუდინი (აშშ)**-მარია შარაპოვა (რუს, 29) 3:6, 6:4, 7:5; **იანინა ვიკმაიერი (ბელ)**-სარა ერანი (იტა) 6:3, 6:4; **ხისელა დულკო (არგ)**-იაროსლავა შვედოვა (ყაზ) 6:3, 6:4; **კიმ კლაისტერსი (ბელ)**-კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) 6:0, 6:2; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-ანასტასია როდიონოვა (ავსტრა) 7:6(4), 6:4.

#### 1/8 ფინალი

**სერენა უილიამსი (აშშ, 2)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 22) 6:2, 6:0; **ნა ლი (ჩინ, 18)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 26) 6:2, 6:3; **კიმ კლაისტერსი (ბელ)**-ვენუს უილიამსი (აშშ, 3) 6:0, 0:6, 6:4.



